„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე




# ლიტერატურული მესხეთი

№4 (208)
აპრილი
2016 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთვრამეტე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"


**აკაკი გეწაძე**

## ციდან დაგვყურებს...



შოთას გვირგვინი, უჭკნობი დაფნა
არის მისივე უკვდავი წიგნი,
რამდენი მეფე უკვალოდ გაქრა,
შოთა კვლავ ცოცხლობს მზიანი სიბრძნით.

ალბათ, ჩრდილავდნენ სკიპტრით გენიას,
ხშირად ებრძოდნენ ყორნები არწივს
და არც ერთ მეფეს არ დარჩენია
რუსთაველური ოქრო და განძი.



ისრით გაფანტა რამდენი ნისლი,
რათა მზის გულში გაედგა ფესვი,
შოთას სიტყვა და ღაღადი მისი
რვა საუკუნის გადმოღმა გვესმის.

მდინარეს გზას ვერ შეუკრავს კბოდე,
მდინარეს მოაქვს განძი ულევი,
საუკუნეებს ქუხილად მოსდევს
სულმნათი შოთას ნაჩურჩულევი.

იყო გრიგალი დაუდგრომელი
და ფიქრი ჰქონდა ქვეყნის საერთო,
ისევ ანათებს გული რომელიც
რვა საუკუნის წინათ აენთო.

არ მიაკარა მშობელმა მიწამ
დრო-ჟამის ჟანგი, ხავსი და მტვერი,
მისი სახელი ვარსკვლავებს მისწვდა,
დღეს რუსთაველი ზეცაშიც მღერის.

გაუძლო რამდენ რბევას და შფოთვას,
ცეცხლში დაწვას და შხამიან ისრებს...
რვა საუკუნის მიღმა დგას შოთა,
თვალებში მაინც ჯირდაჯირ გვიმზერს.

მოდის შავ მთათა გადმომლახველი,
გვაღვრის სინათლეს გულში ღვარებად,
შოთა — ქართული მუმუს ნათელი,
მადლი, სიკეთე და ელვარება.

ხმაუწყვეტელი სიმღერა მესმის,
მთები გალობით ფეხზე დგებიან,
სიმღერით შოთას სიცოცხლის ფესვი
დრო-ჟამის ფესვებს ჩასჭიდებია.

გამოარღვია ბევრი უკუნი
და ბოლოს მზესთან დგომა ეღირსა,
ხმა რუსთაველის — არის გუგუნი
ქართული მიწის უკვდავებისა!



„ოდესაც ბრძენმა რიტორმან შოთამ რგო იგავთ ხეო და,
ფესვ ღრმა-ყო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა,
ორგზითვე ნაყოფს მისცემდა, ვისგანაც მოირხეოდა,
ლექსი რუსთველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ვნახეო და“....
დავით გურამიშვილი

ბელა ალანია

# ჩვენი სახლი



ჩავიცუცქეთ. ორთავეს გვციოდა. ერთმანეთს ხელებს ვუორთქლავდით, მერე ვუწნავდით თითებს – საჩვენებელი, ცერა, შუათითი... საჩვენებელი, ცერა, შუათითი...

თვალებს ვხუჭავდით, სახეები ახლო-ახლო მიგვქონდა და ცხვირებს ვაჩხუბებდით. შენ იმარჯვებდი, იმიტომ რომ გრძელი ცხვირი გქონდა...

ყურის ბიბილოებს ვაწვალებდით და გაყინულებს ვისრესდით, ვითბობდით. ბოლოს, დაღლილები შუბლებს მივაწყობდით ერთმანეთს და ვიძინებდით. ისე, როგორც ბელურები იძინებენ სადენებზე. ჩვენ სიმებზე ვიძინებდით, თან ვირწეოდით, ვირწეოდით...

ხშირად თმას ვინასკვავდით. გრძელი თმა მქონდა, შენ – მოკლე. შენ უფრო გეწიწკნებოდა, სამაგიეროდ, მყარად ვაბამდით ერთმანეთზე, რომ არავის დავეცილებინეთ.

როცა წვიმა წამოვიდოდა, ლაბადებს წავიფარებდით თავზე. გვქონდა ჩვენი სახლი და ვიყავით სახლში. ამ სახლს არ ჰქონდა არც კარი, არც ფანჯარა. სამაგიეროდ, ჰქონდა ღილკილოები და იქიდან ვუცქერდით სამყაროს...

გიყურებდი თვალებში და ვხედავდი მზეს, მთის მწვერვალებს, უდაბურ ტყეს, მღელვარე ოკეანეს... შენ ამბობდი, რომ ჩემს თვალებში ხედავდი ბელურებს, ნაკადულს, წვიმას, ვარსკვლავებს, ფერად ყვავილებს...

დაბლიდან იზრდებოდა ხასხასა, მწვანე ბალახი, ფეხებს ვარიდებდით, რომ ხელი არ შეგვეშალა, გაზაფხული ჰყავდა ამოსაყვანი მიწიდან...

ჩვენ გვქონდა ჩვენი დედამიწა. შენ ამბობდი, რომ სხეული მიწაა, ცხვირი მთებია, თვალები – ცა, ჩემი ძუძუები – ბორცვები, ქოჩორა თმა კი – ტყეები და ჩვენ ვიცინოდით...

ვიღაცეები აივლიდნენ, ჩაივლიდნენ, ზემოდან დაგვყურებდნენ, დაუკაკუნებლად შემოიჭყიტებოდნენ და ისევ მიდიოდნენ თავიანთ ქვის სახლებში.

იმ დღეს მოვიდა შენი და. ის მეოთხე კლასშია, შენზე ბევრად უფროსია. ასწია ლაბადა, შემოვიდა სახლში დაუკითხავად და გითხრა: აი, თურმე სად ბრძანდები, როგორ მანერვიულე, გეძებდი, მთელი უბანი შემოვიარეო.

მერე, გტაცა ხელი და წაგიყვანა...

ჩვენს სახლს ცალი მხარე ჩამოეშალა...

როცა მიდიოდი, ჩემი გადაბმული თმის ნაკუწი გაგყვა და კიდევ დაწნული თითები, რომ თვალი არ გვეცეს...

დავრჩი მარტო ჩვენს დედამიწაზე და ჩვენს სახლშიც...

დაველოდები, სანამ ბალახი გაზაფხულს ამოიყვანს...

და ვიცი, მანამდე შენც მოხვალ...

# სიყვარული გამოძახებით

ჩემი თანაკლასელი ქეთი რამდენიმე კორპუსის იქით ცხოვრობდა. წლების განმავლობაში ქირის გადახდა გაუძნელდა და ნათესავებთან დაბინავდა. ტარიელი, ოთხმოცდაათ წელს მიტანებული, ქალაქში ცნობილი და დაფასებული ფსიქიატრი გახლდათ. სახლში მარტო ცხოვრობდა, თუმცა, ერთ დროს კი იყო დაცოლშვილებული, მაგრამ დიდი ხნის წინათ გაიყარნენ და არც ყოფილი მეუღლე იყო უკვე ცოცხალი. მისი ერთადერთი ვაჟი საზღვარგარეთ ცხოვრობდა. დროდადრო ეხმიანებოდა მამას და ყოველთვიურად მატერიალურადაც ეხმარებოდა.

ბოლო რამდენიმე წელი იყო, რაც ექიმობას თავი დაანება. პაციენტები თავს დასტრიალებდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შესაშური ჯანმრთელობა ჰქონდა, ასაკმა მაინც თავისი პრობლემები მოიტანა. რამდენიმე თვეა, ტარიელს სიკვდილის შიში დასჩემდა. ხანდახან ცახცახი აიტანდა და შველას ითხოვდა. უკვე სასწრაფოს ყველა ბრიგადა იცნობდა მას. მოვიდოდნენ მორიგეები, როგორც წესი, წნევა-პულსს გაუზომავდნენ, კარდიოგრამას გადაუღებდნენ, ბოლოს დამამშვიდებელ აბებს გადააყლაპებდნენ და ემშვიდობებოდნენ შემდეგ გამოძახებამდე. იმდენჯერ ატეხა ტარიელმა ცრუ განგაში, არიქა, ვკვდებიო, რომ უკვე სასწრაფომაც მიატოვა. ოჯახს ურჩიეს, ვინმე ცნობილი ფსიქიატრი გამოიძახეთ ან ფსიქოლოგი, – ის მიხედავსო. დიდ უხერხულობაში ვარდებოდა ჩემი მეგობარი ქეთი. აღარ იცოდა, რა ექნა. ქალაქის ყველა ფსიქიატრმაც უკვე მოინახულა ტარიელი. ზედმეტ სიტყვას ვინ შებედავდა, მოხუცი ხომ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ეს ახალგაზრდა ექიმები სულ მისი მოსწავლეები იყვნენ.

შეწუხებულმა, ქეთის დახმარება შევთავაზე.

– დამირეკე და მოვალ ტარიელთან. ეგებ, ექიმის მოვალეობა მე მაინც შევასრულო, ალბათ, დამშვიდდება, ისიც კარგად იქნება და შენც. ჩვენი პაროლი იყოს „სასწრაფოა„? – მეტყვი და მივხვდები, რომ გჭირდები და თქვენკენ გამოვეშურები, – ტარიელისკენ.

ქეთიმ საგულდაგულოდ მომიმზადა „აიბოლიტის" ხალათი და სხვა აღჭურვილობა, ფონენდოსკოპი და წნევის აპარატი. სამედიცინო ჩაქუჩი ხომ ისედაც ჰქონდა ტარიელის მრავალწლიანი ექიმობიდან; ასევე, წითელი ჯვრის ნიშნით და შიგნით უამრავი აბით თუ ნემსით სავსე წამლების ჩანთა.

– სასწრაფოა? – არ დააყოვნა ზარმა მეორე დღესვე. რა თქმა უნდა, ქეთი რეკავდა.

– სასწრაფოა, აბა, რა! – ვუპასუხე და არც დაველოდებივარ, ისე სწრაფად გავიქეცი. ერთი კორპუსი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, სულ ფეხით გავირბინე და, აი, თითქმის, მივედი. მეათე სართულზე ზარი დავრეკე. გაღიმებულმა ქეთიმ კარი გამიღო და ტარიელის გასაგონად ხმამაღლა მითხრა:

– მობრძანდით, ქალბატონო, ბატონი ტარიელი გელოდებათ. ოთახი აქვეა.

გრძელი დერეფნის ბოლოს ტარიელის საძინებელი დავინახე. თვალშისაცემი იყო ყვავილების სიმრავლე ოთახში. ყველაფერი ყვაოდა და საოცარ სურნელს აფრქვევდა. იქაურობა მოვათვალიერე. მიუხედავად ქეთის დაჟინებული თხოვნისა, პირველად ვიყავი მისი ნათესავის სახლში.

ჩვენს ცელქობაზე მეღიმებოდა და ვცდილობდი, სახიდან ცელქი ათინათი მომეშორებინა.

ბატონი ტარიელი გრძელ ტახტზე იწვა. თვალი მოეჭუტა და ხვნეშოდა. საწოლზე ჩამოვჯექი. წნევა გავუზომე, პულსი დავუთვალე, ყელშიც კი ჩავხედე, თვალის გუგები დავუთვალიერე. ბოლოს ვთხოვე, საწოლზე წამომჯდარიყო და თავისი სამუშაო ჩაქუჩი მუხლისთავებზე მივუკაკუნე. ამ ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც გამოცდილ ექიმს შეეფერება. მოხუცი ცნობისმოყვარეობით შემათვალიერებდა ხოლმე და გაქუცულ ულვაშებში კმაყოფილი იღიმოდა.

ვიზიტის ბოლოს, სრულიად უვნებელი, დამამშვიდებელი აბი გადავაყლაპე და იმედიანად დავუბარე:

– ბატონო ტარიელ, სრულიად ჯანმრთელი ბრძანდებით. ჩემი ვარაუდით, დიდხანს იცოცხლებთ. მხოლოდ ერთს გთხოვთ, არაფერზე არ ინერვიულოთ. მშვიდად იძინეთ!

„გამოძახებები" სულ უფრო და უფრო გახშირდა. ტარიელი თანდათანობით უკეთესად, მხნედ მხვდებოდა. სახე ვარდისფრად შეფაკლოდა და უფრო მოწესრიგებულადაც გამოიყურებოდა. მოხუცი ახლა უკვე სამუშაო მაგიდასთან მიმჯდარიყო. შარვალკოსტიუმიც მოერგო, პენსნე მაგიდაზე დაედო და თავი წიგნებში ჩაერგო. ვერავინ იტყოდა, თუ ასეთი ასაკოვანი იყო. თანდათან გამიშინაურდა კიდეც, თუმცა, ჩვეულ ზღვარს არასოდეს გადასულა. მორიდებულად, სახელითაც კი მომმართავდა.

– სასწრაფოა? – დამირეკა იმ დილით ქეთიმ. კვირა დღე იყო და საწოლიდან ადგომის თავიც არ მქონდა. მისაღები გამოცდებისთვის ვამზადებდი აბიტურიენტებს მათემატიკაში. მძიმე პერიოდი მქონდა. დღე და ღამეს ვასწორებდი, ძალიან გადაღლილი ვიყავი. არ ვიცი, რა დამემართა, დაუფიქრებლად, უცებ მივახალე ჩემს მეგობარს:

– არა, ქალბატონო, სახანძროა!

ორი დღის შემდეგაც იგივე გავუმეორე, თან სიცილისგან ვიგუდებოდი. რატომღაც ონავრობის ხასიათზე ვიყავი. ვატყობდი, ჩემი ოხუნჯობით ჩემს ახლობელ ადამიანს ძალიან ვაწყენინე. კარგა ხანი იყო გასული და არც კი შემხმიანებია. ვიტანჯებოდი, ნეტავ, როგორ უნდა გამომესყიდა დანაშაული, ჰოდა, მეც დავურეკე:

– ქეთი, მაპატიე, გეხვეწები, ხომ კარგად ხართ? ბატონი ტარიელი ხომ კარგადაა?

– არა, კარგად არ არის, რეანიმაციაშია, – მიპასუხა ქეთიმ მკაცრი ხმით.

რამდენიმე წუთში ტაქსში ჩავჯექი და რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებასთან მივედი. შიგნით არავის უშვებდნენ.

– მე მისი ექიმი ვარ, – ვთქვი და ცრემლი ვერ შევიკავე, – ჩემი ნახვა ესიამოვნება. ვიცი, მას რა სტკივა და რა უხარია. მთელი წლის განმავლობაში ვიარე ბატონ ტარიელთან და ახლოს გავიცანი, – მუდარის ხმით ვუთხარი მორიგე ექიმს.

მას არაფერი უთქვამს, ისე შემიძღვა მოხუცთან.

ტარიელი თვალდახუჭული იწვა. სახეზე ფერი არ ედო. გადასხმებს უკეთებდნენ. კარდიოაპარატურა ჩართული ჰქონდა და მის პულსაციას გადმოსცემდა ხმამაღლა. ეკრანზე წითელი ხაზი იკლაკნებოდა, ადიოდ-ჩადიოდა, ადიოდ-ჩადიოდა...

მისკენ დავიხარე და ხმადაბლა ყურში ვუჩურჩულე:

– ბატონო ტარიელ, როგორ ხართ? უჩემობა ხომ არ დაგეტყოთ?

იმ წამსვე გაახილა თვალები. შემომაცქერდა, თითქოს, ვერც დაიჯერა, რომ მე ვიყავი. საოცრად თბილი იყო მისი მზერა. რაღაცას მელაპარაკებოდნენ მისი თვალები – აუხსნელს, საინტერესოს.

– მაპატიეთ, ბატონო ტარიელ!

ჩემი ხელი აიღო და თავის ბებერ, დანაოჭებულ ხელებს გადაუსვა. ცივი ხელის გულები ჰქონდა, მაგრამ მაინც დიდი სითბო გადმომედო.

– არაფერია, ჩემო გოგო. შენგან მართლა კარგი ექიმი დადგებოდა. ჩემი ჩაქუჩი ძალიან გიხდებოდა. ამ ჩაქუჩით ლამის სამოცდაათი წელი ვიმუშავე. ერთმანეთს შევაბერდით. როგორ მონდომებით იქნევდი, არ მინდოდა ხელი შემეშალა, – თქვა და ჩაიხითხითა.

– თქვენ იცოდით, რომ გატყუებდით?

სახე უცებ შეეცვალა, ახლა უკვე პირქუში გაუხდა. თვალებიდან ცრემლი გადმოუგორდა, ნაოჭების ღრმა ღარებში ჩაეღვარა, იდინა და ყელთან გაუჩინარდა. მიმძიმდა ყურება. მოხუცი ტიროდა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. ბოლოს, ძლივს ამოილუღლუღა:

– ძალიან შეგაწუხეთ. ცხოვრებაში სულ ორჯერ ვიტირე: პირველად, როცა დედა გარდამეცვალა, მეორედ – ახლა. რა უცნაური შეგრძნება მაქვს. ნეტავ, რატომ ვტირი? ალბათ, ფიქრობთ, რომ ერთი სულელი მოხუცი ვარ და რას ვლაპარაკობ, თვითონაც არ ვიცი. მომიტევეთ, გეთაყვა. ლოგიკურია, რომ დაგღალეთ და თქვენც მიმატოვეთ. დროა, მოვკვდე! სიცოცხლის მოტივაცია დავკარგე. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ამ ასაკში შევძლებდი ვინმეს შეყვარებას. ერთი რამ იცოდეთ, რომ თქვენი დამსახურებით ბედნიერი წავალ ამ ქვეყნიდან. მთელი ცხოვრება ველოდი სიყვარულს და ის სიკვდილის წინ მეწვია. დარჩენილი წუთები იმაზე ვიფიქრებ, როგორ ვათენებდი და ვაღამებდი ჩემი „სასწრაფოს ექიმის" მოლოდინში. რაოდენ დიდი ბედნიერება იყო თქვენი პაციენტობა და, კიდევ, ჩემთან სახლში ხომ მიხვალთ, ჩემი ბალიშის ქვეშ ბარათებს იპოვით, რომლებიც თქვენ გეკუთვნით. როცა წაიკითხავთ, ყველაფერს მიხვდებით.

წაუკითხავადაც ყველაფერს მივხვდი. ოთახიდან დაბნეული გამოვედი.

ექიმმა მითხრა, რომ ტარიელს დაუძლურება სჭირს, მას რამდენიმე დღეა არაფერი უჭამიაო. ეს „რამდენიმე დღე" სწორედ ის დრო იყო, რაც მე მასთან არ დავდიოდი.

ჩემი ნახევარი საუკუნის მეგობარი ქეთი კუთხეში პატარა გოგოსავით მიმჯდარიყო. ამხელა ქალი ჩუმად სლუკუნებდა. რეანიმაციიდან გამოსულს შეშფოთებული შემომეგება.

– გადარჩება? – ისე მკითხა, როგორც ექიმს ეკითხებიან, როცა ავადმყოფის პალატიდან გამოდის. მერ, რატომღაც, ბეჭებზე ხელები შემომხვია. კარგა ხანს ვიდექით ასე ჩახუტებულები. თავი უარყოფის ნიშნად გავუქნიე და მდუმარედ კიბეს ჩავუყევი. სულში საშინელი ნაღველი ჩამდგომოდა, თითქოს, გულს მიგლეჯდა. საკუთარ თავს ვუჯავრდებოდი. რა მოხდებოდა, რომ კიდევ ერთი ტყუილი მეთქვა:

– ბატონო ტარიელ, თქვენ უნდა იცოცხლოთ, დიდხანს, დიდხანს, რადგან ძალიან მჭირდებით, რადგან მეც, მეც ძალიან მიყვარხართ.

# დორა

პარკი ქალაქის ცენტრში იყო. დორა მას ხშირად სტუმრობდა. მხოლოდ სასეირნოდ კი არა, მას იქ თავისი წიგნები დაჰქონდა გასაყიდად. გაშლიდა დიდ ქოლგას, ჩამოალაგებდა პატარა მაგიდაზე წიგნებს და ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. ნებართვა ძლივს აიღო. უთხრეს, წიგნის გასასაღებლად სხვა ადგილები აქვს ქალაქს, ამ პარკს რას გადაეკიდეთო... საქმე ის იყო, რომ მან ამ პარკში თავისი სიყვარული იპოვა. ამიტომ ყოველთვის სიხარულით მიიჩქაროდა პარკისკენ, ყოველდღე ელოდებოდა მის მოსვლას და წლობით ფეხი არ მოუცვლია თავისი დახლიდან. Kკოხტად გამოწყობილი მამაკაცი ხშირად მოდიოდა დორასთან, გვერდით ჩამოუჯდებოდა და ყოველთვის პოულობდა სასაუბრო თემას. დავითი წიგნის რედაქტორი იყო.U ასაკშიშესულიპენსიაზეგავიდა, მაგრამ წიგნებსვერსცილდებოდა. ბავშვივით იკრავდა მათ გულში, ყნოსავდა, ეფერებოდა. წიგნით იღვიძებდა და წიგნით იძინებდა. დორასთან ბევრი საერთო ჰქონდა. ქალმაც ძალიან კარგად იცოდა წიგნის ფასი.

უკვე რამდენიმე წელი იყო, რაც დავითი და დორა ამ პარკში ერთმანეთს ხვდებოდნენ. ქალი მიეჩვია მას და ყოველი დღის გათენება იმიტომაც უხაროდა, რომ დავითი ენახა.

დავითმა თანდათან სულ უფრო უკლო პარკში სიარულს. მერე, რამდენიმე თვის შემდეგ, ის დორამ მეუღლესთან ერთად დაინახა. ახალგაზრდა ქალს ხელკავი გამოედო და ხელზე ნიშნობის ბეჭედს გამომწვევად ატრიალებდა. ყველაფერი გასაგები იყო და ასე მარტივად დამთავრდა. არ ვიცი, რატომ უყვარდა ქალს ეს პარკი და ის მოგონებები, რომელიც თავის წიგნში მას მიუძღვნა. ის ამ მოგონებებთან ერთად დარჩა მისი ერთგული...

პარკში მოსეირნე ყველა მოხუცი ერთმანეთს იცნობდა. აწყობდნენ ჩაიზე თავშეყრის სახალისო ღონისძიებებს. დორა მიეჩვია მათ და აქ მთელ დღეს წიგნებთან ერთად, ამ თბილ გარემოცვაში აღამებდა. შინ სავსე ჩანთით ბრუნდებოდა. ხანდახან გაივლიდა დღე და არც ერთი წიგნი არ ეყიდებოდა... ვიღაცამ საყვედურიც კი უთხრა, – რას დაათრევ ამ წიგნებს, ხომ ხედავ, არავინ კითხულობსო. მოიწყინა მოხუცმა და გადაწყვიტა, მეტი არაფერი დაეწერა. თავისი ვეებერთელა, წიგნებით სავსე ჩანთა დერეფნის ბნელ კუთხეში დააგდო და მისი არსებობა დაივიწყა. მელანშემხმარი კალამი თავის ერთადერთ მეგობარს უცდიდა, თუმცა, ამაოდ. ახლა პარკშიც იშვიათად ნახავდით ქოლგის ქვეშ შეფარებულ ლამაზ მოხუცს, წიგნით ხელში...

კარზე ზარის ხმა გაისმა. დორა ხალისიანად წამოდგა. მოენატრა ხმის გამცემი. კართან ფოსტალიონი იდგა. მან დორას ამანათი და ბარათი გადასცა. ქალმა ყუთში სახელდახელოდ ჩალაგებული თავისი მოთხრობების ნაქსოვი პერსონაჟები ამოიცნო. საოცრად ცოცხალი ხელნაკეთი ნიმუშები, ულამაზესი თოჯინები დორამ გულში ჩაიკრა და ცრემლები გადმოსცვივდა.

ბარათი დავითისგან იყო. შობას ულოცავდა დორას და მონატრებით ეკითხებოდა, კიდევ ხომ არ დაწერე სხვა წიგნებიო. დავითი პარკში შეხვედრას სთხოვდა.

ბედნიერებისგან გაოგნებული დორა მეორე დღესვე გაეშურა დავითთან შესახვედრად.

ისინი ისევ იმ ადგილზე შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც წლები ფეხმოუცვლელად ისხდნენ. Gგარეგნულად არც ერთი არ შეცვლილიყო. საუბრის დაწყება ეძნელებოდათ. Dდავითს ხელზე ბეჭედი არ ეკეთა. მან სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ისევ უცოლოა.

დიდხანს ისაუბრეს. Aარც ერთი სიტყვა არ უთქვამთ ერთმანეთისთვის საკუთარ გრძნობებზე, ურთიერთობებზე, მოლოდინზე, მონატრებაზე... ისე შემოაღამდათ, ვერც კი გაიგეს.

დორა შინ ბედნიერი დაბრუნდა. მისთვის მთავარი ის იყო, რომ დავითი დაუბრუნდა. ვინ იცის, როგორც მკითხველი თუ, როგორც მისი ნახევარი. Aახლა ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მთავარი ის იყო, რომ დორამ სიცოცხლის და წერის ინტერესი დაიბრუნა.

მე აუცილებლად გავაგრძელებ წერას, სანამ იარსებებს ერთი ადამიანი მაინც, ვისაც ჩემი ნაწერები მოსწონს, არ გავჩერდები, – უჩურჩულა თავის თავს და მტკიცე პირობა მისცა მის ერთ-ერთ თუ ერთადერთ თაყვანისმცემელ დავითს.

გარეთ ბარდნიდა. Dდორას პარკში მაგიდა გაეშალა, წიგნები ზედ დაელაგებინა. ახლა მას მეორე დახლიც მიემატა, მეტყველი თოჯინებით. ქალი მოცეკვავე ფიფქების მუსიკას ხმას აყოლებდა. დორა ბედნიერებისგან გაუთავებლად ცეკვავდა...

# მიმოზა ცანავა

## ერთად ამიტირდა სულში

გული – ოცნებების ოკეანე,
სული – გარდაცვლილი მზე და
ფიქრი – დაკაწრული ღამე,
ისევ უსაშველო სევდა.

იჭვი – ეკალ-ბარდი მწარე,
ისევ ქაოსური განცდა,
მკვდარი ფოთოლცვენა ირგვლივ,
ისევ ლოდინი და დაცდა.

ყელი – საამბორო, თბილი,
ალერსს მოკლებული მუდამ,
ისევ დამიშინა ბედმა,
ცივი მარტოობის გუნდა.

თვალი – ჩათვლემილი მზე და
ისევ ქარიშხალი ავი,
ასე რად ატირდა ნეტავ,
ჩემში გულმწუხარე ქალი.

რისთვის, ეგ ნათელი შუბლი,
რისთვის, ანთებული თვალი,



ნუთუ შეუძლებელს ითხოვს,
დარდით გადაღლილი ქალი?

მხოლოდ შეხიდება მინდა,
მარტო ამიკვნესდა თარი,
ოი, რამდენ რამეს იტევს,
დარდით გადაღლილი ქალი.

თურმე, ცის ლაციცი კმარა,
თუ ხარ დიდი გრძნობით მთვრალი,
ო, მზედ ჩამეღვარე სულში,
გვედრებს მარტოსული ქალი.

ატმის აფეთქებულ რტოზს,
ლეწავს გულბოროტი ქარი,
ერთად ამიტირდა სულში
დედა, მიჯნური და ქალი.

## მოვლენ მარტები...

ისევ ტირილით მოვლენ მარტები,
დამიმარტოვებს სევდის ორგია,
რა საჭიროა აწ განმარტება,
თითქოს ცხოვრება ცივი მორგია.

თითქოს ცხოვრება სატუსაღოა
და გაღიმებაც თითქოს, ყალბია,
ვხედავ, სიკვდილი აქვე ახლოა,
ახლა სიცოცხლე არა მწადია.

მზე გადაეშვა მბორგავ ტალღებში,
ნერვებაშლილი ნეტავ რას იჭვობს,
სული დალახვრა ძმის მახვილმა და
მინდა მზესავით თავი დავიხრჩო.

ფოთლები მთვარეს ჩამოასვენებს,
მოწიწებით და ხელატატებით,
მე მარტოობა დამისაკუთრებს,
ისევ ტირილით მოვლენ მარტები!

# ჯემალ ინჯია

***

მე „ხმელი წიფლის“ ჩრდილში გამზარდა
აკაკის ერთმა დიდმა „გამზრდელმა“,
არც უცხოური სიტყვა დამზარდა, –
„ვიპყრობდი“ პუშკინს, პოს და პასტერნაკს.

ისევ ამშვენებს კრუზო დეფოსი
ჩემს წარმოსახულ ფერად ვერნისაჟს,
ბრმა ჰომეროსის ვრცელი ეპოსი
და კაპიტანი ნებო ვერნისა.

მე მსურს ოცნებებს ავხსნა ბორკილი
და ვინავარდო თუნდაც სვიფტივით,
მე მსურს სიცოცხლე თოვლში, ბლოკივით,
და პეტეფივით – ომში სიკვდილი.

## ერეკლეს

ყველა ომში მამულს ახლდი
ბოლო ბაირაღამდის,
პატივაყრილს, ნამუსახდილს
მას ვერ დაინახავდი.
დაგამარცხა საჭურისმა,
გიღალატეს ხიზნებმა,
ბრწყინვა შენი საჭურვლისა
გასცეს დასამიზნებლად.
საბოლოოდ – მშვენიერი
ვერ დაგჯაბნა იმ უშნომ,
სიკვდილს მერეც ჩვენი ერის
უდრეკლობის ნიმუშო!

## ქანდაკება

ერთი სოფლელი გოგონა
მიაჭენებდა ზერდაგს,
დუშმანს აყრიდა ქოქოლას,
სამშობლოსათვის ძგერდა.

გოგო, რად გინდა შენ ცხენი,
შენ უნდა უჯდე აკვანს,
ვერვინ გხედავდეს შერცხვენილს,
დუნია გცემდეს თაყვანს.

შინმოუსვლელთა გზებს მზერდე, –
განა ხმლით ხელში იდგე...
მაია იჯდა ზერდაგზე, –
წყნეთში ვიყავი იმ დღეს.

# ზელა ქებურია

***

ზოგი ფერს იცვლის, ზოგი ტყავს,
ზოგი სულაც არ იცვლება,
გადაკვეთს მერიდიანებს
ზოგის ფხა... ზოგის დიდება.
ზოგი ვარსკვლავებს შესწვდება,
ზოგს არც უნახავს ვარსკვლავი,
ზოგი ცის ნამსაც ადიდებს,
ზოგიც ყველაზე გამწყრალი –
არც ცას დაგიდევს, არც მიწას,
არც ღვთის მადლსა და დიდებას...
მზე, მთვარე, სითბო, სიკეთე...
არც სურს და აღარც სჭირდება.
მაგრამ შენ, ჩემო დობილო
ლექსო, – ტკივილის დაიავ,
თუ ზეცად არ შეგვხედავენ
დილის ქარივით ჩავიართ...

## და იწყება

და იწყება მიქცევა... ყველა ხე წაიქცევა,
ველოდები სამყაროს მიმო-მიმო-მი-ქცევას...
ყველა ლექსში – გულივით მტკივნეული ნერვი ძევს,
დაიწყება მიქცევა ნელ-ნელა და ზენიტზე.
ისე ადის, გადადის ბგერა-ბგერა, ნოტი-ნოტ,
ასო-ასო, ტოტი-ტოტ...
თითქოს სურდეს სამყაროს ჩემი ცრემლი მოჰფინოს,
... და იწყება მიქცევა, ღამღამობით იქცევა...
ცამეტივე სვეტი და და ცამეტივე საყდარი...
ვიცი, ბეწვის ხიდზე ვარ! ვიცი, ნერვის წკიპზე ვარ...
რადგან ვხედავ – რაც იყო, სამწუხაროს – რაც არი,
სული... სული ფრთამალი... ხან ფხიზელი, ხან მთვრალი,
სისხლად მიმომავალი... ვხედავ, ისევ დამძიმდა,
თითქოს შიგნით გაწვიმდა და მეწყება კოლაფსი,
ველარ ამოვფრინდები ხორცის სარკოფაგიდან...
ვგავარ ოკეანესთან, – ცოდვის ოკეანესთან...
მიიქცევა... იქცევა... ქცევა... ევა... და... ვაი!
უზარმაზარ ფესვებით, რკინის მძიმე რელსებით
მი-რახ-რახ-რახ-რახ-რახებს და...



მაფრთხილებს ტრამვაი!

# თინათინ მღვდლიაშვილი

## მტკვარს

კოლას ხეობას გედისფერი ადგას ღრუბელი,
აქ იბადება საქართველოს დედამდინარე...
მტკვარი, – ქართველთა სევდიანი ჭირისუფალი,
ქართლის ცხოვრების დაუღლელი მემატიანე.

მზისფერ ქვაბულში მზის სხივებით ანაფერადი,
ბაგრატისეულ სითამამით არღვევს სანახებს...
მტკვარი, – ქართველთა უძლეველი ჯაჭვის პერანგი,
ჩვენი არსობის, ჩვენი ყოფის დიდი სათავე.

მოდის, მოღელავს სახიფათოდ აღზევებული
და თავს უხრიან არტაანის ლურჯი ველები,
გზას ულოცავენ ოკამიდან ვარძიისაკენ,
ცხრა მოწამენი, ცხრა მოძმენი, – კოლაელები.

ჩაუვლის ოთხთა ეკლესიას და მონისლული,
მეფე გიორგის ნატერფალზე ცრემლით ივსება...
მტკვარი, – ათასფრად მოქარგული და მოსირმული,
ჩვენი ბებერი მეციხოვნე, ჩვენი ღირსება!

მოდის და მოაქვს საწუხარი აურაცხელი,
ნელსურნელება ჯავახეთის ფერად რიყეთა
და მერე, თითქოს გულმოსული ქართლის მარცხებით,
მკვეთრად ღრმავდება ხერთვისთან და თმოგვის ციხესთან,

გაივლის მესხეთს, თრიალეთს და ტაშისკარამდე
ხვადი მგელივით მიუხტება თორის ხეობას...
მტკვარი, – ქართველთა მეთვალყურე კუბოს კარამდე,
ჩვენი წარსული, ჩვენი აწმყო, ჩვენი ზეობა!

მოდის მეფურად, მედიდურად, დიდი ამალით,
მრავალ წყაროთა მბრძანებელი მარადიული,
მცხეთასთან ზათქით უერთდება ორი არაგვი
და სამთავროდან არეკლილი სხივთა კრებული.

მოდის ფოცხოვთან და ლიახვთან გადახვეული,
ქართლის მიწაზე გაუშლია მძლავრი ტოტები...
მტკვარი, – გოროზი, გულზვიადი და ამღვრეული,
ყალყზე შემდგარი მბრძანებელი ვეფხვის ტორებით.

მოდის და მოჰყავს ძველ-ქართული შენაკადები
და არომატი წვიმის, თოვლის, მზის და ზვავების...
თბილისელებო, მტკვარი მოდის, ფეხზე ადექით! –
გუჯარეთისწყლით და ფარავნით შენაზავები.

და მოირწევა საქართველოს ჭირისუფალი,
მეტეხთან, თითქოს სუნთქვა ეკვრის, უხვევს ანაზდად,
მტკვარი, – მრავალგზის ნახანჯლარი და იდუმალი,
და მესაფლავე მოწამეთა ასიათასთა.

დიდი მდინარე, მეომარი მრავლისმხილველი,
მუდამ გარბის და მარადჟამს უკან ბრუნდება,
მიდის და ჰყვება ისტორიას აბო თბილელის
და თბილისელი თოლიები მიჰყავს გუნდებად.

მიდის სრულქმნილი, სრულყოფილი, ამოდ რხეული
და სამშვილდესთან ემსგავსება დაჭრილ ავაზას
და ვიდრე ზღვაში შთაინთქმევა აბორგებული,
გულში იხუტებს იორსა და მზისფერ ალაზანს.

კოლას ხეობა, – ძველი ტაოს ნაჭრილობევი,
აქ იბადება ივერიის მემატიანე...
მტკვარო, შენა ხარ საქართველოს საჩრდილობელი,
იდღეგრძელე და, ილაღე და მარად იარე!



# დაუვიწყარი ურთიერთობები

პიროვნების სულიერი განწმენდა, ამაღლება, სიმშვიდე და მზიური შუქი ადამიანებს მხოლოდ სარწმუნოებით როდი ეგზავნებათ, არამედ, სივრცის და მიწის ყოველი მონაკვეთი ხელოვნების ხიბლითაა გაჯერებული. ის ხომ მრავალმხრივ ამკობს და აძლიერებს პლანეტის ნებისმიერ რელიგიას, რადგან კანონიკური განსჯაა უფლისა, რის გარეშეც ჭეშმარიტი სრულყოფილება არ არსებობს.

სიკეთე და სიყვარული მისგან უწყვეტი სისხლსავსე ძარღვია. შემოქმედებითი ხელოვნება მოდის მისტიკური წარმოსახვებით ზეციური და მიწიერი წიაღიდან.

ცოცხალი არსებანი და პლანეტის ნებისმიერი ლანდშაფტი ენით აღუწერელი სილამაზისანი არიან, სადაც უფლის ნიჭი და შემოქმედებაა ჩაქსოვილი, მაგრამ ბოროტება ყველგან დაძრწის ძირმოუთხრელი...

გენიალური ხელოვნების ნიმუში ღმერთია ხილული და მისგან ნეიტრალდება ყოველი ეშმაკისეული.

ჭირისუფალნი შემოქმედების ნუგეშით ამკობენ საფლავებს, თვით გლოვაც ხომ მდუმარე ხელოვნებასთანაა განუშორებელი... სამწუხაროდ, სატანა ძალით თუ მოტყუებით ხშირად თავის სამსახურში აყენებს შემოქმედებით ხელოვნებას...

ახალდაბადებული ჩვილი, როგორც კი თვალს გაახელს, უმალ დედა და ძუძუ უყვარდება და ხელით წაეპოტინება, რადგან ის პირველყოფილი ხელოვნებაა მისთვის...

გარემო, ჰაერი, კლიმატის სხვადასხვაობა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები და კოსმოსური ბინდი, ღვთიური ხელოვნების მეოხებით თანდათან შედის ბავშვში და ზრდის უნაკლოდ...

ლადო გუდიაშვილი, ნიკო ფიროსმანაშვილი, ელენე ახვლედიანი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, გოგლა ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, აკაკი ხორავა, სერგო ზაქარიაძე, აკაკი ვასაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სპარტაკ ბაღაშვილი, უშანგი ჩხეიძე, ვახტანგ ჭაბუკიანი, ნიკოლოზ შენგელაია, ნატა ვაჩნაძე, მიხეილ ჭიაურელი – აი, ეს გვარ-სახელები და ცოცხალთაგან კიდევ რამდენიმესი ისმოდა ჩემს ირგვლივ. არსებობს სივრცის ხედვა და სრული აზროვნება, საკვირველია კოსმოსური უწყვეტი გზავნილობა უფალივით ყველგან რომ აღწევს. აქედან გამომდინარე, ლადო გუდიაშვილი, როგორც ზეციური მოვლენა, ლეგენდად მესახებოდა; ყმაწვილი ვიყავი და სოფლის გარემოცვაში, თითქოსდა, განცალკევებით, ვაზროვნებდი და ვოცნებობდი, ცოცხალთაგან ბატონი ლადოს თაოსნობით ეს გენიები უხორცო წმინდანებად წარმომედგინა და, მართლაც, ასე ყოფილა...

სამხატვრო აკადემიის პირველი კურსის სტუდენტი გახლდით, ახალგაზრდული, თავისუფალი ნამუშევრებით და ამაღლებული განწყობილებით გავეშურე ბატონ ლადოსთან. შეიძლება მაშინ ზედმეტი სითამამე იყო ჩემგან, მაგრამ ლადო გუდიაშვილის სახალხო გენიამ და მისდამი უსაზღვრო, კეთილმა წარმოდგენებმა, მიმიყვანა მის ატელიემდე. მეორე სართულის სადარბაზოს მარცხენა მხარეს, უზარმაზარ, ყავისფერ კართან, თეთრ, ფართო ღილაკს ვაჭერ თითს, ვღელავ, გული ამოვარდნასაა. გადის წუთები და გრუხუნით გაიღო კარი, გაკვირვებული სახით დიასახლისი, ქალბატონი ნინა გამობრძანდა. ურთიერთს მივესალმეთ და მეკითხება: ვინ გნებავთ, ახალგაზრდავ?! ვპასუხობ, – ძალიან მოკლე დროით ბატონი ლადო თუ შეიძლება ვიხილო-მეთქი.

– ბატონი ლადოს ნახვა ყველას უნდა და ეს ხომ შეუძლებელია.

– ქალბატონო ნინა! სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახლავართ და ჩემი ნახატები მინდა ვაჩვენო დიდ მხატვარს, ოდნავ თავდახრილმა, მორიდებით მივმართე.

– კარგი, აბა, ვეტყვი ლადოს.

შევიდა, კარი ისე მოიხურა, არ ჩაუკეტია და ატელიეს სიღრმიდან ისმის მამაკაცის დინჯი ხმა, – შემოიყვანე, ქალო! ქალბატონმა ნინამ ღიმილით შემიპატიჟა და, რას ვხედავ: ჩემსკენ მოემართება ულამაზესი კაცი, ჭაღარა, გრუზა თმით, სქელი წარბებით, ოდნავ წვრილი, ჭროღა თვალები, თეთრი, მუქლურჯი, სქელზოლებიანი პიჟამო აცვია.

–შემობრძანდი, ახალგაზრდავ!

მივესალმე დინჯად და კრძალვით გავეცანი.

– კეთილი, მობრძანდი, აი აქ დაჯექი, – მითხრა.

ბატონი ლადოს ატელიე, თითქოსდა ზღაპრული, ფერად იალქნიანი გემია წყნარ ოკეანეში მოცურავე. – ასე წარმომედგინა და თვალები გამირბის სურათებისკენ. მერმე პირადად მაესტროს მიადგება ჩემი უსასრულო ცნობისმოყვარეობა. სამხრეთის კედელზე უზარმაზარი სურათებია ექსპონირებული დევების თემაზე, ქართული ხალხური ზღაპრებიდან. აგერ, „ლოჟაში“, საოცრება, პატარა ზომის, საქვეყნოდ ცნობილი სურათი, ქალბატონ ნინას შედევრ-პორტრეტი, უამრავი სურათები ძველი თბილისის თემაზე და... რა და რომელ თემას არ იხილავ. პატარა ექსკურსის მერმე, – აბა, აკადემიის სტუდენტო, რეზო! გახსენი შენი სურათების შეკვრა და მანახე! ნერვიულად ვხსნი (ორი პატარა შეკვრა იყო).

– ნუ ჩქარობ, რეზო, – შინაურულად მეუბნება. შემდეგ ნახატებს გარკვეული დროით უყურა და მეუბნება: – ძალიან მომეწონა. გამოგიტყდებით და, მათში იგრძნობოდა ბატონი ლადოს შემოქმედებით გატაცება და არა მიბაძვა. ასე გააგრძელე, რეზო და შენ ნახავ, მხატვრობის რა დონესაც მიაღწევ. ოღონდ, უჩას არ ანახო, თუ არა, თუნუქს მოგაკერებს უკან და აკადემიიდან ისე გაგისტუმრებს. მაშინ ღიმილით მივმართე: – არა, ბატონო ლადო, ჩვენს პედაგოგებთან მე უფრო პეიზაჟები და კომპოზიციები მიმაქვს-მეთქი.

– მეორე მოსვლაზე, ბუნების მოტივებიც მომიტანეო, – მითხრა და უბედნიერესი ვიყავი ამ წინადადების გაგონებაზე. შემდეგ მეუბნება: – ახლა დაალაგე შენი ნამუშევრები და ეგერ კუთხეში დადევი, კარებთანო. ყველაფერს რომ მოვრჩი, – ჩემთან წამოდიო, – მითხრა. მივყვები. დიდ დარბაზსა და მომდევნო ოთახს შუა ღია დერეფნული გასასვლელია. ვხედავ, კედელზე ორი შავი სატინის მატერიაა ჩამოფარებული. მაესტრომ ასწია ორივე და, რას ვხედავ, მზედ გამოანათა ამედეო მოდილიანის გენიალურმა გრაფიკულმა პორტრეტებმა და აღტაცებისგან კინაღამ დავიჩოქე.

– რეზო, ამ საოცარმა მხატვარმა თვითონ მაჩუქა კაფე „როტონდაში“. მოდი, დავსხდეთ და მოგიყვები, თუ როგორ მოხდა. ამასობაში ვეკითხები, – შავი სატინის ნაჭრები რატომ გაქვთ ჩამოფარებული ნახატებზე-მეთქი. – ეს იმიტომ, რომ დღის შუქი ახუნებს და აყვითლებს ქაღალდს და ფანქრისგან მონასმი ხაზებიც თავის ელფერს ჰკარგავსო. ოთხკუთხა, პატარა, ნაცრისფერ მაგიდასთან, ორნი ვსხედვართ, ყავა და ღვინო გვიდგას თითო ჭიქა, – მე დავუკვეთე ბარმენს. ცოტ-ცოტად ვაგემოვნებთ წითელ ღვინოს, ვსაუბრობთ, თან ამადეო ჩანახატს აკეთებს, ახლო მაგიდასთან ორი პოლონელი გოგო იჯდა, ისინი თავისთვის მუსაიფობდნენ. მორჩა ერთის ულამაზეს პორტრეტს და მეორესი დაიწყო ძალიან აღგზნებულმა. და, რას ვხედავ, ხაზები ცურავენ მდინარის თევზივით ქაღალდზე, თითქოსდა, მუსიკა ჟღერდა ახალი, უცხო... მერმე, ხატვა შეწყვიტა უცბად, ხელი მოაწერა, ადგა, ოდნავ წელში მოხრილი, ღიმილით მივიდა გოგოების მაგიდასთან და გადასცა ნახატები, მათი სახე რაღაც უმეტყველო გახდა, სურათები უხასიათოდ ატრიალეს იქით-აქეთ და... – ესენი ჩვენ არა გვგავსო, – აგდებულად თქვეს. მოდილიანმა ნამუშევრები უცბად გამოართვა მათ, დაღვრემილი და სევდიანი სახით თავის ადგილას დაჯდა, მერმე მე, მრავლისმეტყველად გადმომხედა და, – ლადო, შენი იყოს ეს ნახატები, ნერვიულად წინ დამიდო. მოულოდნელობისაგან გავიხარე და აღფრთოვანებულმა ჩემს საქაღალდეში ჩავალაგე. ამრიგად, წარმოუდგენელი ღირებულების სურათებით დამაჯილდოვა გენიალურმა მოდილიანმა. ღმერთმა დალოცოს ის პოლონელი გოგოები, – ღიმილით ჩაილაპარაკა მაესტრომ. შემდეგ, მასპინძლებისგან უფლებამოსილი, ხშირად დავდიოდი გუდიაშვილის ატელიეში და ბევრად უფრო მაღალ და საინტერესო იდეებზე საუბარს ვისმენდი მისგან, ვინემ სამხატვრო აკადემიაში (გამონაკლისის გარდა).

კვირა დღეა. დილიდან ვესტუმრე მაესტროს, – რამეში ხომ არ მოგეხმაროთ, – ვეუბნები. – დღეს არა, ხვალ, 12 საათზე მოდი, რამდენიმე ძველებური ჩარჩო მაქვს გადასაკეთებელი და აკადემიის ხელოსანთან წამიღეო. ამ დროს მორიდებით ორი ახალი გრაფიკული ნახატი წარვუდგინე. მოეწონა, გულისხმიერად დამარიგა და რჩევები მომცა. საუბრის ხასიათზე იყო, იცოდა, პარიზულ მოგონებებზე ვგიჟდებოდი: – პარიზში, ჩემს ირგვლივ, ფრიად მნიშვნელოვანი შემოქმედებითი გარემოება იყო. ზოგიერთი უკვე აღიარებული ფრანგი მხატვარი მეუბნებოდა, – ჩვენს ხელოვნებას კი ნუ გვანახებთ, თქვენი, ეროვნული სახე წარმოადგინეთო და ძალიან მართლებიც იყვნენ. მე ხომ მაგ გზით მავალი მხატვარი ვიყავი, მაგრამ მათგან ეს ნათქვამი მსიამოვნებდა. იმ პერიოდში უკვე შექმნილი მქონდა ბევრი სურათი ძველი თბილისის თემაზე, განსაკუთრებით კინტოების ცხოვრებაზე, ძალიან კოლორიტული იყო ყარაჩოხელებისა და კინტოების საზოგადოება. მათში კავკასიის, კერძოდ, იმ საუკუნის გამოკვეთილი თბილისური სახეაო გამჟღავნებული. მერმე მომიბრუნდა და მითხრა: – რეზო, კომპოზიციებში ხელების მოძრაობას მიაქციე ყურადღება, დააკვირდი ჩვენს ფრესკებს და იქიდან ყველაფერს კარგს ნახავ და ისწავლი. მართლაც, ბატონი ლადოს სურათებში ხელების, სახისა და ტანის შეუდარებელ, რიტმულ-მუსიკალურ მოძრაობათა სიმფონიაა და, მთლიანი, კონკრეტული, ძლიერი, ძარღვიანი, მუქი და ნათელი ფერებით იქმნება საოცარი ლაკონურ-პოეტური ჰარმონია. მართლაც, რომ შეუდარებელმა მხატვარმა, შექმნა ინდივიდუალური სტილი და საკუთარი პლასტიკა. ისინი, მხოლოდ, გაგონებენ დიდ ბოტიჩელს, სპარსულ მინიატურებს, მატისს, მოდილიანს, ზოგჯერ, იაპონლებს გაგახსენებს, ან ძველ ეგვიპტურ ხელოვნებას, ჩვენს უნიკალურ ფრესკებს და, საბოლოოდ, მათ სულიერ გალერეებში მარადიულად წევრ-ურთიერთობებს ჩვენი მაესტროს გენიაც...

მერმე, მშვიდად განაგრძო საუბარი: – კაფე „როტონდაში“ ჩაფიქრებული ვზივარ, ყავას ვსვამ და მოუსვენარი პაბლო პიკასო შემოვიდა პატარა, თეთრი, იაპონური ძაღლით. ვარდისფერი თოკი თავის სკამზე მიაბა და აქეთ-იქით იყურება მკვირცხლი თვალებით. შემდეგ მე გადმომხედა, – მხატვარი ხარ? – მეკითხება. დიახ, მისიე პიკასო, – ვეუბნები. გაეღიმა. – რომელი ქვეყნიდან?! – საქართველოდან გახლავართ, მივუგე და თავი დააქნია. – გამიგია! შემდგომ, რატომღაც, ყავა ჩქარა დალია, ძაღლს გამოელაპარაკა, შემომხედა, – „ობლუა მისიე“, – მითხრა და ძალიანად გავიდა. ქუჩაში რომ მიდიოდა, სანამ სახლს არ მიეფარა, თვალი არ მომიშორებია.

ახლა მოგიყვები ჩარლი ჩაპლინზე. მაესტრო ყოველ ეპიზოდს პაუზებით მიყვებოდა. ისევ მხატვართა და პოეტთა კაფე „როტონდა“, ხალხმრავლობაა, რამდენიმე ფერმწერთან ერთად ვზივარ. ყავა და მცირე ტკბილეული აწყვია მაგიდაზე და ორი ბოთლი წითელი ღვინო. ამ დროს მოისმა გარედან ჟრიამული, ყველამ იქითკენ გაამახვილა ცნობისმოყვარე თვალები და შემოდის ჩარლი ჩაპლინი, პატარა ტანის და ენერგიულად მოძრავი. ჩვენ ყველანი ფეხზე წამოვუდექით. თითოეულთან მივიდა და მიესალმა. გამეცინა, პატარა ბავშვის თათებისოდენა ხელი რომ ჩამიდო ხელის გულში, თან ღიმილით თავის სახელსა და გვარს გვეუბნებოდა.

ერთ-ერთ შეხვედრაზე ესპანელ მხატვარ იგნასიო სულოაგაზე დიდხანს მესაუბრა. თავიანთ ურთიერთობაზე ძალიან ვრცლად და საინტერესოდ მომიყვა ყველაფერს დეტალურად... მერმე, უცბად გადაუხვია მაესტრომ თემას და მეუბნება, – რეზო დასრულებული მხატვარი რომ გახდები, შენი ყველაზე კარგი ნახატები არასოდეს მისცე კერძო პირებს – ოჯახებს, რადგან ისინი სამუდამოდ ბინაში ჩაკეტავენ და ვინ იცის, რა ბედი ეწევა მომავალში. ყველაფერს ჯობია, მუზეუმებში, გალერეებში, ან შენთან იყოს დაცული და შენახული.

უკვე აკადემია დამთავრებული მქონდა, ზოგჯერ ტელეფონით ქუჩიდან დავურეკავდი და, თუ ძალიან დაკავებული არ იყო, დანიშნულ დროს თვითონ მიღებდა კარს. ერთ დღეს ასე დაიწყო ჩვენი შეხვედრა: ცნობისმოყვარეობით ვეკითხები:

– ბატონო ლადო, არ გენატრებათ პარიზი? – როგორ არა, მპასუხობს. – სიამოვნებით, გარკვეული ხნით, წავიდოდი კიდევაც, მაგრამ... და, უმალ, ისევ სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი. შემდეგ მოყოლა გააგრძელა მძიმე და სევდიან წარსულზე.

– ის უბედური 37 წელია, – მეუბნება, – ვიღაცამ დამასმინა ბერიასთან, ლადოს თავის ერთ-ერთ ნახატში საიდუმლოდ სვასტიკა აქვს გამოსახულიო, იგულისხმებოდა იაზონი, მითიური ხარებით მიწას რომ ხნავს, ხნულებში ფაშისტური სიმბოლოები შეინიშნებაო და ფორმიანი რამდენიმე ჩეკისტი თავს დამადგა, პირდაპირ ის სურათი ჩამოხსნეს და უხეშად წაიღეს. რა თქმა უნდა, მეც წამიყვანეს და ჩეკას კომენდატურის კამერაში სამი დღით ჩამკეტეს. უკვე ჩვენს შორის შეხვედრების ის პერიოდია, რბილსა და ზომიერ შეხუმრებებსაც ვუბედავდი და...

– ლადო ბატონო, კამერაში რას გაჭმევდნენ, ის ოხრებიო? – ვეკითხები.

– რას, ბიჭო, და – წყალ-წყალა ბალანდას, – მიპასუხა და ორივეს გაგვეცინა. მერმე, ვერაფერი რომ ვერ მიპოვეს, ხელისმოსაკიდებელი და პოლიტიკურად დამადანაშაულებელი ჩემ სურათიანად, დამნაშავე ტუსაღივით, მაინც ცივად გამომიშვეს.

– ერთ-ერთი რესპუბლიკური გამოფენაა, – მეუბნება ჩემი გზის გამკვალავი, – საგამოფენო კომისია შეიკრიბა, – მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, კულტურის მინისტრი და ბერია მიუყვება წინ. ამ დროს მხატვართა თავკაცი უხსნის ლ. ბერიას გამოფენის შინაარსს და ესაუბრება თითოეულ ავტორზე. ჩემ სურათებთან (ორი ნაწარმოები მქონდა გამოტანილი) შეჩერდნენ თურმე და, გაერთიანების თავმჯდომარე ეუბნება ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, – ამ კაცმა ისევ ვერ მოიშალა მოდერნისტული სურათების ხატვაო. მაშინ ბერიას წამოუძახია: – დუიტ! ერთი მხატვარი ვერ აგიტანიათ ამდენ მხატვრებსო და ასე იოლად გადავრჩი მაშინაც. ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაზე გულდაწყვეტით ბევრს მესაუბრებოდა, კანკელის მოხატვის შემდეგ მუშაობა მიმატოვებინეს ჩეკა-ს წარმომადგენლებმა და აკადემიის უფროსი პედაგოგობიდანაც გამანთავისუფლეს.

დიდი მხატვრის წარსულის ყოველი მოგონება წარუშლელ სურათებად იხატებოდა ჩემს მეხსიერებაში.

ერთხელ დიდ გალაკტიონზე ჩამოვარდა საუბარი: – ხო, მინდა გავიხსენო გალაკტიონ ტაბიძეზე უსიამოვნო ეპიზოდი, რაზეც გაბრაზებული ვარ ჩემს თავზე. დარეკა სახელოსნოს ზარმა. გამოვედი სამუშაო ოთახიდან, დარბაზი გავიარე და ვაღებ კარს... ჩემს წინ დიდი გალაკტიონია, კოხტად ჩაცმული, სრულიად ფხიზელი. ხელში უკავია სამხატვრო თეთრი ტილო, ახალ ქვეჩარჩოზე გადაჭიმული, მოზრდილი ზომის. შემოვიპატიჟე. მაგიდასთან დავსხედით. გავესაუბრეთ ერთმანეთს ხელოვნებაზე, კერძოდ, პოეზიაზე, ფერწერაზე. ცოტაც დალია და მეუბნება გაბრწყინებული თვალებით: – ბატონო ლადო, აი ეს სახატავი ტილო მოგიტანე და დამხატეო. მშვიდად მივუგე: – გალაკტიონ, ამჟამად ძალიან დაკავებული ვარ და შემდეგისთვის გადავდოთ-მეთქი. სახეზე შეეტყო, მწარედ ეწყინა და წესიერად არც დამმშვიდობებია, ისე ცივად წავიდა. მეც დავღონდი და ახლაც ნაღვლიანად განვიცდი, – უთუოდ რამე უნდა მეღონა.

დაბალი ხმით ვეუბნები, – შემდეგ ხომ შეიძლებოდა მგოსანზე შეთავაზება? – არა! იმ დღის მერმე მე ის არ გამკარებია...

შემოდგომის წვიმიანი დღეა, მაესტროს პატარა დავალება შევასრულე და მასთან კმაყოფილი ვზივარ. შემდგომ მოკრძალებული კითხვით შევიჭერი მისი საუბრის თემაში და... – უმორჩილესად გთხოვთ, მომიყევით რამე ნიკო ფიროსმანაშვილზე.

– დიახ, – დინჯად დაიწყო საუბარი, თან სივრცეს მიაცქერდა: – ნიკო! მართლაც თვითნაბადი მხატვარი და ზნეობრივადაც გამორჩეული კაცი იყო. ამ უსასრულო ხელოვნებაში თავისი უზარმაზარი ინდივიდუალური სამყარო შექმნა. ღვთისგან სრულიად თავისებური ბუნების ხელოვანი იშვა. ერთხელ თბილისის მხატვართა გაერთიანებამ იმსჯელა ნიკო ფიროსმანაშვილზე და დადგენილებაც გამოიტანეს. – ფული შეეგროვებინათ დახმარებისთვის, ღარიბი მხატვარი იყო, უკიდურესად, მხოლოდ, სურათებით უმდიდრესი, მაგრამ... შეგროვდა გარკვეული რაოდენობის ფული და მე დამავალეს, მომეძებნა ნიკო და პირადად გადამეცა ეს თანხა. კითხვა-კითხვით მივაგენი მის სამყოფელსაც, რკინიგზის სადგურთან ახლოს, კიბის ქვეშ, ნესტიან სათავსოში ცხოვრობდა. პატარა, მოშავო ფერის ფიცრულ კართან ვაკაკუნებ და შიგნიდან ყრუ ხმა მომესმა, – კარი ღიაა, მობრძანდით! შევედი. ოთახში ნახევრად სიბნელე იყო, ოღროჩოღრო იატაკი აგურით იყო დაგებული. რაღაცას საქმიანობდა. საღებავებით მოსვრილი ტაბურეტკის სკამი დამიდგა, – დაჯექი, – მითხრა. თვითონ ვიწრო კუშეტკაზე ჩამოჯდა. მერმე გავეცანი, მხატვარი ვარ, ლადო მქვია. მხატვართა გაერთიანებამ თქვენთან გამომგზავნა-მეთქი. – ლადო გქვია, არა?! და, კოლეგა ხარ, ლადო?! მიამბე, რას ხატავენ თქვენი მხატვრები? – ყველაფერს, ნიკო ბატონო! – საინტერესოა! – თქვა, თან ვათვალიერებ იქაურობას, – პატარა თაროზე შუშაშებოლილი ლამფა იდგა, კუთხეში სურათები ეწყო, მათ შორის იყო „ჟირაფი“ და „შავი ლომის“ ნახატი. „თამარ მეფეც“ შევნიშნე, მარჯვენა მხარეს „აქტრისა მარგარიტა“ და რამდენიმე სხვა სურათიც არეულად ელაგა. იქვე, ფერებში დასვრილი ვედრო და შიგ ფუნჯები ეყარა. ტანსაცმელი სხვადასხვა ფერებით ჰქონდა აჭრელებული.

– ლადო, დამენვიე, პური მაქვს, ბოლოკი და წყალი, თუ დამიცდი, ღვინოს ეხლავე მოვიტან, – გულღიად მითხრა.

– არა, ბატონო ნიკო, დიდი მადლობელი ვარ, მხატვრებისგან საჩუქარს დაგიტოვებ და უნდა წავიდე, მეჩქარება. პატარა ქაღალდით ფულის შეკვრა მაგიდაზე დავუდე, წარბებაწეული მომაშტერდა და, მადლობელი ვარ, ლადო, შენი და იმ მხატვრების, ყველასი. მაშინვე აიღო ფული მაგიდიდან, ჯიბეში ჩაიდო და მეუბნება: – წავიდეთ, ახლოს, აგერ, ეზოდან რომ გავალთ, იქვე, კარგი ღვინო აქვს კიკვაძეს, კეთილ კაცს. კასრთან დავდგეთ ცოტა ხნით, მხატვრობაზე ვილაპარაკოთ და ერთმანეთიც დავლოცოთ. ოთახიდან გავედით. კარი ისე უბრალოდ მიხურა და ქუჩაში საუბრით რომ მივდიოდით, უცბად შეჩერდა: – აგერ, ლადო, აქ შევიდეთ! – მე მართლაც მეჩქარება, ბატონო ნიკო, ვუთხარი, დავემშვიდობე და წამოვედი. ის ერთ ადგილას გაშეშებული იდგა და მიყურებდა. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ, სახლებს რომ ვეფარებოდი, მივიხედე, უცებ შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯებით ღვინის სარდაფში ჩავიდა...

დიდი ხანი გავიდა იმის შემდეგ და ახლაც გული მწყდება, შეუდარებელი მხატვარი, კეთილი ნიკო რატომ გავაწბილე და არ ჩავყევი, თითო ჭიქა ღვინოზე-მეთქი. ბევრ რამეს ხომ მომიყვებოდა თავის ირგვლივ, ჩემთვის და ყველასთვის ძლიერ საინტერესოს. ახლა კი ვნანობ, თქვა და დადუმდა. მაშინ ბატონ ლადოს რომ შევხედე, ღრმად სევდიანი გაუხდა სახე. თითქოსდა, ფერიც ეცვალა... მე კი, სიტყვის ამოღებას ვერა ვბედავდი ამ გულღია გენიის წინაშე...

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში რომ ვმსახურობდი, ბატონ ლადოზე ზოგჯერ ვეკითხებოდი ხოლმე ახალი ქართული ხელოვნების განყოფილების გამგეს, ქალბატონ ქეთევან ბაგრატიშვილს. კაბინეტში ვსხედვართ და ხალისით მიყვება: – ერთხელ, მათივე საქმეზე მივედი და სადილობას მივუსწარი. რა ჰქონდათ საჭმელი, უნდა გითხრათ: ქალბატონმა ქეთომ სინანულის ტონით თქვა, – ორი ნაჭერი პური და თითო მოხარშული კარტოფილი. ძალიან შემეცოდა ორივე და ბატონ შალვა ამირანაშვილს, მუზეუმის დირექტორს, ვთხოვე, – ბატონო შალვა, ასეთი მდგომარეობაა გუდიაშვილებთან და ერთი ან ორი სურათი როგორმე შევიძინოთ მუზეუმისათვის, მშიერი რომ არ მოგვიკვდეს ის ხალხი-მეთქი. ბატონმა შალვამ მტკიცედ მომიგო: – ორი კი არა, სამი სურათი შევიძინოთ, ქეთო ქალბატონო და... იმ დღიდან ეშველა მათ და ნაღდ შიმშილობას ავაცდინეთ დევნილი მხატვრის ოჯახი.

– რეზო! – მეუბნება დიდი მაესტრო, – ქაშვეთის ეკლესიის ყველა კედლის ესკიზები შენახული მაქვს, მომავალში გუმბათი და სამი კედელი აუცილებლად უნდა მოვხატო და დავასრულო. ეს სიტყვები მან ისეთი ენთუზიაზმით თქვა, რომ მე, რო-

➔

←

გორც ღრმად მორწმუნე, ქართული ხელოვნებისა და, პირადად, ბატონი ლადოს მხატვრობის თაყვანისმცემელი, სიხარულისაგან აღვფრთოვანდი. — შეგირდად თუ ამიყვან, ბატონო ლადო? — ზოგადად ვეკითხები. — რა თქმა უნდა, — იყო პასუხი. — მე ვიცი, შენ ეკლესია და ფრესკები გიყვარს და ამ საქმეში გამომადგებიო. დრომ და ცხოვრებამ თავისი ქნეს და ეს ოცნება თუ მიზანი ვერ აღსრულდა. წლები მიდიოდა, აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი დავამთავრე და იმ ზაფხულსვე რესპუბლიკურ გამოფენაზე მივიღე მონაწილეობა – ჩვენი ჯგუფიდან, თემურ გაგნიძემ და მე სურათების მისაღებ ტურებზე გავიმარჯვეთ და გავხდით დიდი ვერნისაჟის რეალური დებიუტანტები. ჩემთვის წარმოუდგენელი სიხარული იყო, რომ პირველად ვიფინებოდი სახელმწიფო ცისფერ გალერეაში ლადო გუდიაშვილის გვერდით. აქვე მონაწილეობდნენ სერგო ქობულაძე, კოკი მახარაძე, ზურაბ ნიჟარაძე, ედმუნდ კალანდაძე, თენგიზ მირზაშვილი, გურამ ქუთათელაძე, მიშა ხვიტია, ბეჟან შველიძე, თემურ გოცაძე, გივი თოიძე, რადიშ თორდია, ოთარ სულავა, ნათელა იანქოშვილი, ჯიბსონ ხუნდაძე, ფარნაოზ ლაპიაშვილი, მხატვართა წინამძღოლი უჩა ჯაფარიძე. დიდი მოქანდაკეები: კოლია კანდელაკი, ელგუჯა ამაშუკელი და სხვ... კერამიკოსები, დეკორატიული ხელოვნების წარმომადგენლები, ხალიჩის უბადლო ოსტატი გივი ყანდარელი. ჩვენს რამდენიმე კურსელს დიდად არ გახარებია ეს ჩვენი შემოქმედებითი გამარჯვება, მაგრამ გაგნიძეს და მეც არ გაგვკვირვებია მათგან ასეთი თანდაყოლილი ფსიქოლოგიური მოვლენა...



დრო გადიოდა. 1972 წელს გიორგი მაქაცარიას შუამავლობით ხელოვნების მუზეუმში უმცროს რესტავრატორად მიმიღო დიდმა მეცნიერმა და ღვთისნიერმა ადამიანმა, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა. შემდეგ ბატონმა შალვამ სამუშაო ოთახიც გამომიყო...

წლები წლებს მიჰყვებოდა, რესტავრატორობას თავი დავანებე და, ახალი ქართული ხელოვნების განყოფილებაში, ქეთევან ბაგრატიშვილთან გადავედი უმცროს მეცნიერ- მუშაკად და იმ დღიდან ნიკო ფიროსმანაშვილის, დავით კაკაბაძის, მოსე თოიძის, გიგო გაბაშვილის, შალვა ქიქოძის, ქეთევან მაღალაშვილის, ეკატერინე ბაღდავაძის, თინა აბაკელიას და ბევრი ჩვენი საამაყო ეროვნული მხატვრის სურათების ჩათვლით, მტვერსაც არ ვაკარებდი. იმ წელს დარბაზებში თანაბარი ტემპერატურის და ჰაერის ზომიერი სინოტივის შენარჩუნების აპარატებიც დავდგით და, როგორც მოგახსენეთ, ავტორებზე უკეთ ვუვლიდი მათ ტილოებს, ასევე ჩვენი დიდი ლადოს შედევრებს.

გიორგი მაქაცარიამ და მე ლადოს სახელოსნოს სურათებიდან რამდენიმე პროფილაქტიკურად გავწმინდეთ და შემთხვევით გაფხაჭნილი ადგილები გავაქრეთ ტონირების მეშვეობით. უფრო, როგორც რესტავრატორი, გიორგი ასრულებდა ამ საპასუხისმგებლო სამუშაოებს. ამჟამად კურიოზისმიერი უსიამოვნო ისტორია მინდა გავიხსენო. 1985 თუ 1987 წლებია და ჩემს მშობლიურ სენაკში ვმუშაობ სამეგრელოს პეიზაჟებზე. ერთ იღბლიან დღეს მოვხვდი კურორტ მენჯის ადმინისტრაციულ შენობაში, თუ არ ვცდები, ღვინჯილია იყო უფროსი. მან პირდაპირ, კაცურად მთხოვა, კურორტის მიდამოები დამეხატა და კუთვნილ თანხას უთუოდ გადაგიხდიო. ამ დროს კანტორის ერთ-ერთ ოთახში, შემთხვევით, შევნიშნე გუდიაშვილის ნახატისმიერი ფერწერული სურათი. კარგად რომ შევისწავლე, დავადგინე, ნაწარმოები ლადო გუდიაშვილს ეკუთვნის, ყოველგვარი ეჭვის გარეშე. იმ პერიოდში, სამინისტროს დავალებით, პარალელურად, სურათების ორი საკომისიო მაღაზიის უფროს ექსპერტად ვმუშაობდი და ნამდვილად არ შევცდებოდი. კურორტის უფროსობას ვეკითხები, — მოგწონთ თქვენ ეს სურათი-მეთქი? — არც ისეო, — მიპასუხეს. ორჯერ დიდი ზომის პეიზაჟის სურათს ახალ ტილოზე დაგიხატავთ და გავცვალოთ-მეთქი. დამთანხმდნენ. სამი თუ ოთხი დღე პლენერზე ვმუშაობდი, შეძლებისდაგვარად, მთლიანი მენჯის მდებარეობის საინტერესო სურათი შევქმენი, გავუკეთე კარგი ჩარჩო და წარვუდგინე მათ. ნაწარმოებთა გაცვლა მოხდა კანონიერ ფორმებში. მერმე, ავტორ ლადო გუდიაშვილის ეს ძვირფასი ფერწერა – „მცხეთა“, ჩამომაქვს თბილისში. მე, როგორც ახალი ქართული ხელოვნების განყოფილების უკვე უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა, უსასყიდლოდ ჩავაბარე მუზეუმს. ხელოვნების ეს სიახლე დაიბეჭდა გაზეთ „თბილისში“. თითქოსდა, მუზეუმის ხელმძღვანელმა, მოიპოვა გუდიაშვილის სურათი და საჯაროდ გადასცა ახალი ქართული ხელოვნების განყოფილებას. ყოველივე უმსგავსობა რომ გავიგე, მეწყინა, ეს რა სიმდაბლეა-მეთქი და არ გამოვეკიდე პატარა კაცურ საქციელს, ჩემთვის მთავარი იყო, ფაქტიურად, მე ხომ გადავარჩინე ეს სურათი და ქვეყანამ იცოდა, რომ ტყუოდა კორესპონდენტი და ინტერვიუს მიმცემი... ამდაგვარად, სიამოვნებით შევურიგდი პატიოსან სიღარიბეს...



# და მოგონებანი

აქვე მინდა ჩავრთო მაესტროსგან უცნაური მოგონებაც პარიზის მაშინდელ ამორალურ მამაკაცებზე, წითელ პომადას რომ ისვამენ ტუჩებზე, ფერუმარილითაც სახეს რომ ითხუპნიან. მერმე ზიზღით დაუმატა, — ინტიმურად ურთიერთობენ კიდევაც და ქუჩებში ისე დადიან, ვითომ არაფერიო, — „მულენ რუჟის“ მარჯვენა მხარის რამდენიმე ქუჩა მათ ეკუთვნით. ამ საუბარს გაოგნებული ვუსმენდი, ნუთუ ამდაგვარი კაცებიც არსებობენ ქვეყნად-მეთქი? თურმე, სამწუხაროდ, არსებულა...

ფიქრებით და მოგონებებით გადავიწიოთ გარკვეული დროით უკან და მუზეუმის ჩემს სახელოსნოში შევიხედოთ, დღე და ღამე სისტემატურად პიროვნებათა თანამედროვე სახეებზე, კომპოზიცია-ხატებზე ვმუშაობდი (რა თქმა უნდა, სამსახურის აუცილებელ საქმიანობასთან ერთად). ახალგაზრდების გვერდით შევქმენი გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები, — „შოთა ნიშნიანიძე“ ამჟამად ხელოვნების მუზეუმში ინახება, „ოტია იოსელიანი“ — კოლექციონერთანაა, „იოსებ ნონეშვილი“ ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმშია, „დილარ ივარდავა“ — თავად პოეტთანაა, „თენგიზ არჩვაძე“ — ავტორთანაა, „ოთარ მეღვინეთუხუცესი“ — თეატრალურ მუზეუმშია დაცული, „თამარ ციციშვილი“ — ნ. ფიროსმანაშვილის მუზეუმშია, „გურამ საღარაძე“ — ავტორთან ინახება, „ზინაიდა კვერენჩხილაძე“ — ქალბატონ ზინაიდას ბინაშია დაცული, მომღერალი „მედეა ძიძიგური“ — ხელოვნების მუზეუმის ფონდებშია, „მედეა ბიბილეიშვილი“ — ბერლინშია წაღებული, აგრეთვე, რამდენიმე მოცეკვავე სუხიშვილის ანსამბლიდან. ეროსი მანჯგალაძის, რეზო ინანიშვილის და შალვა ამირანაშვილის პორტრეტებზე მუშაობა არ დამაცალა უზენაესმა.

გადის დრო სანუკვარი და ჩემი ნამუშევრების სერიიდან ხელოვნების მუზეუმის ფონდებში შვიდი სურათი დაბინავდა, რამდენიმე — მხატვართა კავშირის ფონდებში, ევროპაში და სამი — მოსკოვში. ამდაგვარად გათამამებულმა, გავბედე და შევკადრე დიდ მაესტროს, რომ თვითონვე დამეხატა. იმ პერიოდში ბატონი ლადო სოციალისტური შრომის გმირია. წინადადებას ღიმილით დათანხმდა და დაიწყო ჩემთვის ხელოვნების ახალი პერიოდი. გენიალური მხატვარი დადიოდა ჩემს სახელოსნოში და მე მის პორტრეტს ვხატავდი. უკვირდა ყველას, შურდა ბევრს. მიკვირდა მეც. ერთი თვის განმავლობაში გულმოდგინედ და რეგულარულად ვიკრიბებოდით ჩემთან. გაოცებული იყო ქალბატონი ნინა, ეს როგორ მოხდა, ლადო არავის არ დათანხმებია დახატვაზე და თქვენ კი სიამოვნებით გამოგყვათ სეანსებზე. მუშაობის დროს ჩემთან სტუმრად მოდიოდნენ კორესპონდენტები, ფოტორეპორტიორები, მწერლები, პოეტები, მეცნიერები, მსახიობები (თენგიზ არჩვაძე, ლეილა აბაშიძე, ლადო ცხვარიაშვილი, ჯემალ მონიავა), ქეიფები და, საერთოდ, დალევა აიკრძალა. იყო საუბარი ხელოვნებაზე და, კერძოდ, ფერწერაზე, პოლიტიკაზე ერთი სიტყვაც არ თქმულა. მე, როგორც 1924 წლის აჯანყებისა და გამოსვლების მონაწილის, მენშევიკების და გაკულაკებული ოჯახის შვილი, პიონერი, კომკავშირელი და პარტიული, არასოდეს ვყოფილვარ და ჭირივით ვერ ვიტანდი საქართველოს დამღუპველ ლენინურ პარტიას. ერთხელ ცოტა გავლიზიანდი, მაესტრო სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავით ჩემთან რომ მოვიდა: — ბატონო ლადო, უმაგისოდაც თქვენ უფრო დიდი და ლამაზი ხართ-მეთქი. ამხედა კეთილად და მითხრა, — სუ! ბიჭო, ვინმემ არ გაიგონოს! მართლაც გადის დრო უმკაცრესი. როგორც ეკლესიასთან ფიზიკურად და სულიერად ახლოს მდგომი, მრავალი ხატის ავტორი და ეროვნული მოძრაობის წევრი, ლენინური პარტიის მუზეუმელებმა სამსახურიდან გამაძევეს, შემდეგ სამუშაოდ არსად არ მიკარებდნენ, ამიკრძალეს უცხოეთში გასვლა, არ მაძლევდნენ საცხოვრებელ ბინას და ყოველგვარ დახმარებას, ჩემმა ეკლესიის მესვეურებმაც არ მიმიღეს, აბა, რა ვიცოდი, აგრე ღიად კაგებეს და კომუნისტური პარტიის მოძულეს ეკლესიაშიც არ გამაჭაჭანებდნენ, რადგან, თურმე, იქაც ყოფილან გაბატონებულნი მათი მსახურები, იმედად შევრჩი მხოლოდ ღმერთს, სამშობლოს და ხელოვნებას, ამ სამმა საოცრებამ გადამარჩინა და შიმშილისგან იხსნა მრავალწევრიანი ოჯახი. მართალ მასწავლებელს პირადი, ურთულესი ისტორიიდან ყველაფერს ვუყვებოდი და სიფრთხილისკენ მომიწოდებდა; აქვე მინდა ვაღიარო, იმ უმძიმეს წლებში სამეგრელოდან, ჩემი სურათების თაყვანისმცემლებმა, რამდენიმე წელს, კეთილშობილური თანადგომა გამიწიეს. ზოგი მათგანი ახლაც ცოცხალია და ღმერთმა დიდხანს ამყოფოს, რამდენიმე მოკეთე კი ზეციურ საქართველოშია გადასული და ნათელში იყვნენ მარადის. აუცილებელია ვაღიარო, იმ პერიოდში თუ რამე გამაჩნდა ჩემთვის, და, საერთოდ, ძვირფასი კოლექცია, ღალატის უბინძურეს წლებში გავყიდე. ბოლშევიკების შხამიან ფრთებქვეშ ყოფნას მომაშორეს გამყიდველთა მანდატიანებმა...

დავუბრუნდეთ საოცარი შემოქმედის პორტრეტს. ბოლო სეანსებია და დიდ მაესტროს მოსწონს ნაწარმოები. — რეზო, მეუბნება (ღმერთია ამის მოწამე) ძალიან კარგი ნახატი გამოგივიდა და გულით გთავაზობ, სურათები გავცვალოთ, ზომა ზომაზე! ეს იყო უპირველესი მხატვრის ზეადამიანური ურთიერთობა ახალგაზრდა ფერმწერთან. მეც დაუფიქრებლად ვპასუხობ, — მიხარია, რომ გულწრფელად, დადებითად შეაფასეთ ნამუშევარი და გაცვლასაც რომ მთავაზობთ, მაგრამ, ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმის დირექტორს, ბატონ ანზორ მაძღარაშვილს, ძალიან ესიამოვნა ნამუშევარი და მისი შეძენა შემომთავაზა-მეთქი. უმალ მომიგო: — კარგი, რეზო! მაშინ იქ იყოს. იმ დროს მოვიხიბლე გენიალური ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმში ჩემი ფერწერული ტილოს გაექსპონატებით, მაგრამ, გვიან გავთვალე, რომ მომავალში სიღარიბისათვის ვყოფილვარ განწირული, ბედად გამდიდრების ოქროს თევზმა ჩემსკენ გამოისეირნა, მაგრამ!.. ლადოს ტილოს ზომა გახლავთ 90х60 სმ. ხოლო ლადო გუდიაშვილის, ამ ზომის ფერწერული სურათის ღირებულება, ამჟამად, ასი ათასს აღწევს. „არა შეჯდა მწყერი ხესა, — არა იყო გვარი მისიო“. რა კარგი ნათქვამია. აუცილებელ სეანსებს წარმატებით მოვრჩით, შემდგომ ნახატი მირზაანში ჩაიბარეს ნ. ფიროსმანაშვილის მუზეუმში. დიდ მაესტროსთან ახლო ურთიერთობა კვლავინდებურად უფრო და უფრო გრძელდებოდა, თან მეამაყებოდა, რომ მაშინდელი საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი, ბატონი ლადოს რეკომენდაციით გავხდი.

ზაფხულის თვეებია, პოლონელი დიდი მხატვარი გვეწვია ხელოვნების მუზეუმში, მეორე თუ მესამე დღეს, ბატონ შალვა ამირანაშვილს ოფიციალურად სთხოვა, მხატვარ გუდიაშვილის ატელიეში წამიყვანეთო. მერმე, მე დამავალეს, მეგზურობა გამეწია და გავყოლოდი მსოფლიოში აღიარებულ მხატვართან. მასპინძლებმა ძალიან თბილად მიგვიღეს და ევროპულადაც გაგვიმასპინძლდნენ. უცხოელი ხელოვანი რუსულად კარგად მეტყველებდა. მხცოვანმა მხატვარმა ხალისით მოუყვა პოლონელ მხატვრებთან პარიზში ურთიერთობის და მეგობრობის თაობაზე, დიდხანს არ გაგვიშვეს და მაესტრო ბევრ საინტერესო ისტორიას იგონებდა, უფრო, პარიზის პერიოდს, რატომღაც ძალიან სევდიანად დამამახსოვრდა იმ დღის სიტყვები: — ჩემო ძვირფასო! — სტუმარს ეუბნება, — მგონი მოვიდა დრო, წერტილი დავუსვა შემოქმედებას და... მართლაც, რამდენიმე თვეში ბატონი ლადო გარდაგვეცვალა.



გუშინ უზარმაზარი მაესტრო წავიდა ჩვენგან, სამუდამოდ და დაგვასევდიანა მარტო მხატვრის თაყვანისმცემლები, მეგობრები, კოლეგები და ნათესავები კი არა, მთელი ქალაქი და სრულიად საქართველო. მოუკვდა თბილისს გრძნეული ფუნჯის ოსტატი და სულიერი ტრუბადური, სიწმინდის, სიმშვიდის, კულტურის, მაღალი ზნეობის და უფლისმიერი სიყვარულის ნაღდი კაცური კაცი...

დილის ათი საათია. მუზეუმის კარი ღიაა. დაღონებული შევედი და თანამშრომლებს მივესალმე. ამ დროს ქალბატონები: ქეთევან ბაგრატიშვილი, ციცინო ჩხეიძე და იზო ქურდაძე ვესტიბიულში შემხვდნენ, — წუხელ გვიანობამდე ვიყავით გუდიაშვილების სახლში, წამოსვლისას ქალბატონმა ნინამ გვითხრა, — სად არიან მუზეუმის ბიჭებიო, აქ უნდა იყვნენ ეს დღეებიო! და, მართლაც, გასვენებამდე ჩვენ, გიორგი და მე, მგლოვიარე ოჯახს არ მოვშორებივართ, დღე და ღამე წმიდა ცხედრის გვერდით დუმილ-მზადყოფნაში ვისხედით ჭირისუფლებად.

უსაზღვრო მწუხარებით ჩამქრალიყო პლანეტის დიდი სანთელი, დუმდნენ მხატვრის დაღონებული შედევრები, დროსთან მებრძოლნი. ერთ-ერთ კედელთან მივედი და რამდენიმე ადგილას მიჭედებული ლურსმნები რომ ვიხილე, სევდით ჩამეთუთქა გული. რა ბედნიერი იყო იმ დროს მაესტრო, ამ ლურსმნებს ცარიელ კედელზე რომ აჭედებდა-მეთქი, მათზე ხომ მისი ხელითვე თავისივე შედევრები განთავსდებოდა, როგორი ნათელი და ძლიერი იყო საქართველოც მაშინ.

შავი მანდილით თავდაბურული ქალბატონი ნინა უძირო მწუხარებით, თვალცრემლიანი მისჩერებოდა იმქვეყნიურ ძილში მყოფ ცხედარს, თავის მარად განუყრელ სულიერ მეგობარს და სალოცავს. ხოლო გულში ჩამწვდომი და სევდის მომგვრელი იყო ჩუქურთმას, — მხატვრის ქალიშვილის, ცრემლებმომდინარე მოთქმა-გოდება...

შუაღამეგადაცილებისას, თითქმის ყველას რომ ეძინა, უცხო, უხილავი ფრთების შრიალი მოისმა მდუმარე დარბაზში. ანგელოსთა გალობის ხმასთან ერთად ნათელი წრე ადგაო, წმინდა მაესტროს. ჩვენთვის, სრულიად დამაჯერებელია, რომ ამქვეყნიური ნებისმიერი ადამიანთაგანი შეუძლებელია, გაუთანაბრდეს დიდ შემოქმედს. ის ხომ უფლისმიერი გონების სულია, მარადის ზეციურ დასთან რომ ურთიერთობს...

იდუმალი, წარმოუდგენელი და დაუჯერებელი პანაშვიდი მოჰყოლია ამ ხილვა-გამოცხადებებს, მთელი ღამე რიგზე მდგარი, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, ასობით სურათი მოდიოდა თავიანთ ავტორთან და ეთხოვებოდნენ თურმე, მარადიულობაში მყოფნი ცისფერ ცრემლს ღვრიდნენო ნაღვლიანს...

პირადად ჩემი უკანასკნელი გამოთხოვება და ქრისტიანული ქედის მოხრა ის იყო, რომ დიდი მაესტროს კუბოს სახურავი, მხატვრის ბინა, ატელიედან მთაწმინდამდე, შეუსვენებლივ ვატარეთ გიორგიმ და მე, თითქოსდა, მისი უმწიკვლო სული მიგვყავდა ქართული ზემარადიულობისაკენ. ხალხმრავალი პროცესია ქაშვეთის ეკლესიას რომ მიუახლოვდა, სამრეკლოდან ზარებმა იწყეს გოდება და კოსმოსური ტირილი. მათი ხმა ვარსკვლავეთს სწვდებოდა.

მამადავითის ეკლესიის კედლის ახლოს, ჩრდილოეთით, ნათელი კუბო რბილად და უხმაუროდ ჩავასვენეთ ბნელ, უსასრულოდ მსუნთქავ მიწასამარეში და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს, უფალს სამუდამოდ გადავეცით. ხალხი დროულად წასულიყო. მთაწმინდას შევრჩით ჩვენ — მოქანდაკე, ბატონი ბიძინა ავალიშვილი, დიდი მაესტროს ნათლული, გიორგი, მე და რამდენიმე მესაფლავე. მოხუცი კირითხურო გაფაციცებით ხურავდა საუკუნის აკლდამას და თანმიყოლებით, იმქვეყნიური, უკუნი სიბნელე, გაყინული სიჩუმე და სამარის დუმილი ჩადგა... ბოლო ბრტყელი აგური ჩადო ხელოსანმა, ცემენტის ხსნარი დაასხა და ქაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ფრესკების მომხატველი, სამუდამოდ მოწყდა სამზეოს, ზეცის ზარებმა ჩამოკრეს მისტიკური ხმა, გუგუნ-ზუზუნით. ფერ-ხაზ-ფორმით პოეტურ-მუსიკალურად მოაზროვნე ვარსკვლავი მოწყდა თბილისს. ამ დროს, დასავლეთ ევროპაში, გამოჩენილმა გერმანელმა ასტრონომმა ახალი, მზისფერი ვარსკვლავი აღმოაჩინა ირმის ნახტომ ჩვენს გალაქტიკაზე და დაარქვა სახელი „ლადო გუდიაშვილი“.

**რეზო ადამია,**
მხატვარ-პროზაიკოსი
2016 წლის 10 თებერვალი

## კახაბერ ჯაყელი

საქართველოს არა მარტო მეგობარი სახელმწიფოები უნდა ჰყავდეს, არამედ მეგობარი ოჯახებიც. დასავლეთური ფასეულობები დღესაც დიდ პატივს მიაგებს ოჯახებს, როგორც უძველეს არისტოკრატიულ კერებს, რომელთა აზრი, ტრადიციული და მნიშვნელოვანია.



უფლის განგება იყო ის, რომ წილად მხვდა საქართველოში კვლავ დამებრუნებინა გერმანიის პირველი კონსულის, საქართველოს მეგობრის, გრაფი **ვერნერ ფონ დერ შულენბურგის** ოჯახი, მისი შთამომავლები და მათში უდიდესი სიყვარული გამეღვივებინა ჩვენი სამშობლოს მიმართ.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ლაიბნიცის სახელობის ჰანოვერის უნივერსიტეტში 1995 წელს ყველაზე ცნობილ პროფესორთან გასაუბრებაზე ჩავეწერე. მისი სახელი იყო **იოჰან მათიას გრაფი ფონ დერ შულენბურგი.**

პროფესორის ასისტენტმა, ქალბატონმა **კარინ შრიმმა** შეხვედრაზე 2 თვის შემდეგ ჩამწერა, მაგრამ, მე მას ვთხოვე, რომ დაეჩქარებინა პროფესორთან ჩემი ვიზიტი, რადგანაც ერთ კვირაში გერმანიას ვტოვებდი.

მიბრძანდით სხვა პროფესორთან, – მითხრა გაღიმებულმა კარინმა და, თქვენ მისი გაოცებული თვალები უნდა გენახათ, როდესაც ჩემი პასუხი მოისმინა:

– ფრაუ შრიმ, გთხოვთ, შემიშვათ გრაფთან, მისმა წინაპარმა ჩემი სამშობლოს დამოუკიდებლობაში დიდი როლი შეასრულა და დარწმუნებული ვარ, რომ მას გაუხარდება ჩემი დანახვა, ქართველები დავალებულები ვართ შულენბურგებისაგან.

მართლაც, პროფესორის პაპა – გრაფი ვერნერ ფონ დერ შულენბურგი, პირველი გერმანელი დიპლომატი იყო, რომელიც დაუფარავად მხარს უმაგრებდა ქართულ ინტელიგენციას 1915-1920 წლებში. მრავალი ქართველი მოღვაწე იმ ხანებში წერდა, რომ სწორედ შულენბურგმა ჩაუნერგა ქართველებს ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის იდეა, – შექმენით ეროვნული სახელმწიფო და გერმანია დაგეხმარებათ! – დაახლოვებით ასე ჟღერდა გრაფ შულენბურგის დაპირება იმდროინდელი ქართველებისადმი. შემდეგ, როდესაც საქართველო განთავისუფლდა რუსეთის იმპერიისაგან, სწორედ შულენბურგმა გადაარჩინა ჩვენი ქვეყანა ოსმალეთის იმპერიის შემოსევისაგან. თქვენ წარმოიდგინეთ, – კარინ შრიმთან საუბარში საქართველოს უახლესმა ისტორიამ კინოკადრებივით გაიარა ჩემს თავში.

პუნქტუალური კარინ შრიმი ჩაფიქრდა, შემდეგ თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა და პროფესორის კაბინეტში შემიძღვა:

– თქვენი ნახვა სურს, ამბობს გეორგიიდან ვარო, – ჩურჩულით უთხრა გაოცებულმა კარინმა, სავარძელში მჯდომ, ახალგაზრდა, მაღალ მამაკაცს, რომელიც უმალ წამოდგა და ჩემი მისამართით თქვა:

– გეორგიიდან ბრძანდებით? ტიფლისიდან? – და ხელი, დიდი ხნის ნაცნობივით, ჩამომართვა. ამის შემდეგ თაროებს ახედა და თავისი დიდი წინაპრის სურათს შეხედა. ეს სწორედ ის ფოტო სურათი იყო, რომელიც ჩემთვის ნაცნობი გახლდათ, გრაფი ვერნერ ფონ დერ შულენბურგი ამ სურათში აივანზე დგას და მკერდს წმინდა თამარის ორდენი უმშვენებს.

– დიახ, თქვენთან საუბარი მსურდა, დოქტორანტურაში ვაპირებ ჩაბარებას, ეკონომისტი გახლავართ, მაგრამ, ამჟერად, საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ მინდა გკითხოთ, – თუ არის თქვენთვის ცნობილი ის ფაქტი, თუ როგორ გადაარჩინა თქვენმა წინაპარმა საქართველო, როდესაც, გერმანული სამხედრო ფორმა ჩააცვა ქართველ გლეხებს და, ამგვარად, ოსმალური არმია რამდენიმე დღით შეაჩერა? – ვიკითხე მე.

– არა, არა, გაიცინა გრაფმა და უფრო ხანგრძლივი საუბრისთვის, იმავე საღამოს, ოჯახში მიმიპატიჟა. ამგვარად გავიცანი გრაფინია **ინეს ფონდერ შულენბურგი** და მათი სამი ვაჟი: **დანიელი, ფრიდრიხი და გუსტავი.**

***

გრაფი მათიას ფონ დერ შულენბურგის წინაპრები, – სახელგანთქმული რაინდები, სამხედრო მოღვაწეები, დიპლომატები, ფელდმარშლები, ეპისკოპოსები იყვნენ, რაც მთავარია, ყველას ჰქონდა თავგადასავლების მიმართ დიდი ლტოლვა და რისკის უნარი. მე-17 საუკუნეში ფელდმარშალმა **მათიას ფონ შულენბურგმა** კუნძულ კორფუდან გარეკა ოსმალთა ჯარი და ხმელთაშუაზღვის განთავისუფლება დაიწყო. ბაბუა **ვერნერ ფონ დერ შულენბურგი** დიდი ხნის განმავლობაში შუა აზიაში მოგზაურობდა, ომობდა, შემდეგ საქართველოში, გერმანიის იმპერიის დიპლომატი იყო. აქტიურად უჭერდა მხარს ქართველთა დამოუკიდებლობას. ეხმარებოდა ჩვენს სამშობლოს ჯარისა და ეკონომიკის სტაბილიზაციაში, იგერიებდა ოსმალთა თავდასხმებს საქართველოზე და ა.შ.

როდესაც გერმანელმა დიპლომატმა ოსმალთა არმიის საქართველოზე დაძვრის ამბავი გაიგო, 200 გერმანული მხედრული უნიფორმა 200 ქართველ გლეხს ჩააცვა და ისინი საქართველოს საზღვარზე განალაგა.

– ტფუ, დაგვასწრეს გერმანელებმა, – უთქვამს მაშინ თურქეთის ჯარის სარდალს, როდესაც ჭოგრიტში კაიზერის სამხედრო შტანდარტი და გერმანელთა საკმაოდ დიდი რაზმი დაუნახავს აჭარის მიდამოებში.

საქართველო ქართველებს ეკუთვნის! – ამ სიტყვებით მიულოცია ვერნერს გამარჯვება ნოე რამიშვილისათვის.

ქართველებმა ბევრჯერ გამოიყენეს დიდი დიპლომატის სიბრძნე და მისი რჩევები, მაგრამ საბოლოოდ, როცა საქართველო მე-11 არმიამ დაიპყრო და სსრკ-ს შემადგენლობაში აღმოჩნდა, შულენბურგი მოსკოვში გადმოიყვანეს. 1941 წელს ვერნერ ფონ დერ შულენბურგმა ვერ მოახერხა ჰიტლერისა და მისი მომხრეების შეჩერება. სწორედ მას მოუწია ომის გამოცხადების შესახებ ნაცისტური გერმანიის პაქტის გადაცემა სსრკ-ს წარმომადგნლებისათვის.

როდესაც სისხლისმღვრელი ომი დაიწყო, ვერნერ ფონ დერ შულენბურგი, ჰიტლერის მოწინააღმდეგეთა შორის აღმოჩნდა. ეს იმ დროს უმაგალითო სიმამაცეს მოითხოვდა. შულენბურგი, სხვა გერმანელ გრაფებთან ერთად, ჰიტლერზე თავდასხმას გეგმავდა. შეთქმულების მოთავეები შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. ასე დაიღუპა საქართველოს მეგობარი გრაფი ვერნერ ფონ დერ შულენბურგი და...

ფაშისტური გერმანიაც დაიმსხრვა.

# გრაფ ფონ დერ შულენბურგების ოჯახის დაბრუნება საქართველოში

***

როდესაც წითელმა არმიამ ჩვენი საგრაფო სახლი დაიკავა, გრაფების პორტრეტები ხიშტებით იქნა დახვრეტილი, სახლი გადაგვიწვეს, დარჩა მხოლოდ სამონადირეო მეურნეობა, ჩვენს მამულში საავიაციო პოლკი იდგა, აი მათი აზრა, – მეუბნება მათიასი 2008 წლის ივლისში, როდესაც შულენბურგთა საგრაფოს გროს-ვისმარს სანადიროდ ვეწვიე.

– ბევრი ქართული ოჯახის ისტორია წააგავს თქვენი ოჯახის ისტორიას, – ვპასუხობ და დახიშტულ პორტრეტებს ვათვალიერებ.

ერთ-ერთი პორტრეტი, რომელიც სავარაუდოდ ლუკას კრანახისეულია, ჯარისკაცებმა მაგიდაზე გადააფარეს და ზედ სადილობდნენ, – ამგვარად გადარჩა ჩვენი მთავარი განძი, – ამბობს დღევანდელი მესაკუთრე ამ მიდამოებისა.

ბატონო პროფესორო, როგორც დამპირდით, საქართვლოში უნდა მეწვიოთ, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხალხი და ქვეყანა, ისევე შეგიყვარდებათ, როგორც თქვენს ბაბუას!

– აუცილებლად ჩამოვალ, მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი ხალხის კულტურითა და სიმამაცით, – თქვა მათიასმა და გროს-ვისმარში ნადირობა განვაახლეთ.

***

2010 წელს ჩემი და ჯაყელთა სახლის მოწვევით საქართველოში ჩამობრძანდნენ მათიას და ინეს ფონ დერ შულენბურგები. რა თქმა უნდა, გეზი მესხეთისკენ ავიღეთ, სადაც ჩვენ, ჯაყელთა სახლის თავკაცი, **ომარ ჯაყელი** და მისი მეუღლე ზოია გველოდნენ. აქვე იყოართვინელი ჯაყელი – **აშკინ ათაბაგი** *(ათაბეი)*, რომელიც **აჰმედ ოზკან მელაშვილის** ნამოწაფარი გახლდათ და ქართველობა სწყუროდა.

ჯერ ვარძიას მივაშურეთ. შულენბურგებს მთელი მსოფლიო აქვთ მოვლილი, მაგრამ ვარძიის ხილვამ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. როდესაც დაღამდა, ახალციხეს ვეწვიეთ. ბნელოდა, მაგრამ რესტორან „იმერეთში“, ბატონ ხიდაშელთან, – ამ დროს, შულენბურგების შესახვედრად სანთლებს ანთებდნენ. როდესაც მათიასმა და ინესმა რესტორან „იმერეთში“ შეაბიჯეს, – მათ თვალწინ უმშვენიერესი სანახაობა გადაიშალა,– უამრავი ანთებული სანთელი და მაშხალა, რომელიც უეცრად მესხურმა მრავალჟამიერმა აამოძრავ, სტუმრების შესახვედრად დაიძრნენ.

– ეს რა ხდება? რა მშვენიერებაა! – გავიკვირვეთ ყველამ და ამ დროს ქალაქის ვიცე-მერმა, ბატონმა **ზაზა თამარაშვილმა, ომარ ჯაყელმა** და სხვა მესხმა ვაჟკაცებმა, შულენბურგების საპატიოდ უძველესი ქართული სიმღერა „მუმლი მუხასაო“ – წამოიწყეს.

ახალციხეში გატარებულ ყოველ დღეს დიდი სიხარული მოჰქონდა მათიასისა და ინესისათვის, მესხეთში ქეიფი, თამადა – ომარ ჯაყელი, მესხური სიმღერები და ლექსები, შოთას სამშობლოში გატარებული დღეები, დაუვიწყარი დარჩა ჩვენი სტუმებისათვის.

მეორე დღეს მესხეთის მეუფეს რეზიდენციაში ვეწვიეთ, დიდებული მასპინძლობა გაგვიწია **მეუფე თევდორემ** (*ჭუაძე*). შემდეგ მოსალოცად საფარის ლავრაში ავედით. საფარელმა ბერებმა „განახვნეს კარნი საფარისანი“ და შეგვიძღვნენ ჯაყელთა უძველეს კერაში. **საბა-სარგის ათაბაგის, ბექა ჯაყელისა და სარგის მეორის** ფრესკებით მოხიბლული სტუმრები სარგის ჯაყელის ციხე-კოშკში ავიდნენ, ლასურისძეთა ფრესკებიც ნახეს სამრეკლოს პირველ სართულზე. ქალაქისაკენ დავიძარით. ახალციხიდან წამოსვლის წინ შულენბურგებმა პატივი მიაგეს 19 წლის **ვალიკო ჯაყელის** საფლავს და ჩვენი სევდა მთლიანად გაითავისეს.

***

მეორე დღეს აჭარას ვეწვიეთ. მახინჯაურში სახლობს დიდებული კაცი, ცნობილი ქართველი მწერალი, ავტორი რომანებისა – „მუჰაჯირი“, „ტრაპიზონის იმპერიის ქართული დიადემა“ – **ჯემალ ჯაყელი.** მასთან სტუმრობა ძალიან საინტერესო იყო შულენბურგისათვის, რადგან ისიც მწერალია. ქართული წიგნი და... ამ უძველეს ანბანით მომუშავე მწერლის კერაზე ყოფნა განსაკუთრებით სასიამოვნო იყო სტუმრისათვის.

– ყველაზე ლამაზი ანბანი თქვენ გაქვთ, ბევრი უნდა წეროთ, მე რომ ქართველი ვიყო, მხოლოდ ამ ანბანს გამოვიყენებდი! – უთხრა შულენბურგმა ბატონ ჯემალს.

– ქართულად რომ ვწერ, იმიტომაც ვარ მხნედ! – უპასუხა შვილებით და შვილიშვილებით გარს შემორტყმულმა მწერალმა სტუმარს.

მე-18 საუკუნის გერმანელმა მწერალმა და დრამატურგმა, **გრიფიუსმა** აღწერა ქართველი წმინდანის **ქეთევან დედოფლის** ცხოვრება. ეს წიგნი, გოეთეს გამოჩენამდე, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გერმანელებისთვის, განსაკუთრებით რწმენის გაღვივებისთვის, მე მამა მღვდელი მყავდა და ის მუდამ ამ წიგნს კითხულობდა, – თქვა მათიას გრაფ ფონ დერ შულენბურგმა დამშვიდობებისას და ბატონ ჯემალ ჯაყელს გადაეხვია.

***

თბილისში დაბრუნებული შულენბურგები, საქართველოს დიდმა პედიატრმა, პროფესორმა **ყარამან ფაღავამ** ყაზბეგში მიიპატიჟა. როდესაც მათიას და ინეს შულენბურგების გაცილების სუფრა გადავიხადეთ, კარი გაიღო და ბატონი ყარამან ფაღავა მეუღლითურთ გვესტუმრა.

– საჩუქარი მაქვს, გრაფისათვის! – თქვა ბატონმა ფაღავამ.

ფაღავამ საჩუქარს შალითა ჩამოხსნა და ჩვენს თვალიწინ წარმოდგა ქართველი ხელოვანის მიერ გამოჭედილი გრაფი ფონ დერ შულენბურგების სახელოვანი გერბი – სამხედრო მუზარადი, თავზე მამლის ფეხებით.

– საოცარი ხალხი ხართ, ქართველები! – თქვა მათიასმა და ბატონ ფაღავას არჩევა მოითხოვა თამადად იმ დღეს.

***

სუფრა გვიან ღამემდე გაგრძელდა. პროფესორი ყარამან ფაღავა ბრწყინვალე გერმანულით, შესანიშნავ სადღეგრძელოებს ამბობდა. ჩემს სახლში გამართული ამ სუფრის აღწერა შეუძლებელია. როგორც ამბობენ, უნდა გენახათ დიდი ყარამან ფაღავა, მსგავსად წინაპრებისა, როგორ მიუძღოდა ქართულ სუფრას. როგორც მახსოვს, მისმა ერთმა სადღეგრძელომ განსაკუთრებით მოხიბლა სუფრის წევრები და, განსაკუთრებით, გრაფის მშვენიერი მეუღლე ინესი:

– იჰ ვუნშე, იჰრე ლებენ, ისთ სამლუნგ ფონ ფესტენ თაგენ! – ანუ, – გისურვეთ, რომ, თქვენი ცხოვრება, სადღესასწაულო დღეების კოლექცია იყოსო! – ბრძანა სამეგრელოს თავადების შთამომავალმა პროფესორმა.

***

2016 წელს, თებერვალში, მათიასის უმცროსი ვაჟი – **გუსტავ ფონ დერ შულენბურგი,** საცოლესთან ერთად მეწვია. ოთხი დღის განმავლობაში საქართველო კვლავ მოვიარეთ. როდესაც დავით გარეჯის მთაზე ვიდექით და აზერბაიჯანის მიმართულებით ვიყურებოდით, იქ, სადაც 6000 ქართველი ბერი მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა, მეც და ჩემი სტუმარიც ვგრძნობდით, რომ ეს არ იყო უბრალოდ სივრცე, ვგრძნობდით, რომ ეს იყო ველი, სადაც ადამიანს, თითო კაცს, თითო ქალს, მათ რწმენას, მათ სიტყვას, მათ აზრს და, განსაკუთრებით, მათ ქმედებას, რეზონანსული მნიშვნელობა აქვს საუკუნეთა განმავლობაში.

დავით-გარეჯის მთაზე უნდა შედგე, რომ მიხვდე, რას კარგავ და რა არ უნდა დაკარგო.



## პორფილე ოქრომელიძე

# ფიქრები დასახვრეტ საკანში



*(გაგრძელება. დასაწყ. №12-3, 2016)*

### ბრძოლა თავისუფლებისთვის (1938-1942)

შეიძლება მე გულუბრყვილობად ჩამითვალოთ, იქნებ მონანიებად, ან აღსარებად ის, რასაც ეხლა მოგითხრობთ, მაგრამ ის, რაც დავიწყეთ და როგორც დავიწყეთ, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნდა და მერე რა, თუ ყოველივე ტრაგიკულ დასასრულამდე მივიდა.

ყოველ დასასრულს ხომ თავისი დასაწყისი გააჩნია და ამ დასაწყისს ჩვენც ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვეთ შინაგანი ადამიანური განცდებით და მოთმინებით.

უკვე ეროვნული ცნობიერებით კარგად გაჟღენთილნი და დამუხტულნი მე და ოთარ ფირალიშვილი თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს და ვფიქრობდით, შესაძლებელი იყო თუ არა, ეროვნული ერთობის მიღწევა-ჩამოყალიბება მაშინ არსებული რეალობის გათვალისწინებით. ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ, მივიღეთ გადაწყვეტილება იმისათვის, რათა შეგვექმნა ჯერ-ჯერობით, მხოლოდ ორგანიზაციის ბირთვი მტკიცე კავშირებით და ურთიერთ ნდობის მაღალი ხარისხით.

ჩვენი მიზანი გავაცანით ჩვენთან დაახლოებულ ახალგაზრდებს. მიზანი კი ასეთი იყო, საქართველოს გამოხსნა რუსული კომუნისტური იმპერიისაგან და დამოუკიდებლობის აღდგენა ნებისმიერი ხერხით. ვბჭობდით იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა ამის მიღწევა. – ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარიაო, – ხომ გაგვიგია და, ბოლოს, მივედით იმ დასკვნამდე, რომ გერმანია უნდა ყოფილიყო ის მეკავშირე, რომელიც საქართველოს ემიგრაციულ მთავრობასთან ერთად ჩვენს მიზანს სისრულეში მოიყვანდა. მთავარი იყო აქ, საქართველოში შეგვექმნა პლაცდარმი და ცენტრი დიდი ეროვნული შეთქმულებისა არსებული ტირანული რეჟიმის წინააღმდეგ.

სწორედ ამიტომ, შევადგინეთ სტრატეგიული გეგმა, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: ჩვენი გააზრებით და დასკვნებით გერმანია მაშინ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყანა იყო, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე იზრდებოდა, რომლის სათავეში იყვნენ სოციალისტური რუსეთის და არა მარტო მათი მოძულე ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ლიდერი ჰიტლერი და მისი გენერალიტეტი. რადგან ჩვენ საბჭოთა რუსეთის მიერ უკვე დამონებული ქვეყნის შვილები ვიყავით, კარგად ვხედავდით სსრკ-ს ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეს და მის უიმედო პერსპექტივებს. გუმანით ვგრძნობდით, რომ გერმანია ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებდა და, ალბად, მაქსიმუმ ათი წლის მერე ომს სსრკ-ს აუცილებლად დაუწყებდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის გარკვეული ხელშეკრულება დაიდო თავდაუსხმელობის შესახებ. სწორედ ეს ათი წელი უნდა ყოფილიყო ქართველი ერის მზადებისა და მობილიზაციის, მომავალ ომში, მსოფლიოს ხელახალი გადანაწილების შემთხვევაში დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის გერმანიის მხარდაჭერით, მაგრამ არა მისი პროტექტორატით.

აღნიშნულის მისაღწევად საჭირო იყო ჩვენი იდეის ხალხის მასებში გატანა და ფარული აგიტაცია. ეს კი მეტად რთულ საქმეს წარმოადგენდა. მაშინ ხომ სიტყვის თქმა არვისთან შეიძლებოდა, თანაც, იმ თემაზე, რომლის შესახებაც, ხალხში კი არა, სახლშიც ვერავინ ბედავდა ბჭობას. ძირითადი საკითხი ასე გამოიყურებოდა:

1.დაახლოებით, ათი წლის განმავლობაში, ეროვნულ ძალებს უნდა მიეღწიათ სახელისუფლო სტრუქტურებში უმაღლეს თანამდებობებზე;

2. ასევე პარტიულ და ძალოვან უწყებებში დაეკავებინათ უმაღლესი თანამდებობები, რომლებიც მომავალ ომში გადამწყვეტ სიტყვას იტყოდნენ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად;

3.ორგანიზაციის ერთ-ერთ ჯგუფს ევალებოდა ევროპაში გასვლა და საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასთან კავშირის დამყარება. შემდეგ კი გერმანიის ხელისუფლებასთან ურთიერთობების გაღრმავება. ამ ჯგუფის ხელმძღვანელობა დამევალა პირადად მე.

მალე ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, NN-ს გადაწყვეტილი ჰქონდა ჩემი ლიკვიდაცია და შესაბამის მომენტს ელოდა ორგანიზაციაში პანიკისა და შიშის დასათესად. სხვათა შორის, როცა მას ჯგუფში ვიღებდით, ფირალიშვილს ვუთხარი, დადგება დრო და ის ჩემს მოკვლას მოინდომებს-მეთქი. ფირალიშვილს გაეცინა. ამით ხომ საკუთარ თავსაც საფრთხეს შეუქმნისო.

ბოლოს, ყველაფერი რომ დადასტურდა, იძულებული გავხდით ერთ-ერთ კრებაზე N-ისთვის ჯგუფი დაშლილად გამოგვეცხადებინა. რომ ეს ყველაფერი სახიფათოა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა და რომ აფსურდი იყო ამაზე ფიქრიც კი. ამის შემდეგ, გარკვეული პერიოდით, შეკრებები შევწყვიტეთ. ჩემთვის ბოლომდე გაუგებარი დარჩა მისი ასეთი გადაწყვეტილება. ჩემი სიკვდილით რას მიაღწევდა, თუნდაც, საიდუმლოდ. ჯგუფი ხომ თავის საქმიანობას მაინც გააგრძელებდა დადებული ფიცის შესაბამისად. მითუმეტეს, რომ გათვალისწინებული გვქონდა მოღალატის მიმართ უმკაცრესი სასჯელიც. სხვანაირად არც იქნებოდა, ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე. ჯგუფის დროებით მუშაობის შეწყვეტამდე, ერთხელ მეკითხება: – რას მოიმოქმედებ, რაიმე ფაქტზე რომ დაგიჭირონ, ან რამეს რომ მიგიხვდნენო. ვუპასუხე, – შენ თუ გეშინია, ჯობია, დროზე დატოვო ჯგუფი და ჩუმად იყო. მე, რაც შემეხება, ყოველივეს ჩემი სიცოცხლით ვაგებ პასუხს, რადგან ჩემით არ იწყება და არც ჩემით დამთავრდება ეს საქმე, ხოლო, ვისაც სამშობლოსათვის თავი შეუწირავს, მას ისტორია თვალის ჩინივით ინახავს-მეთქი. მოგვიანებით იგი ჯარში გაიწვიეს და ჩვენი საიდუმლოც თან გაიყოლა. ჯარიდან იგი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

1939 წელს სსრკ-მ ფინეთთან ომი დაიწყო, რამაც ხელი შეუშალა ჯგუფის საზღვარგარეთ წასვლას. ოთარ ფირალიშვილი ჯარში გაიწვიეს, საიდანაც ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. იძულებული გავხდი ყველაფერი საკუთარ თავზე ამეღო. მოსალოდნელი იყო ჯარში სხვების გაწვევაც. ამიტომ საჭიროდ ვცანი ჯგუფის შევსება რამდენიმე კაცით, ჩვენთვის სანდო ახალგაზრდებით. ამის შემდეგ გავავრცელეთ მცირე რაოდენობის პროკლამაციები.

ამ პერიოდში მეც მომიწია ჯარში წასვლამ. ამან გამოიწვია ჯგუფის დაშლა. თუმცა, მათ შევპირდი, რომ მალე დავბრუნდებოდი. რის იმედად, – მეც არ ვიცოდი. ყველაფერი წყალში მეყრებოდა. ამიტომ, თავი არ დავზოგე და, უდიდესი რისკის ფასად, მალევე დავბრუნდი საქართველოში, თუმცა, არა დეზერტირობის ხარჯზე. ამას არავინ მაპატიებდა და არც მე ვკადრებდი ჩემს თავს. ამას ჩემს მოხერხებულობას და იღბლის წყალობას თუ დავაბრალებთ. ეს ფაქტი ყველასათვის მოულოდნელი იყო, მითუმეტეს, ჯგუფის წევრებისთვის. ამ საქციელით მათ იმედი ჩავუსახე, რომ მალე ყველაფერი ჩვენს სასიკეთოდ წარიმართებოდა. კვლავ შევკრიბე ბიჭები და შემოვიერთეთ ასაკით ჩვენზე უფროსი კაცი, – ჩემი თანასოფლელი ლევან ჟუჟუნაძე, ცხოვრებით ჩვენზე გამოცდილი და სისტემასთან უკმაყოფილო ადამიანი.

ერთ-ერთ მომდევნო კრებაზე, ჯგუფს ოფიციალურად მივეცით სახელწოდება, – ,,მესხ ახალგაზრდათა კავშირი". დავამტკიცეთ წესდება. მივიღეთ სამოქმედო გეგმა-პროგრამა. დავადგინეთ საწევრო გადასახადები. დავაარსეთ ჟურნალი ,,ნაპერწკალი მესხეთიდან", რომლის მხოლოდ 5 ნომერი გამოვეცით. ეს ჟურნალი ძირითადად გავავრცელეთ სკოლაში, რა თქმა უნდა, ფარულად. საზოგადოებაში გაურკვევლობას ვხედავდით. ერთ-ერთ მოსწავლეს სახლში წაუღია ერთი ეგზემპლარი და მშობლებისთვის უჩვენებია. იმათ კი მეზობელთან გადაუტანიათ. მეორე დღეს სკოლაში მოსული ის მოსწავლე, აღფრთოვანებული საუბრობდა მეგობართან, რაღაც ენით აუწერელ კმაყოფილებაზე, რაც აშკარად გამოიხატებოდა მის ნათელ სახეზე. ამ ფაქტმა ჩვენზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა და ქვეცნობიერად გვაგრძნობინა ერთი უბრალო მოქალაქის დამოკიდებულება ჩვენი იდეის მიმართ. ამას ფარულად ვხედავდით და ვუსმენდით პირადად მე და ლადო ოქრომელიძე. ჟურნალში მცირე წერილებთან ერთად ჩემს ლექსებსაც ვაქვეყნებდი. სწორედ იმ პერიოდში ვიგრძენი მუზის მოძალება და რითმის სურნელი. აი იმდროინდელი ლექსის ერთი პწკარედი:

***

ირგვლივ მთები თავს მადგანან,
ორი მხრით კი მარტყავს ზღვები,
ზედ ღრუბელი დამტრიალებს,
წვიმა მოდის, კარში ვრჩები.

ჩემს ოჯახში ყრუდ მოისმის
სულ სხვადასხვა უცხო ხმები,
მე სახლიდან რად გამაგდეს
ღმერთო, ამას ველარ ვხვდები.

ჩემს გამართულ ბაღ-ბოსტანში,
სეირნობენ კაცნი სხვები,
ახლო მისვლას მიკრძალავენ,
მე შორიდან ცქერით ვდნები.

ჩემს დანთებულ ცეცხლის ალზე,
სხვა თბება, მე ვიყინები,
ველარ ვხვდები, რა მასველებს,
ოფლი მალბობს თუ ცრემლები.

მოსვენებას არ მაძლევენ,
კბილებს კრეჭენ ავი მტრები,
კარგი შვილი დამეკარგა,
ცუდი შვილის ხელში ვრჩები.

ველარ ვხედავ, თავბრუ მესხმის,
თითქოს უფსკრულში ვარდები,
სათითაოდ შვილებს ვკარგავ,
მაგრამ მე არ ვიკარგები.

ზურგზე ტვირთი დამიმძიმდა,
წელში მაინც არ ვიხრები,
წავიქცევი, დავეცემი,
მაგრამ, მჯერა, რომ ავდგები!

საბედნიეროდ, მაშინ ნკვდ-მ ჩვენს კვალს ვერ მიაკვლია. მოგვიანებით მივიღეთ გადაწყვეტილება იარაღის შეგროვებისთვის.

შემოვიღეთ წესი ორგანიზაციაში ახალი წევრის მიღების შესახებ. მსურველის განცხადების შემოტანის შემდეგ, სამ დღეს კიდევ ვაძლევდით მოსაფიქრებლად. მერე იყო ფიცის დადება. ამით ოფიციალური სახე მივეცით ორგანიზაციას, რითაც კიდევ უფრო განვამტკიცეთ მისი ავტორიტეტი თითოეულ წევრს შორის.

ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობა ჩემი თანასოფლელი იყო. ჩვენ კარგად ვიცნობდით ერთმანეთს, მიუხედავად ჩვენს შორის მეტ-ნაკლები ასაკობრივი სხვაობისა. იყვნენ ასპინძიდან, ადიგენიდან, ვალედან და ბორჯომიდანაც. ფაქტიურად, სამცხე-ჯავახეთის ყველა მხრიდან, თუმცა მცირე რაოდენობით. მაგრამ ეს იყო პირველი ეტაპი ორგანიზაციის ნელ-ნელა გაფართოებისა. თითოეულ წევრს დავალებული ჰქონდა განსაკუთრებული სიფრთხილით და პირადი პასუხისმგებლობით რეკომენდაცია გაეწიათ სანდო და კარგად შესწავლილი ახალგაზრდებისთვის.

1941 წელს გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ჩვენი ვარაუდი, რომ ომი ამ სახელმწიფოებს შორის ათი წლის მერე დაიწყებოდა, არ გამართლდა. ეს იყო ყველასათვის მოულოდნელი ფაქტი, მათ შორის, ჩვენთვისაც. აქედან გამომდინარე შეიცვალა ჩვენი პოზიციებიც. საჭირო იყო დროულად გავრკვეულიყავით სიტუაციაში. გერმანია სწრაფად მოიწევდა ქვეყნის სიღრმეში. ვფიქრობდით, რომ ჟორდანია ამ ფაქტს არ დატოვებდა უყურადღებოდ.

ამავე წელს მე კიდევ გამიწვიეს ჯარში. ვმსახურობდი ქალაქ ვლადიმირში. იქ კიდევ უფრო დავრწმუნდი მაშინდელ საბჭოთა ჯარების სისუსტეში და ნაკლოვანებებში. ჩემთვის აქ გახდა ცნობილი გერმანიაში საბჭოთა ტყვეებისაგან შექმნილ ეროვნული ლეგიონების შესახებ, სადაც აქტიურობდნენ ქართველთა მხრიდან დემოკრატიული საქართველოს არმიის გენერალი შალვა მაღლაკელიძე, სპირიდონ კედია, ლეო კერესელიძე. შალვა მაღლაკელიძე თავის დროზე ყოფილა სამცხე - ჯავახეთის გენერალ-გუბერნატორი, რაც კიდევ უფრო სიამაყით გვავსებდა აქაურ ახალგაზრდებს.

ვერმახტის ჯარები კი, სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ მოსკოვს. სხვათა შორის, ომის დაწყების პირველ წელს, თვით რუსი ჯარისკაცებიც არ ებრძოდნენ მტერს მთლად გულანთებულად და ხშირად ნებაყოფილობით ტყვედ ბარდებოდნენ მათ, რომ აღარაფერი ვთქვათ, რუსეთის მიერ დაპყრობილ ეროვნულ უმცირესობებზე. რა იყო ეს? – შიში, თუ იმედი გადარჩენისა. ჰიტლერის საბოლოო მიზანი არავინ იცოდა. ის რაც ზუსტად არ ვიცით დღეს, რა გვეცოდინებოდა ჩვენ მაშინ.

ჯარიდან მე კვლავ დავბრუნდი ისე, რომ ბრძოლებში მონაწილეობა არ მიმიღია. ეს კიდევ სხვა თემაა. ვიყავი უფრო ინფორმირებული. საკუთარი თვალით ნანახმა და განცდილმა თავისებური სული შთაბერა ჩემს რწმენას, რომ გერმანია აუცილებლად დაამარცხებდა საბჭოთა კავშირს. მაშ, რა შუაში ვიყავით ჩვენ ამ ომში და საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში რა გველოდა ჩვენ. რატომ უნდა გვებრძოლა რუსეთის ინტერესების დასაცავად, მაშინ როცა საქართველო მისი ოკუპაციის ერთ-ერთი ობიექტი იყო. რას ნიშნავს ის, როცა შენი სამშობლოს დამაქცევარს გვერდში უდგახარ მისივე ძლიერების დასაცავად. საბჭოთა მთავარსარდლობისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ დაუდგებოდა გვერდში მას, ამ დიდ გაჭირვების დროს. მისთვის მთავარი იყო ამ ომის მოგება. მაგრამ, ჩვენ კარგად ვიცით, თუ როგორ განიცდიდნენ მარცხს მარცხზე საბჭოთა ჯარები. რას დავაბრალოთ ეს. ხელმძღვანელი კადრების უსუსურობას, თუ შეიარაღებული ძალების სისუსტეს. რა თქმა უნდა, ერთსაც და მეორესაც. განა შეცდომა არ იყო 60-ათასიანი ქართული სამხედრო ნაწილის ერთად ქერჩის ნახევარკუნძულთან ზღვაში შეშვება, რასაც მისი სრული განადგურება მოჰყვა. ეს იყო ჩვენი ტკივილი. იქნებ დაგეგმილი იყო კიდეც ეს შედეგი, მის მიმართ უნდობლობის, კავკასიაში შესაძლო პროვოკაციის გამო. არავინ იცის და ვერც მე დავადასტურებ ვერაფერს.

ჩვენი კავშირის სულისკვეთება სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ეროვნული მოტივით. ომში წასულების სანაცვლოდ ახალ წევრებს ვღებულობდით. ვფიქრობდით კავშირის კიდევ უფრო გაფართოებაზე. ყველა ჩვენთაგანი კომკავშირლები ვიყავით და ვიცოდით, რომ გერმანელები კომკავშირლებს ადგილზე ხვრეტდნენ. ჩვენ ეს ხიფათი უნდა აგვეცილებინა ყველა ქართველი ახალგაზრდისთვის, რისთვისაც ერთ-ერთ კრებაზე მივიღეთ შესაბამისი გადაწყვეტილება. ჩავთვალეთ, რომ კომკავშირლობა მხოლოდ ფორმალობაა იძულებითი წესით და რომ ჩვენ ვიყავით ეროვნული იდეით დარაზმული ქართველი ახალგაზრდობა.

როცა გერმანიამ ტიხორეცკი და როსტოვი დაიკავა, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ კავკასიასთან ბრძოლა გარდაუვალი იქნებოდა. ამ დროისათვის ჩვენი ორგანიზაცია ოცდაათამდე კაცს ითვლიდა. იდეური მხარდამჭერები ბევრი იყო ჩვენი ინფორმაციის წყაროზე დაყრდნობით, მაგრამ ისინი ჩვენთან გაწევრიანებისთვის გამბედაობას ვერ იჩენდნენ. ვერც დავადანაშაულებდით ვერავის. გმირობას ხომ ყველას ვერ მოსთხოვ და არც ყველას საქმეა იგი. აკი იყო ღალატის ფაქტი და ჩვენ ამ მხრივ სიფრთხილეს ვიჩენდით.

*გაგრძელება იქნება*

# შალიკაშვილების ჯვართამაღლების ეკლესია ქალაქ ახალციხეში



ჯვართამაღლების ეკლესია. მის მარჯვნივ მოჩანს ურთის ციხის გოდოლი და გალავნის ნაშთები (ერმაკოვის ფოტომასალა).

ქალაქ ახალციხის რაბათში არსებული ჯვართამაღლების ეკლესია აგებულია შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოში დაწინაურებული ფეოდალური გვარის – შალიკაშვილების კუთვნილი საკმაოდ დიდი ფართის გალავანშემოვლებული ციხესიმაგრის შუა ეზოში. აღნიშნულ ციხესიმაგრეს მოსახლეობა სხვადასხვა სახელით, – „ურთის ციხე", „ყულების ციხე", „ხანდრის გორის ციხე", – მოიხსენიებს, ხოლო მის ტერიტორიაზე არსებულ სალოცავს, რომელიც სხვადასხვა წყაროებში ჯვართამაღლებისა თუ წმინდა ჯვრის სახელზე აგებულად ითვლება, XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც კი, კოკოლას (რადგან მის აგებას კოკოლა შალიკაშვილს მიაწერენ) ეკლესიას უწოდებდნენ.

ცნობილია, რომ შალიკაშვილების ფეოდალური გვარი საკმაოდ დაწინაურდა XVI საუკუნის სამხრეთ საქართველოში. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი, ცნობილი პიროვნება, კოკოლა შალიკაშვილი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმდროინდელი რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვადასხვა დროს ათაბაგის კარზე მას მაღალი თანამდებობები ეკავა და საკუთარი ციხესიმაგრისა (რომელიც საისტორიო წყაროებში ურთის ციხის სახელითაა ცნობილი) და ეკლესიის პატრონიც იყო. ვახუშტი ბაგრატიონი, როცა შაჰ-თამაზის შემოსევებს აღწერს, აღნიშნავს: *„მოგვიდა კოკოლა, ახჩის ქუაბნი წარგვიხუნა... ამის კოკოლას თაისი ძმისწული გურგაქ უკუუდგა და მანუჩარს მიერთო ქაჯისციხითა და ფიცითა დიდითა. არამედ კუალად სტეხა ფიცი და უკუდგა მანუჩარისაგან. მოვიდა მანუჩარ ზავისათჳს, მან არ ჰყო ზავი და ფოსო დაუწვიათ... ბ˜ ოქტომბერს გურგარქ შემორიგდა და ველი მისცა. გავბრუნდით, კოკოლას კერძი ურთის ციხე წავართვით და დავარღვიეთ, სიმაგრე დავწვით და ეკლესია დავტოვეთ"* .

აღნიშნული სალოცავი, კოკოლას ეკლესიის სახელით, მ.თამარაშვილსაც აქვს დაფიქსირებული. მისი თქმით, როდესაც შაჰყულიანმა (ჭილინუზაშვილმა) მოინდომა დაკეტილი ღვთისმშობლის კათოლიკური (პატრების) ეკლესიის მითვისება, მას წინააღმდეგობა გაუწიეს ადგილობრივმა კათოლიკე მღვდელმსახურებმა. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: *„შავგულიანმან გამოგზავნა თავისი ღვდლებთაგანი პირველნი პოლიციის კაცებითა, რათა წაიკითხონ ის ქვა სომხურად დაწერილი, რომელიც ატანია აღმოსავლეთის, კერძოთ, კედელში თქვენს გ˜ა პატრებიანთ ეკლესიისა ღვთისშობლის სახელზედ აღშენებულსა, და ისე, ორ სამ გზის ამოსვლითა, რათა დაამტკიცონ მათ, რომ ჩვენი არის და არა პატრებისა... ცდილობენ, რათა ამ სახით ხელში გაიტარონ ეკლესია და გააღონ; იმავე ეკლესიისათვის ჰქმნა გამოძიება ამავე ალექსოვმან (ამ საქმესთან დაკავშირებით თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული გამომძიებელი – თ. ი.) კათოლიკთაგან, სომეხთაგან, და თათრებისგანაც და ამათ გაქი კარგად დაემტკიცებინათ ვ-ც ალიბეგის, და ალიბეგის შვილსა თქმითა, რომ ჩვენ მამაპაპით ვიცით, რომ ეგ ეკლესია პატრებისა ყოფილა ძველთაგანვე და ჩვენც ასე გვინახამს მუდამ პატრების ხელში, რომელთ კარგი მონასტერიც აქუნდათ საყდრის გვერდით ცხრაოდიანი და იქ ცხოვრობდნენ და კიდეც ექიმობდნენ. იმ საყდარს ეტყოდნენ პატრების საყდარს. ზეით კოკოლას საყდარსა და ციხეზე ახლოს ბაზრის პირზე მყოფ საყდარს ეტყოდნენ ფრანგების საყდარსა. ღელეში ერთი პატარა საყდარი არის იმას სომხების საყდარს ეტყვიან".* ამ ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ იმ დროისათვის კათოლიკებს ორი (პატრებისა და ფრანგების) ეკლესია ჰქონდათ. მათგან პატრების ეკლესია, პატრების არყოფნის გამო, დაკეტილი ყოფილა. რაც შეეხება ჯვართამაღლების ეკლესიას, მას მისი ამშენებლის, ცნობილი ფეოდალური გვარის წარმომადგენლის, კოკოლა შალიკაშვილის სახელის მიხედვით, კოკოლას ეკლესიად მოიხსენიებენ, რომელიც არც კათოლიკებს და, მით უმეტეს, არც სომხებს არ ეკუთვნოდა.

ჯვართამაღლების ეკლესიაში კათოლიკური წირვა-ლოცვა, როგორც ჩანს, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უნდა დაწყებულიყო. ამის დასტურია მის სამრეკლოზე არსებული წარწერა: ***„1881 – აღაშენა ესე სამრეკლო ელისაბედ მურვანოვის ასული აზნაუროვის ქვრივმა".***

რაბათის ჩრდილო-სამხრეთით, ხანდრის გორად წოდებულ სიმაღლეზე მდებარე ციხესიმაგრის გალავან-ციტადელი შემორჩენილი იყო გვიანობამდე და მისი მცირეოდენი ნაშთები დღესაც შეიმჩნევა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ერმაკოვის მიერ გადაღებულ ფოტოზე ნათლად ჩანს, რომ იმ დროისათვის, ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო სამგოდოლიანი, საკმაოდ დიდი ტერიტორიის მქონე გალავან-ციტადელი, რომლის შუაშიც საკმაოდ კარგად შენახული ჯვრთამაღლების ეკლესია მოჩანს (მოგვიანებით, სამხრეთით მიშენებული სამრეკლოს გარეშე).

ჯვართამაღლების ეკლესია XX საუკუნის 30-იან წლებში მოინახულა გიორგი ბოჭორიძემ და ვრცელი აღწერილობაც დაგვიტოვა. მისი მონაცემებით: *„ახალციხის ქართული კათოლიკური ჯვრის ეკლესია განახლებულ-გადაკეთებული შენობაა. მისი აღმოსავლეთი ნაწილი ძველია, დასავლეთი – ახალი. მთელი ეკლესიის ზომა 22,5 X 11,5 მ. ახალი ეკლესია ნაშენია სულ თლილი ქვისაგან. ძველი ეკლესია გუმბათიანი შენობაა. ნაწილი თლილი, ნაწილი ნატეხი ქვისაგან არის აშენებული. შიგნით იგი საკურთხევლად არის ქცეული და მას დასავლეთით მიშენებული აქვს ახალი შენობა, ზომით (გარედან ძველი ეკლესია დღეს ჩანს) 7 X 9,25 მ. მის დასავლეთ ნაწილს ფარავს ახალი შენობა, ძველად უნდა ყოფილიყო 10,25 X 9,25 მ. ნაშენია ნაწილი თლილი, ნაწილი ნატეხი ქვისაგან. იგი დარღვეულია ყოველ მხარეს. გუმბათის ძირის ნახევარი ძველია, ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან, ზევითა კი ახალი – ხისაა (??) მრავალი სარკმლით, ძველი ნაწილი გარედან გალესილი ყოფილა კირით, რომლის წარწერიანი და ჩუქურთმებიანი ქვებიც დაფარული ყოფილა, ახლა კირი ნაწილობრივ მოცლილია, მოჩანს წარწერა და ჩუქურთმები. ჩრდილო-სამხრეთ მხარეს, მაღლა საქარეზე და მის ოდნავ ქვევით, არის ორი ქანდაკება ცხვრის თავის გამოსახულებით. აღმოსავლეთით კი ზევით ერთი შენახულა, მეორე მოტეხილია. ამ მეორე ქვის მარჯვნივ არის ქვა ჯვრების გამოსახულებით, მის ძირს ზედ მიდებით, ოდნავ მარჯვნივ, სამხრეთით, არის ქვა 5 სტრიქონიანი სომხური წარწერით. ქვედა სარკმელი ყოფილა, ახლა ამოგებულია. სარკმლის გასწვრივ, ძირს, გარდიგარდმო დადებული საფლავის ქვაა კაცის თავის გამოსახულებით ჩაღრმავებული. ამ ქვის მარჯვნივ, პატარა მანძილზე, ზევით, ნაწილობრივ მოჩანს ქვა-ჯვრის (??) გამოსახულებით და, სამხრეთით, ერთი სტრიქონი წარწერა, ამავე კედელზე სამხრეთისაკენ, მაღლა უდევს ქვა 5-სტრიქონიანი სომხური წარწერით; მის ძირს სამხრეთ კედელთან სხვა წარწერიანი ქვაა, დაფარული კირით, მოჩანს მარტო ერთი სტრიქონი.*

*გუმბათის გარდა, რომელიც ახლა სულ გადაკეთებულია, ძველ ეკლესიას სარკმლები ჰქონია აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 1, ჩრდილოეთით 1, აღმოსავლეთის სარკმელი ახლა აშენებულია. ძველი ეკლესიის სამხრეთით მოჩანს ძველი საძირკველი, ეკლესიის სამხრეთის კარიბჭე. სამრეკლოს იატაკად დაფენილი მაღალი საფლავის ქვაა წარწერით. ასეთივე ქვები მოწყობილია ამავე მხარეს საძირკველთან ერთ პირად. წარწერებიდან ზოგი დაზიანებულია"* . აქვე მას მოტანილი აქვს 54 საფლავის ქვის ქართულენოვანი წარწერები და იმ სიძველეთა სია (ვერცხლის ბარძიმი, ხატები, სასანთლე, საცეცხლური, ვერცხლის ჯვარი და სხვა), რომლებზეც ქართული წარწერებია.

როგორც ჩანს, მოგვიანებით, უკვე სომხურ ტიბიკონზე გადასული ქართველი კათოლიკების მიერ XIX საუკუნის II ნახევრიდან ხდება ეკლესიის რესტავრაცია-გადაკეთება. საინტერესო ის არის, რომ ეკლესიის კედლების აღდგენაში ძირითადად ქართულწარწერიანი საფლავის ქვები უხვად აქვთ გამოყენებული (ჩვენ ასეთი 20-ზე მეტი ქვა დავაფიქსირეთ).

მართალია, 1767 წელს ახალციხიდან რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია, ჯვართამაღლების ეკლესიაში კათოლიკე მღვდელი ატარებს წირვა-ლოცვას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კაპუცინების მოსვლამდე (1733 წელი) ყოვლად წმიდის კათოლიკური ეკლესია მუსლიმებმა გადაწვეს და მის აღდგენას, მრევლის დაკარგვის შიშით, აქ სხვა მოღვაწე პადრებმა შეუშალეს ხელი, რის გამოც კაპუცინებმა მართლმადიდებლებისგან დაცლილ წმ. ჯვრის ეკლესიაში დროებით დაიდეს ბინა. ამ პერიოდიდან ჩნდება ეკლესიის ეზოში სომხურ ტიბიკონზე მდგარი ქართველ კათოლიკეთა ქართულწარწერიანი საფლავები. მართალია წარწერები – ეპიტაფიები ქართულ ენაზეა შესრულებული, მაგრამ სახელების უმრავლესობა სომხურადაა გადაკეთებული (ასე მაგალითად: ტირაცუ აკოფაი, ბაღდასარა, კეჩხუაანთ მათეოსას ცოლი, ერეცი ტერ იოანე, გრიგორ თოქმაჩი, პოღოსას ძე ტირაც, პოღოსას ძე, გასპარა, პეტროზას მეუღლე სარაი, არუთინ მურვანოვის ძე სტეფანე და ა. შ.).

მოტანილი მასალები იმაზე მეტყველებს, რომ ჯვართამაღლების ეკლესია, როგორც მართლმადიდებლური სალოცავი, აგებული უნდა ყოფილიყო, თუ უფრო ადრე არა, შუა საუკუნეებში მაინც, ფეოდალური გვარის – შალიკაშვილების მიერ.

ჯვათამაღლებრის ეკლესია XIX საუკუნის I ნახევარში კათოლიკური რომ არ იყო, ეს ნათლად ჩანს მისიონერების წერილებიდანაც. 1815 წელს უფროსი პატრი ფილიპე რომში გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: *„ახალციხეში გვაქვს ერთი პატარა მონასტერი, რომელიც ევროპის წესისამებრ მოწყობილია. აქაური მისიონისათვის ძალიან საჭიროა, რადგან პატრები, უწინარეს თბილისში მოსვლისა, აქ დგებიან. გვაქვს აგრეთვე პატარა ეკლესია ყოვლად წმიდა მარიამისა"* . იგივე პატრი 1830 წალს გაგზავნილ წერილში კვლავ აფიქსირებს: *„ახალციხეში გვაქვს ერთი პატარა ღვთისმშობლის ეკლესია. ეხლა კი ეს ეკლესია მეტად დაზიანებული, ერთ გვერდზე ჩამონგრეული და გაშიშვლებულია"* . ამ წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ იმ პერიოდისთვის პატრებს მხოლოდ ერთი, ე. წ. პატრების ეკლესია ჰქონიათ.

ბ. არველაძის შენიშვნით, ახალციხის ჯვართამაღლების ეკლესია, *„სავარდოსა და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიებთან ერთად, თავიდანვე იყო ქართული... ამ ეკლესიის ქტიტორების შესახებ ცნობა არ არის შემონახული, მაგრამ იგი ეკუთვნის ქართული არქიტექტურის კლასიკური პერიოდის ძეგლთა რიცხვს (X-XIII სს.). ახალციხის წმ. ჯვრის ეკლესია არაერთხელ იქნა იავარყოფილი მტრისაგან. მაგრამ მრევლი არასოდროს მოჰკლებია, რადგან სწრაფად აღუდგენიათ".* მისი განახლება მომხდარა 1660 წელს; განსაკუთრებულად – 1750 წელს. *„ამ ეკლესიის მრევლმა რიგიანი ვეღარა მოისაზრა და ძველის აღებულს ეკკლესიას ძველადვე მიმატებული მშვენიერი ჩუქურთმიანი ქვებით აღშენებული ეკკლესია დააქციეს და მის მაგიერ უბრალო, სადა, რბილი ქვის ეკკლესია აღაგეს, საკურთხევლი და ამის ძველი გუმბათი კი ძველის ეკკლესიის არის, რაც მცირედ გადააკეთეს" – აღნიშნავდა ზ. ჭიჭინაძე* .

სომხურმა ეკლესიამ იმდენი მოახერხა, რომ *„XIX საუკუნის II ნახევრიდან, მეფის რუსეთმა ევროპიდან საქართველოში კათოლიკე მისიონერების შემოსვლა აკრძალა და აქ მაცხოვრებელ ქართველ კათოლიკეებს წირვა-ლოცვა სომხურ რიტზე დაუწესა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო არა ანტიკათოლიკური, არამედ ანტიქართული – ერის სულიერი გახლეჩვის პოლიტიკა".* იმდროინდელი რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებულმა ამგვარმა შორს გამიზნულმა პოლიტიკამ სომეხ მღვდელმსახურებს საშუალება მისცა ფართოდ გაეშალათ თავიანთი შოვინისტური საქმიანობა. კათოლიკობის ნიღაბს ამოფარებული სომეხი სასულიერო პირები, ამ სარწმუნოების გამოყენებით, ქართველ კათოლიკეებში მშობლიური ენის, ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული თვითშეგნების საბოლოოდ ჩაკვლასა და ძირძველი ქართული ეკლესია-მონასტრების მიტაცება-დაპატრონებას ცდილობენ.

ჯვართამაღლების ეკლესია სომხურ ტიბიკონზე ნაკურთხი ქართველი კათოლიკე მღვდლის **პავლე შაჰყულიანის** (ჭილიმუზაშვილის) ძალისხმევით, XIX საუკუნის II ნახევრიდან სომხურ ტიბიკონზე მდგარ ქართველ კათოლიკეთა ხელში გადადის და მათ წირვა-ლოცვა უკვე სომხური ტიბიკონით უტარდებოდათ. მიუხედავად ამისა, მრევლი რომ ქართულენოვანი იყო, ამაზე მეტყველებს 1881 წელს მიშენებული სამრეკლოს ზემოთ მოტანილი წარწერა. ეს ეკლესია სომხურ-კათოლიკური ან სომხურ-მონოფიზიტური რომ ყოფილიყო, მაშინ სამრეკლოს ამშენებლის ვინაობა და მისი აშენების თარიღი არა ქართულ, არამედ სომხურ ენაზე იქნებოდა გაკეთებული.

ჯვართამაღლების ეკლესია და მის გარშემო არსებული სასაფლაო, თავისი ქართული ეპიტაფიებით, როგორც კულტურის ძეგლი, ავად თუ შავად, მეტ-ნაკლებად დაცული იყო საბჭოთა პერიოდშიც კი (შემოვლებული ღობე, შედგენილი პასპორტი). 1980 წელს შედგენილ პასპორტში (№46) აღნიშნულია: *„ეკლესია დიდი ზომისაა. გადახურვა და კამარა ჩაქცეულია, კედლების ზეთავები – მონგრეული. სამხრეთის ფასადის შუაწელში მიდგმულია სამრეკლო.*

*შიდა სივრცე სწორკუთხა გეგმისაა, დარბაზი საკმაოდ განიერია. აღმოსავლეთის ნაწილს თაღები სამ ტოლ ნაწილად ყოფს, რომელთაგან გვერდითები პოსტფორიუმებია, შუა საკურთხეველში გასასვლელი. ეს უკანასკნელი მოდგმულია გარედან ფასადზე და ოდნავ ჩამოუვარდება სიგანით მთელს ფასადს. საკურთხეველი თითქმის მთლიანად დანგრეულია. დარბაზი ძალზე განათებული იყო. ეს ხერხდებოდა ხშირად განლაგებული და განიერი სარკმლების წყალობით.*

*სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებს თაღები მიუყვება. ინტერიერის კედლები უხეშად დამუშავებული ქვებითაა ნაშენი და შელესილია.*

*ფასადები მეტ-ნაკლებად დაზიანებულია. დასავლეთის ფასადს მთლიანად შენარჩუნებული აქვს კარგად დამუშავებული ქვის პერანგი (გარდა ფრონტონის კედლებისა). აქ დეკორატიულ ელემენტებად გვევლინებიან გაერთიანებული სათაურები, რომლებიც რიტმულად უვლიან თავს, ორ სარკმელს და კარებს, აგრეთვე – პროფილირებული კარნიზი, რომელიც გამოყოფს ფრონტონს და კედელს ერთმანეთისაგან.*

*სამხრეთის ფასადს ცენტრში მიდგმული აქვს ორსართულიანი სამრეკლო. პირველი სართული წარმოადგენს ოთხ სვეტზე დაყრდნობილ კარიბჭეს, მეორე – რვასვეტიან, კაპიტელებით შემკულ სარკმელს, რომელსაც რვაფერდა ჩარდახოვანი ლორფინებით გადახურული სახურავი აქვს. სამრეკლოზე ჯვარია აღმართული. პერანგი აქაც შენარჩუნებულია.*

*ეკლესიის ჩრდილოეთის ფასადი შედარებით დაზიანებულია: ცენტრალური ნაწილი მთლიანად გაძარცულია პერანგისაგან, სარკმლის ღიობები დანგრეულია.*

*აღმოსავლეთის ფასადი ფაქტიურად არ არსებობს. მასზე მიდგმული საკურთხევლის ნანგრევები გაძარცულია პერანგისაგან.*

*ეკლესიის მიჯრით, დასავლეთით, პირამიდალურ საფეხურებად აღმართული სასულიერო პირის მდიდრულად შემკული აკლდამაა მოთავსებული. აქვე გამოჩენილი ქართველი მოღვაწის მღვდელ ივანე გვარამაძის („ვინმე მესხის„) საფლავის ქვაა"* .

XXI საუკუნის დასაწყისში ვატიკანიდან შემოგზავნილმა პადრე-ემისრებმა, არა ყოფილი „პადრებისა" და „ფრანგების" კათოლიკური ეკლესიების, არამედ ადრე აშენებული მართლმადიდებლური ჯვართამაღლების ეკლესიის დაპატრონება სცადეს და არაკანონიერი გზით კიდეც მიაღწიეს მიზანს. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლამდე ეკლესიას და მის გარშემო არსებულ სასაფლაოს ისტორიული ძეგლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული და შეძლებისდაგვარად დაცულიც იყო. შემოსულმა კათოლიკე პადრებმა (ეპისკოპოსი **ჯუზეპე პაზიტო,** პადრები – **ბრაგანტინი, ზურაბ კაკაჩიშვილი** და სხვები) ამ ტაძრის საბოლოო მითვისება გადაწყვიტეს. მათ ამ საქმეში აქტიურ დახმარებას უწევდა ქალაქის იმდროინდელი გამგებლი **დავით ალთუნაშვილი.** მისი უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით გარკვეულმა პირებმა ეკლესიას, მის გარშემო არსებულ ძველ სასაფლაოს ისტორიული ძეგლის სტატუსი მოუხსნეს და მხოლოდ ივანე გვარამაძის სასაფლაო დატოვეს, როგორც ისტორიული ძეგლი. ამით ხელ-ფეხი გაუხსნეს შემოსულ ემისრებს და მათ 2010 წლის გაზაფხულზე დაიწყეს აღნიშნული ეკლესიის გადაკეთებ-გადმოკეთება. მის გარშემო არსებული სასაფლაო, როგორც ისტორიული ძეგლი, მთლიანად გაანადგურეს (ქართულ წარწერიან საფლავის ქვებს, ცხვრისა და აკვნის ქანდაკებებს ზოგს მიწა გადააყარეს, ზოგი სად წაიღეს ღმერთმა უწყის, ზოგი „შემოემტვრათ" და ა. შ.) და მასზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა დაიწყეს.

საინტერესოა ეს ემისრები, თუ მართლა ქრისტიანები არიან და ქრისტიანული მრწამსით მოქმედებენ, რატომ გაანადგურეს სამსაუკუნოვანი ქართულწარწერიანი საფლავის ქვები, რომელთა ისტორიული ღირებულება კომუნისტებმაც კი აღიარეს და ხელი არ ახლეს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – რა მიზანი ამოძრავებდათ მათ? ზემოთ მოტანილი მასალებიდან გამომდინარე, ამ საუკუნის დასაწყისში შემოსულ პადრებს არა ჯვართამაღლების ეკლესიის, არამედ, პატრებისა და „ფრანგების" ეკლესიებად წოდებულ წმ. მარიამისა და იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური სალოცავების აღდგენა-განახლებაზე უნდა ეზრუნათ. მაგრამ მათ ეს შეგნებულად არ გააკეთეს, რადგან ეს ეკლესიები გვიან – XVIII საუკუნეშია აგებული, ჯვართამაღლებისა კი – XII-XIV საუკუნეებში, ამიტომ მას საქართველოში კათოლიკობის „დაძველების" მიზნით მიეპატრონენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მოქმედი ქართული ეკლესიების უდიდესი ნაწილი დაიხურა. მათი ნაწილი კოლმეურნეობების საწყობებად აქციეს, გარკვეული ნაწილი, უყურადღებობის გამო, დანგრევის პირას მივიდა, ზოგიც – საგანგებოდ დაანგრიეს.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ისტორიულ ძეგ-

➔

ლებზე (მათ შორის ეკლესია-მონასტრების ნაგებობებზე, როგორც კულტურის ძეგლებზე) ყურადღება მეტ-ნაკლებად გამახვილდა და დაიწყო მათი აღრიცხვა - აღწერა და სარესტავრაციო სამუშაობი. ამისათვის კულტურის სამინისტროსთან შეიქმნა ძეგლთა დაცვის სამმართველოს. მის მიერ ოფიციალური წერილობითი თანხმობის გარეშე (მით უმეტეს, დახურულ სასაზღვრო ზოლში) ამა თუ იმ ძეგლზე რაიმე სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაობის ჩატარება დაუშვებელი იყო. მართალია, მაშინაც ახერხებდნენ სომხები კანონის გვერდის ავლით ზოგიერთი ეკლესიის გასომხურებას, მაგრამ ასეთი ინტენსიური და აშკარად გამომწვევი ხასიათი არ ჰქონია.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ისტორიული ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით კონსტიტუციაში საგანგებო მუხლია შეტანილი: ***„საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით“*** (მუხ. 34.2).

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებულ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე:

*1. „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებული ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომელზეც ისინია განლაგებული.*

*2. ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზომები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიათან შეთანხმებით.*

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ მოქმედ კანონში მითითებულია: „ადგილობრივი თვითმმართველის და მმართველობის ორგანოები განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას“. (მხ. 12) მათ უფლება აქვთ არ დაუშვან **„დეპარტამენტის წერილობითი თანხმობის გარეშე უძრავი ძეგლის, მისი ნაწილებისა და ფრაგმენტების გადაკეთება, გადაადგილება და დაშლა, ხოლო უძრავი ძეგლის დამცავ ზოლში – მიწის სამუშაოების ჩატარება, მიცვალებულთა დაკრძალვა, მრავალწლიანი მცენარეების დარგვა და მოსპობა“.** *(მუხლი 25).*

**„1. აკრძალულია უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება, გადაადგილება ან დაშლა.**

**2.** უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება, გადადგილება ან დაშლა დასაშვებია იმ შემთხვევაში თუ ამას მოითხოვს:

ა) უძრავი ძეგლის გადარჩენა;

ბ) გადაუდებელი აუცილებელი მდგომარეობა;

**3.** უძრავი ძეგლის დაკარგული არქიტექტურული ფორმებისა და ელემენტების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ აღსადგენი არქიტექტურული ფორმებისა და ელემენტების სრული იდენტიფიკაციისა და ზუსტი მეცნიერულ მონაცემებზე დაფუძნებული საპროექტო დოკუმენტაციის ბაზაზე“.

საქართველოს სისხლის სამათლის კანონით **„ისტორიის, კულტურის ან ბუნების ძეგლთა ანდა ისტორიული ან კულტურული ფასეულობის მქონე საგნის ან დოკუმენტის განზრახ დაზიანება ან განადგურება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე“** *(მუხ. 257).* მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კანონი ჩვენს ქვეყანაში ფაქტიურად, არ მოქმედებს!

კანონის აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით რეგიონის შესაბამის ხელმძღვანელობას შეუძლია და ვალდებულიცაა ძეგლის დაზიანებისა და უნებართვო უსახური ნაგებობის ჩამშენებლებს სისხლის სამართლის მუხლით თავიანთ ქმედებაზე პასუხი მოსთხოვონ სოფელ წყალთბილის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს და კულტურულ მემკვიდრეობის დეპარტამენტის წინაშე დასვან საკითხი აღნიშნულ ეკლესიაში, ე.წ. სალოცავისა და ხაჩკარის ლიკვიდაციის შესახებ, რათა ძეგლს დაუბრუნდეს თავისი თავდაპირველი სახე.

ყოველივე ეს კი საქართველოში მოქმედი ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა ერთი ნაწილის უმოქმედების შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოში სამეფო ხელისუფლების გაუქმებამდე, სამეფო კარისა და საპატრიარქოს ოფიციალური ნებართვის გარეშე არა თუ სხვა რელიგიური მიმდინარეობის, არამედ მართლმადიდებლური ეკლესია-სალოცავების აგება, მით უმეტეს, ტრადიციული მართლმადიდუბლური სალოცავის სხვა მიმდინარეობის საკულტო ძეგლად გადაკეთება, ყოვლად დაუშვებელი იყო. ძნელბედობის ჟამს, ქვეყანაში შემქნილი ვითარებით თუ სარგებლობდნენ შემოსული სხვადასხვა მიმდინარეობები და მიტოვებულ, მაგრამ ძირძველ ქართულ ეკლესია-მონასტრებს შეკეთება-მოვლის საბაბით, უკანონოდ, დროებით თუ ითვისებდნენ, ეს სულაც არ ნიშნავდა და არც დღეს არ ნიშნავს იმას, რომ ესა თუ ის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია მათი საკუთრებაა და მასზე კანონიერი უფლება აქვთ.

ყოველ ისტორიულ ძეგლს (მნიშვნელობა არა აქვს მატერიალური კულტურის ძეგლია ის თუ სხვადასხვა აღმსარებლობის სალოცავი), ოფიციალური ნებართვის გარეშე თვითნებურად შეკეთების, სახეცვლილების, მით უმეტეს, დანგრევის უფლება არავის არ აქვს. ამა თუ იმ ისტორიული ძეგლის რესტავრაციას თუ ვერ შევძლებთ, იმ სახით დაკონსერვება მაინც უნდა მოხდეს, რა სახითაც ჩვენამდე მოაღწია. მაგრამ თუ კანონის გვერდის ავლით, ქვეყნის ისტორიული ძეგლების განადგურება, გადაკეთება-დამახინჯება ხდება, ვფიქრობთ, იგი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების სუსტი მუშაობის შედეგია.

საუბარს დიდი ილიას სიტყვებით დავასრულებთ: **„ვინც საქართველოში იპოვა რქა ცხოვრების ხნისა, დღეს ისინი გამხდარან მოსისხლე მტრებად! ამ დიდებულთა წარწერებით აღსავსე ქვათა უმსგავსოებათა სავსე ხელით ცდილობენ შემუსრონ და ამოამტვრიონ წერაქვით ქართული წარწერები... არაბები ბატონობდნენ 200 წელიწადი და ისინი არ სჩადიოდნენ ამ ამბებს, რასაც დღეს ვხედავთ და გვესმის. მისდგომიან და ანგრევენ ტაძრებს რკინის კეტებით და წერაქვებით, ანადგურებენ ნახატებს, თვალებს ჩიჩქნიან წმინდანებს და სხვა. სამარცხვინოა, რომ მამა-პაპათა სისხლით შეკრული კირით აღშენებულნი ტაძარნი დაისაკუთრონ გუშინდელ მოსულთა და მკვიდრნი კი განდევნილ იყვნენ თვისსავე მამულში მით უფრო სათაკილოა ამგვარი მოვლენა, რომ იქნებ ხარჯიც დაადონ ჩვენს მლოცველებს ამ მამა-პაპათა სალოცავებში“ .**

ლიბერალიზმის და დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებულნი თავს ნუ მოვიტყუებთ, საუკუნის წინ თავს მოხვეული ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია და მწვავედ დგას. თავი დავანებოთ სირაქლემობანას და ერმაც და ბერმაც თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს და ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ!

არაკეთილოსურნეთა მიერ ისტორიული ძეგლების მითვისების მცდელობა თუ განადგურება მტკივნეულია არა მარტო ქართველი მოსახლეობისთვის, არამედ, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადეგნებისთვისაც, –შეგნებულად გამიზნული ამგვარი ქმედება სამხრეთ საქართველოს მრავალეთნიკური მოსახლეობის შიგნით დაპირისპირებასა და კონფლიქტების წარმოშობას უწყობს ხელს.

*თინა ივილაშვილი,*
*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

**პეტრე გიქოშვილი**

*(დასასრული. დას. იხ.№2, 2016 წ.)*

როგორც ივ. მერაბიშვილი თავის წერილში აღნიშნავს – უდის ციხის გალავნის სიგრძე 200 მეტრი ყოფილა, ხოლო სიგანე – 500. ჩვენდა საუბედუროდ, დიდი ხანია რაც ტერიტორიას დაეპატრონნენ იქვე მცხოვრებნი და ციხის ტერიტორიაზე ააშენეს საცხოვრებელი ბინები, რის გამოც საიდუმლოებით მოცული ციხის მიდამოები გადათხარეს და მატერიალური ღირებულების ბევრი ნიმუში გაანადგურეს.

როგორც ირკვევა, ციხის აღმოსავლეთით, გალავნის კედელს ეკვროდა სავაჭრო მოედანი, ხოლო გალავნის შიგნით ყოფილა სასახლე და ეკლესია, რომლებიც 1595 წლიდან თურქმა დამპყრობლებმა ციხის გალავანში არსებული სასახლე გამოიყენეს ჯარის ნაწილებისათვის, ხოლო ეკლესია გადააკეთეს მეჩეთად.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ თანახმად, **„ვაკუფი დიდებული ყურანის საკითხავად უდის ციხის წმინდა მეჩეთში: ვენახი და ბაღი, საყანე მიწითურთ, ჩაირი და წისქვილი სახელად გურასფა აზნაურისა და უდის ციხეში (მდებარე) სახლები ახალციხის (ჯარის?) მარჯვენა ფლანგის მოხალისის დერვიშ-აღას მფლობელობაში (მყოფი). თანახმად სასამართლოს განაჩენისა, ახალ დავთარში ჩაიწერა, რომ, მას შემდეგ, რაც ზემოხსენებული ვენახის, ბაღის და ყანის ყუშური და გამოსაღები მიეცემა მიწის პატრონს, (დანარჩენი) სარგო დაიხარჯოს ზემოხსენებულ წმინდა მეჩეთში ყურანის მკითხველებზე“.**

აღნიშნული ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ უდის ციხე დიდი სავაჭრო ცენტრი ყოფილა. ამას ადასტურებს უდის ციხის „რაბათის“ სახელწოდება. რაბათი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს გამაგრებულ სავაჭრო ცენტრს. უდეში ეკლესიებისა და გვართა სიმრავლე იმაზე მიუთითებს, რომ იგი ვაჭარ-ხელოსანთა პუნქტი უნდა ყოფილიყო.

1590-1595 წლებში, როცა თურქოსმალოებმა დაარბიეს და გაძარცვეს სამხრეთ საქართველოს მოსახლეობა, ამ დროს მესხეთის სხვა სოფლების მოსახლეობასთან ერთად, უდის მოსახლეობის დიდმა ნაწილმაც მიატოვა მშობლიური სოფელი და გაქცევით უშველა თავს, ხოლო მამაპაპური კერა ვერ დათმო 64-მა სხვადასხვა გვარის 135 ოჯახმა და თურქთა ტყვეობაში დარჩნენ.

უდიდან შავშეთისკენ საქარავნო და საფოსტო გზის არსებობის უტყუარ ფაქტად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ ირმის ჭალის სამხრეთ-დასავლეთით მყუდრო, ტყიან ადგილას დღემდე შემორჩა ქვით აშენებული რამდენიმე ხალხამი. როგორც ჩანს, საქარავნო გზა აქ გადიოდა და საქონლის გადასაზიდად ძირითადად ჯორებს იყენებდნენ, რის გამოც ამ ადგილს **„ჯორების ხალხამის“** სახელი მიუღია.

ჯორების ხალხამისკენ გზა, პირდაპირ საჩხერეზე გავლით, შედიოდა ფორნი კარის ვიწრო ხეობიდან, ასევე ეს გზა მიდიოდა შავშეთისკენაც.

უდის ორი ეკლესია და ერთი სამკვიდრო, რომელსაც **„ნასილდრიებს“** ეძახიან, არაბთა შემოსევების დროს, მურვან-ყრუს დაუნგრევია, მოუკლავთ სტეფანე შახბურაძე (უდის ბატონი). მოგვიანებით შუშანქალას ეკლესია ხელახლა აუშენებია ბატონ ხურციძის ასულს, სტეფანეს მეუღლეს – შუშანას.

1983 წლის 11 მაისს „ნასალდრევის“ ჩრდილო-დასავლეთის ფერდობზე, საგზაო სამუშაოების ჩატარების დროს, აღმოჩენილი იქნა სამარხი, რომელშიც მრავალი ადამიანის ძვლები იყო მოთავსებული. სამარხს გვერდები ამოშენებული ჰქონია რიყის ქვებით, ხოლო ზემოდან დახურული ყოფილა ფილა ქვებით.

გასული საუკუნის ბოლოს, უდის მკვიდრს, ივანე მერაბიშვილს ამ ეკლესიის ნანგრევებში უნახავს დამტვრეული ქვა, რომელზეც გამოხატული ყოფილა ჯვარი, ხოლო მის ქვეშ წარწერა – **„შახბურ“**. რადგან ქვა დამტვრეული ყოფილა, „შახბურ„-ის გარდა სხვა ველარაფერი ამოუკითხავს.

# უდის ისტორია



**„ამით ვამტკიცებ, რომ ეს ეკლესია აშენებულია შახბურაძეების დედისაგან, ქმრის სულის შესანდობლად, მურვან-ყრუს აოხრებამდე“,** – დასძენს ი. მერაბიშვილი.

ავტორის ცნობით, წარწერიანი ქვა მას შემდეგ დაკარგულა, რაც მის მახლობლად ბინათმშენებლობა დაუწყიათ. თუ ეს ასეა, მაშინ შუშანქალას ეკლესია მე-7-მე-8 საუკუნეების ძეგლი უნდა იყოს.

შუშანქალას დანგრეული ეკლესიის აღმოსავლეთით მდებარეობს მცირე ზომის ეკლესია, რომელიც **„წმინდა სერგის“** სახელს ატარებს და დღემდეა დაცული. შიგ არავითარი ფრესკები არაა დაცული.

უდის პირველი საშუალო სკოლის აღმოსავლეთით (ძირის ყანაში), 15-იოდე მეტრში, პატარა გორაკზე, უძველესი არქაული პერიოდის ეკლესია ყოფილა. უწინ ამ ადგილს **„ნასალდრევს“** ეძახდნენ და დღესაც უდის მოსახლეობა ამ სახელით იცნობს ამ ნაეკლესიარს.

მკვლევარის აზრით, ეკლესიაში უდის საბატონოს წევრები უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალულები, ხოლო ეკლესიის ახლოს – გორაკის ფერდობზე, – უდის ძველი მოსახლეობის საგვარეულო სამარხები.

დღევანდელი კათოლიკური ეკლესიის ადგილას ყოფილა შედარებით მცირე ზომის მართლმადიდებლური ეკლესია. გასული საუკუნის დასაწყისში უდის მოსახლეობას იგი დაუნგრევია და მის ადგილზე 1901-1912 წლებში აუგიათ დიდებული ეკლესია, რომელიც **მარიამ ღვთისმშობლის** სახელს ატარებს.

*

თქმულების მიხედვით, ქვაბლიანის ხეობის თავადებმა – ხურციძეებმა, მე-17 საუკუნის 30-იანი წლებში მაჰმადიანობა მიიღეს. მათი ერთი შტო – სულეიმან ხურციძის შთამომავლები, 1834 წლამდე ცხოვრობდნენ სოფელ მეიდანში (უდის ჩრდილოეთით, მდ. ქვაბლიანის მარცხენა სანაპიროსთან, რომლებსაც სამემკვიდრეოდ ეკუთვნოდათ სოფლები: მეიდანი, ბოლაჯური, ენთელი, შორაველი, ზემო ფარეხა, არალი, ყორაშენი, კორტოხეთი, ნოფაშენი, ქვემო წყისე, ზემო წყისე და სხვ.

**სულეიმან-ბეგ ხურციძეს** 4 ვაჟი ჰყოლია – ნუცმანი, მეჰმედ ემინი, ახმედი და ასლანი.

1828 წელს, როდესაც რუსეთის ჯარის დახმარებით სამცხე თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლდა, სულეიმან ბეგსა და მის შვილებს, უზნეო, ამორალური და გარყვნილი ცხოვრების გამო ქვაბლიანში აღარ დაედგომებოდათ (სულეიმან ბეგის მფლობელობაში არსებული სოფლებიდან ახლად დაქორწინებულ ქალიშვილებთან პირველი ღამის უფლება მათ ჰქონიათ) და ახალციხის სამმართველოში 1834 წელს განცხადებაც შეიტანეს თავიანთი უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის შესახებ, რასაც ის მოჰყვა, რომ სულეიმან ბეგმა და მისმა შვილებმა 2000 ვერცხლად გაყიდეს მთელი თავიანთი ავლა-დიდება და სოფელ მეიდნის 19 მოსახლე თან გაიყოლეს თურქეთში, მუდმივ საცხოვრებლად. მას შემდეგ მეიდნის სახელიც სრულიად გაქრა.

სულეიმან ხურციძესა და მისი შვილებზე ქვაბლიანელებს ლექსიც შეუთხზავთ, რომელშიაც დახასიათებულია ორი მეზობელი სოფელი – მეიდანი და უდე:

***„ოღრამა მეჲდანა,***
***ყოხმიშტურ ჲერი,***
***ონდან და სალამათ გეჩასინ ტურნა!***
***უდე გულისტანდურ ყონასენ ტურნა„!***

ქართულად:

***ნუ შეივლი მეიდანს,***
***რომლის ადგილებიც ყარს;***
***მას გულდამშვიდებით გადაუარე,***
***წეროვ!***
***უდე ვარდნარია და იქ დაბინავდი,***
***წეროვ!.***

აღნიშნული ლექსი 1930 წელს სოფელ ადიგენში ჩაუწერია აკადემიკოს ***სერგი ჯიქიას*** *(„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (ტ.3, გვ. 85).*

ირანელი ისტორიკოსის **ისკანდერ მუშის** ცნობით, **შაჰ-აბასმა 1613-1616** წლებში, საქართველოში ლაშქრობის დროს, კახეთიდან ირანში 130 ათასზე მეტი ქართველი გადაასახლა, მათ შორის, მესხეთიდან. კერძოდ, უდიდანაც აუყრიათ მოსახლეობა და იძულებით გადაუსახლებიათ. უდელებს კი იქ, სამკვიდრო ადგილისთვის, თავიანთი სოფლის სახელი შეუნარჩუნებიათ. მათ შთამომავლებს 1914 წელს შეხვედრია მეფის რუსეთის არმიის ყოფილი ჯარისკაცი, სოფელ არლის მკვიდრი **პეტრე ვარდიძე,** მასთან ერთად ყოფილან თანასოფლელები **იორდანე** და სიმონ **ბათმანაშვილები** და **ლევან აფრიამაშვილი.**

აი რას გვიამბობს **პეტრე ვარდიძე:**

*„ჩვენ ქ. არდებილეში ვიდექით, ირანის ერთ-ერთ სავაჭრო-სამრეწველო ქალაქში. ცხენების საკვები შემოგვაკლდა და მის შესაძენად სოფლებში წავედით* ***ნარიმანოვის*** *მეთაურობით, რომელიც წარმოშობით თბილისიდან იყო. მან კარგად იცოდა ქართული, რუსული, აზერბაიჯანული და სომხური ენები. ქალაქ არდებილიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით წავედით. გავიარეთ ორი სოფელი, მაგრამ ვერაფერი ვიშოვეთ და გზა განვაგრძეთ. მესამე სოფლის შესასვლელში, გზის პირას, წყარო იყო და იქით გადავუხვიეთ. წყაროსთან ქალებს მოეყარათ თავი. ქართული ლაპარაკი რომ გავიგონე, პირდაპირ, ყურს არ დავუჯერე, სახტად დავრჩი. ეს ამბავი მაშინვე ნარიმანოვს მოვახსენე. ჩვენი საუბრის მოსმენის შემდეგ ქალები სოფლის ცენტრისკენ გაიქცნენ. ათიოდე წუთში თითქმის მთელი სოფლის მოსახლეობა ჩვენსკენ გამორბოდა, წინ მოუძღოდა მაღალ-მაღალი, შუახნის კაცი, ალბათ, სოფლის თავკაცი. თავდახრილნი მოგვესალმნენ. ჩვენ მიერ თავკაცად მიჩნეულმა თქვა:*

*– ცუდი განზრახვით როდი მოვსულვართ, თავს ვუხრით დიდი საქართველოს წარმომადგენლებს.*

*ჩვენზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ამ გულთბილმა შეხვედრამ, რომელიც ჩვენთვისაც და მათთვისაც მოულოდნელი იყო. გამოგვკითხეს ვინაობა და მოსვლის მიზეზი. შეკითხვებით არც ჩვენ ვასვენებდით.*

*ნარიმანოვმა მასპინძელს სოფლის სახელი ჰკითხა, მაგრამ, თავკაცმა, ამ კითხვაზე პასუხი შეაყოვნა. მერე თქვა:*

*– ჩვენი წინაპრები მესხეთიდან არიან. ტყვეთა ნაწილი შაჰის ლაშქარში ჩაურიცხავთ, ნაწილი – მონებად გაუყიდიათ ბაზრობაზე, ნაწილი კი დაუსახლებიათ სხვადასხვა მხარეს. მათ შორის, არდებილის ოლქშიც. არდებილის ოლქში ახლაც არის ბევრი ქართული სოფელი, ხოლო ჩვენი სოფლის დღევანდელი მცხოვრებლების წინაპრები სოფელ უდიდან ყოფილან. ამ სოფელსაც უდე დავარქვით და ენაც შევინარჩუნეთ.*

*როცა მასპინძელმა გაიგო, რომ მე უდის მეზობელი სოფლიდან ვიყავი, მღელვარებისაგან თავი ვერ შეიკავა და აცრემლებული გადამეხვია.*

*– მამაკაცს ასეთი საქციელი არ შეჰფერის, მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში კაცს ბევრი რამ ეპატიება, – მითხრა მან. მერე, თითქოს უცნაური, მაგრამ მის პირობებში გასაგები წინადადება შემომთავაზა:*

*– ორი ქალიშვილი მყავს, დამერწმუნებით, რომ ლამაზები არიან, აირჩიე ერთ-ერთი და ცოლად შეირთე, უცოლო კაცი ხარ, მინდა სამარეში ისე ჩავიდე, რომ ჩემი ოჯახის ერთი წევრი მაინც სამშობლოში მეგულებოდესო. მართლაც, მშვენიერი ქალიშვილები ჰყავდა, მაგრამ ჯარისკაცს, აბა, სად წამეყვანა ცოლი.*

*სოფლის თავკაცმა მოსაწონი მასპინძლობა გაგვიწია, იმ ღამეს არ გაგვიშვა, რადგან 30 კილომეტრზე სახიფათო გზა გვქონდა გასავლელი. მეორე დღეს ჯორ-აქალემები დაგვიტვირთეს და გაგვისტუმრეს“.*

# ბიბლიური სახეები



## ლევან გვეტაძე
### ნეემია

ცხოვრობდა კაცი, სახელად ნეემია.

როცა მან შეიტყო იერუსალიმის კედლის დანგრევის ამბავი, რამდენიმე დღე იმარხულა და იგლოვა კიდეც. ტყვეობას გადარჩენილი, მაგრამ დიდ გაჭირვებაში მყოფი ისრაელიანების უბედობამაც ძალიან იმოქმედა მასზე და მოსდგა უფლის წინაშე ლოცვა–ვედრებას. აღიარა, რომ მან და მისმა მამის სახლმაც, შესცოდა ცაბაოთ უფლის წინაშე: ***„ჩვენ მეტისმეტად დავაშავეთ შენს წინაშე, არ ვასრულებდით იმ მცნებებს, წესებსა და სამართალს, შენს მორჩილს, – მოსეს რომ უბრძანე, – თუ „შესცოდეთ ხალხებში გაგაბნევთო, მაგრამ თუ მოიქცევით ჩემკენ, დაიმარხავთ ჩემს მცნებებს, შეასრულებთ მათ, ცის კიდემდე რომც იყოთ გაფანტულნი, იქედან შეგკრებთ და მოგიყვანთ იმ ადგილას, რომელიც ჩემი სახელის დასავანებლად ამოვირჩიეო“*** და ღმერთს შესთხოვა მისი სახელით გამოსყიდული ერისათვის ეპატიებია ძველი ცოდვები.

**ნეემია** ღვინისმწედ ითვლებოდა სატახტო ქალაქ შუშანში. ერთხელ, მეფობის მეოცე წელს, ღვინო მიართვა **ართახშასთას,** რომელმაც სახეზე შეატყო მას დიდი მწუხარება და მიზეზიც მოჰკითხა. ნეემიამ ხელისუფალს უპასუხა, რომ მისი ძვირფასი ქალაქი იერუსალიმის უბედურება იყო ამის მიზეზი და სთხოვა, ნება მიეცა აღედგინა იგი.

მეფემ გულთან ახლოს მიიტანა ნეემიას თხოვნა, გაისტუმრა იერუსალიმში, თან რამდენიმე წერილიც გაატანა ისეთ ხალხთან, რომელთაც ხელეწიფებოდათ სამშენებლო და სხვა საჭირო მასალით დახმარება.

იერუსალიმში წასულმა ნეემიამ რამდენიმე მხედარიც თან გაიყოლა.

სამი დღე დაჰყვეს იერუსალიმში.

კარგად დაათვალიერა დანგრეული ქალაქი. იუდას განმგებლად დანიშნული ნეემია არ მოელოდა იერუსალიმის ისეთ სავალალო მდგომარეობას და არც იმას, რომ ხალხში ღვთის რწმენა იმგვარად განელებული დახვდებოდა.

იქ მცხოვრებ მღვდლებსა და ყველა იუდაელს თავისი განზრახვა გაანდო, შემდეგ კი მეფის მიერ გატანებული წერილი ტყვისმცველს გააცნო, რათა ნება დაერთო მას ქალაქის აღსადგენად საჭირო ხე-ტყის დასამზადებლად.

ხალხმა მოუწონა ნეემიას სურვილი, მხოლოდ ისრაელიანთა მტრებმა: ***სანბალატ ხორონელმა,*** ყამონელთა მორჩილმა ***ტობიამ*** და არაბმა ***გეშემ,*** დაცინვითა და ზიზღით მიიღეს ის წინადადება და სთქვეს: ***„ამას რას სჩადით? მეფის წინააღმდეგ აღდგომა ხომ არ გინდათ„?*** რაზედაც ნეემიამ უპასუხა: ***„ცათა ღმერთმა მოგვიმართა ხელი და ჩვენც, მისი მორჩილნი, ავდგებით და ავაშენებთ, თქვენ კი იერუსალიმში არა გაქვთ არც წილი, არც უფლება და არც სახსენებელი“.***

დაიწყეს იუდაელებმა ქალაქის აღდგენა, ყველა ხალისით მონაწილეობდა სამუშაოებში.

***სანბალატმა*** მასხრად აიგდო იუდაელები. ტობია ყამონელს კი არ ეჯერა საქმის ბოლომდე მიყვანის.

იუდაელთა მტრები: ***სანბალატი, ტობია, არაბები, აშდოდელები, ყამონელები*** გაერთიანდნენ და იერუსალიმზე გალაშქრება განიზრახეს.

იძულებული შეიქმნა ნეემია გაეტარებინა საჭირო ღონისძიებები; მან დროებით შეწყვიტა ქალაქის შენება და ყველგან მცველები დააყენა.

შეიტყო მტერმა, რომ გამოაშკარავდა მათი განზრახვა.

ღმერთმა გააქარწყლა ბოროტი სურვილი და კვლავ განახლდა იერუსალიმის შენება.

ნეემიას ბრძანებით, იუდაელების ნაწილი შუბითა და მახვილით იდგნენ ქალაქის დასაცავად, ნაწილიც აშენებდა იერუსალიმს. პირადად ნეემია, მისი ძმები და მცველები იარაღს არ იშორებდნენ, ძილისას ტანსაცმელსაც კი არ იხდიდნენ და წყალზეც იარაღასხმულნი დადიოდნენ.

ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა ნეემიამ იუდაზე თორმეტი წლის ხელმძღვანელობის მანძილზე. სარგებელში აღებული ყანა თუ ვენახი ხალხს დაუბრუნა, ბეგარის გადახდაც შეუწყვიტა. სწორედ ამიტომ, ხალხიც მიენდო ყველაფერში და გულწრფელად ამოუდგა მხარში.

ყველა დიდი ხალისით შრომობდა იუდასა და დანგრეული იერუსალიმის აღსადგენად.

შეხედეს სანბალატმა და მისმა მომხრეებმა ნეემიას საქმეებს და მისი მოკვლა გადაწყვიტეს.

შეთქმულებმა ხუთჯერ შეუთვალეს ნეემიას ონოს ხეობის რომელიმე სოფელში შეხვედრა. მიუხვდა ნეემია მათ განზრახვას და არ შეხვდა იმ მიზეზით, რომ ჩამორჩებოდა ქალაქის შენების პროცესი.

ვერ ისვენებდნენ ნეემიას მტრები.

ტობიამ და სანბალატმა მოისყიდეს ***შემაყია,*** რომელმაც ურჩია ნეემიას ტაძარში შეეფარებია თავი, რათა არ მოეკლათ, მაგრამ იმასაც მიუხვდა ნეემია, რომ მოსყიდული იყო და არ დაუჯერა.

დასრულდა იერუსალიმის კედლის შენება.



მთელი ხალხი ზეიმობდა.

ნეემიას ბრძანებით, ხალხის ორმა დიდმა გუნდმა გალობითა და საკრავების ხმაურით შემოუარა კედელს. შემდეგ ორივე გუნდი ღვთის სახლს ეახლა, სადაც მსხვერპლი აღუვლინეს ღმერთს.

უზომოდ გაიხარა ხალხმა, რადგან დიდი მადლი ხვდათ უფლისაგან.

ტობია კვლავ უგზავნიდა ნეემიას მუქარის წერილებს.

იერუსალიმი ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად აღდგენილი და ხალხიც ცოტა რაოდენობით ცხოვრობდა იქ. ამიტომ, ნეემიამ თითქმის ყოველ ნაბიჯზე დაუყენა ქალაქს მცველები და მოსახლეობაც აღრიცხა. ***„მთელ კრებულში ერთიანად ორმოცდაორიათას სამას სამოცი იყვნენ, ყმებსა და მხევლების გარდა, ისინი სულ შვიდიათას სამას სამოცდაჩვიდმეტი იყვნენ, მათგან ორას ორმოცდახუთი მგალობელი ქალი და კაცი იყო“.***

ხალხს უამრავი პირუტყვი ჰყავდა და განძეულობაც დიდი რაოდენობით გააჩნდა და ***„დაიწყეს ცხოვრება მღვდლებმა, ლევიანებმა, კარის მცველებმა, მდაბიურებმა, შეწირულებმა და მთელმა ისრაელმა თავიანთ ქალაქებში“.***

ერთი კაცივით შეიკრიბა ერი მოედანზე, სადაც უდიდესი მწიგნობარი და გონიერი კაცი, ეზრა მოიყვანეს და მისცეს მას მოსეს რჯულის წიგნი.

გახსნა ***ეზრამ*** წიგნი და ხალხი ფეხზე წამოდგა.

აკურთხევდა ეზრა უფალს, ხალხი კი გულწრფელად ერთხმად გაიძახოდა: ამინ! ამინ! და უკვე პირქვედამხობილნი თაყვანს სცემდნენ უფალს. ეზრამ და ნეემიამ ხალხს გაანდეს, რომ ის დღე უფლისათვის წმინდა იყო ***„რადგან რჯულის სიტყვების გამგონე, მთელი ხალხი ქვითინებდა“.***

დიდმა სიხარულმა მოიცვა ხალხი, რომელიც ახლა უკვე, ყოველდღე კითხულობდა ღვთის რჯულის წიგნს. ***„შვიდ დღეს იზეიმეს, მერვე დღეს კი, საზეიმო თავყრილობა ჰქონდათ წესისამებრ“.***

გამოეყო ისრაელი ყველა გვარტომს და ძველებურად კვლავ შეუდგა თავისი უფლის ლოცვა–დიდებას, რომელმაც მრავალი სიკეთე მოუტანა ხალხს ეგვიპტედან გამოყვანით დაწყებული და უამრავი ცოდვაც შეუნდო. გაიხსენა ერმა ყველა სიკეთე, რაც უფალმა უბოძა მათ, ამასთანავე ღვთის წიგნში, მოსეს რჯულში ჩაწერილი ყველა იმ წესისა და მოთხოვნის მკაცრად დაცვაც შეახსენეს საკუთარ თავს, რომელიც, სამწუხაროდ, კარგა ხანი მივიწყებულიც კი ჰქონდათ.

მთელი ისრაელი მიმართავდა უფალს: ***„შენ მართალი ხარ ყველაფერში; რაც კი ჩვენზე მოავლინე, ვინაიდან შენ წრფელად იქცეოდი, ჩვენ კი ბოროტებას ჩავდიოდით. ჩვენი წინასწარმეტყველები არ ასრულებდნენ შენს რჯულს, ყურს არ უგდებდნენ შენს მცნებებსა და შეგონებებს, რომელთაც მათ შეაგონებდი“.***

მტკიცე აღთქმა დაუდეს უფალს, დაბეჭდეს და ხელიც მოაწერეს მას ერისთავკაცებმა, ხოლო პირველი ხელისმომწერი, ბუნებრივია, ნეემია იყო.

ერმა გულწრფელად აღუთქვა უფალს მოსეს რჯულის მკაცრად დაცვა.

ერისთავკაცები წმინდა ქალაქში, – იერუსალიმში დასახლდნენ, ხოლო დანარჩენებს წილი უყარეს და ათიდან ერთი დარჩა იერუსალიმში, ცხრა კი სხვა ქალაქში წავიდა საცხოვრებლად.

მოსეს წიგნის დაკვირვებით წაკითხვისას, ხალხმა აღმოაჩინა რომ ყამონელნი და მოაბელნი ვერასოდეს შევიდოდნენ ღვთის კრებულში, რადგან მათ ერთ დროს პური და წყალი არ გაიმეტეს გაჭირვებაში მყოფი ისრაელიანებისათვის.

მალე, ნეემიამ აუკრძალა ისრაელიანებს სხვა რჯულის ცოლების მოყვანა და საკუთარი შვილების სხვა რჯულის ადამიანებთან შეუღლებაც, – ის, რაც ადრე დაუშვა სოლომონ მეფემ და ბრძანა: ***„განა ამ საქმეზე არ შესცოდა სოლომონმა, ირსაელის მეფემ? ბევრ ხალხს როდის ჰყოლია იმისთანა მეფე – მის ღმერთს უყვარდა იგი და მეფედ დააყენა მთელ ისრაელზე. თუმცაღა, ისიც აცდუნეს უცხოელმა ცოლებმა. სად გაგონილა ამდენი ბოროტების კეთება და ამოდენა ცოდვის ჩადენა. ჩვენი ღმერთის წინააღმდეგ, უცხოელ ცოლებთან წოლით?„***

ნეემიამ შეძლებისდაგვარად განწმინდა ხალხი ყოველივე უცხოურისაგან, მღვდლებს და ლევიანებს სამსახური აღუდგინა, ერს მოაშორა მისი მტრები, მათ შორის სანბალატ ხორონელის სიძეც და რაც ყველაზე ძირითადია, – ერთ მძლავრ მუშტად შეკრა ისრაელი, აღადგინა გაპარტახებული იერუსალიმი, – ეს უწმინდესი ქალაქი. სწორედ ამიტომაც შესთხოვა ნეემიამ უფალს: ***„ღმერთო ჩემო, სასიკეთოდ გამიხსენე“.***

ნეემიას მთელი ცხოვრების მანძილზე ერთი წამითაც არასოდეს დაუყრია ფარ-ხმალი და დიდი შემართებით იბრძოდა თავისი ხალხის სწორ გზაზე გასაყვანად; იმ უწმინდესი მიზნის მისაღწევად, იგი ზოგს უჯავრდებოდა, ზოგს აფიცებდა, ზოგს წვერსაც კი გლეჯდა... ყოველივეს კი მათი უსაზღვრო სიყვარული აკეთებინებდა.

ცხოვრების ურთულესი გზა გალია ნეემიამ, საბოლოდ მაინც მიაღწია საწადელს და საღვთო წესრიგი აღადგინა ქვეყანაში. სწორედ ამიტომ შეიყვარა დიდმა ებრაელმა ერმა ნეემია, რომლის ღვაწლი დღემდე სამაგალითოა მათთვის.

# საუკუნის გადასახედიდან

## წერილი ახალციხიდან

მარიამობა დღეს, 15 აგვისტოს, ჩვეულებრივი დღესასწაული იყო შესანიშნავ და უძველეს ხნის საფარის მონასტრისა, რომელიც, როგორც ვუწყით, აშენებულია მეთორმეტე საუკუნეში და ჯერ კიდევ იმდენად მაგარია, რომ რამდენიმე საუკუნეს გაისტუმრებს. წელს, როგორც უწინ, საფარას დიდძალი მლოცველი ხალხი იყო შეკრებილი ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიდან, რადგან ამ წმინდა ადგილს გავლილ შფოთიან საუკუნეებიდგან დიდი რწმენა და თაყვანისცემა აქვს მოპოვებული ხალხში. წინა წლებთან შედარებით, წელს მნახველი კარგა ცვლილებას შეამჩნევდა საფარის მონასტერს. დავიწყოთ იქითგან, რომ საფარის იდუმალი და მყუდროება დარღვეულია; მის გარშემო გალავნის შიგნით გაუშენებიათ რამდენიმე ყაზარმისებური შენობა, რომლებშიაც სცხოვრობენ ასამდე რუსი ბერი და მორჩილნი. სადგომ ბინადვე გადაუკეთებიათ გალავნის გარშემო, განკერძოებით აგებული, პატარა ეკკლესიები (მაგ. საფარის შესასვლელში, მარცხნივ). ღვთისმშობლის უმთავრეს ეკკლესიის გუმბათს, სამრეკლოს და ზოგიერთ ძველებურ ქვის ჩარდახს ჰხურავენ თუნუქით და აგრეთვე გუმბათის უწინდელ მოგრძო სახეს მორგვალო სახისას აკეთებენ. ჩვენ ვერ მივხვდით, რამ გამოიწვია თუნუქის გადაკვრა ქვის ჩარდახებზედ. როგორც ვიცით, წყალი არსად ჩამოდიოდა და აქა-იქ, ზოგან მორღვეული ქვები ოდნავ შეკეთებას თხოულობდა. თუ იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ, რომ თუნუქის ჩარდახი უფრო კედლებს არ დაამძიმებსო, – მაშინ რატომ ქვის ჩარდახი აღარ აჰყარეს.

ველარა ჰნახავთ აგრეთვე საფარაში შესანიშნავ ხელოვნებით ქვისგან გაკეთებულს კანკელს, უმთავრესს და უძვირფასესს სამკაულს საფარისას, როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, ეს კანკელი ყუთებით გაუგზავნიათ მოსკოვში არქეოლოგიურ საზოგადოებისათვის (ზოგიერთის სიტყვით მუზეუმისათვის). ეს საზოგადოება პატივ სადებ და სასარგებლო დაწესებულებად მიგვაჩნია, მაგრამ ძველი ნაშთის გამოკვლევა-შესწავლისათვის ხალხის სათაყვანო ეკკლესიიდგან ნივთების წაღება არ არის კარგი.

წლევანდელ საფარობის განსხვავება კიდევ იმაში გამოიხატება, რომ წინა წლებში თუ აქ მყოფთ ბერ მორჩილთ, დღე-ღამე მოსვენება არა ჰქონდათ, რომ შესაფერი დახმარება აღმოეჩინათ მოსულ მლოცველთათვის, – ეშოვათ მათთვის, ან გაეკეთებინათ დროებითი თავშესაფარი – სადგომი ბინა, – წელს უკვე აშენებულ ბინებიდგან და გალავნიდგან მორჩილნი გალავანს გარეთ ერეკებოდნენ მლოცველთ, – სხვებს მოველით, ბინები სხვისთვის გვინდაო და თქვენთვის ადგილი არ რჩებაო. ამ ამბავმა, როგორც მოსალოდნელი იყო, მორჩილთა და მოსულ ხალხს შორის უთანხმოება გამოიწვია და პოლიციამ გააგზავნა ისინი.

წლევანდლამდე ღვთისმშობლობა დღეს წირვა-ლოცვის წეს რიგი სრულდებოდა ხოლმე ქართულს ენაზედ, წელს-კი შესრულებულ იქმნა რუსულად, მლოცველთა უმეტესობას შეადგენდა ახლო-მახლო სოფლებიდგან მოსული გლეხობა, რომელსაც რუსული არ ესმის, ამას გარდა, არც მარიამობის წინა ღამეს და არც შემდეგ გალავანს შიგნით ლხინ-თამაშობის ნება არ მისცეს; ეუბნებოდნენ, ახლო მდებარე ტყეებში გადით და იქ ილხინეთო.

რაც შეეხება წირვა-ლოცვის არა ქართულს ენაზედ შესრულებას, ამაში, უეჭველია, დამნაშავენი არიან გარშემო მდებარე სოფლებში მყოფი მღვდლები, რომელთაც დაიზარეს და მდაბიო ხალხს არ აღირსეს ლოცვა სამშობლო ენაზედ. საზოგადოდ კი ვიტყვით, რომ ყველა ზემო აღნიშნულ გარემოებებში დამნაშავეა უმეტესად ახალციხის ეგრედ წოდებული, ინტელიგენცია, რომელსაც ნურასოდეს ნუ მოსთხოვთ მოქმედებას საზოგადო საქმეში. მოძმის ფეხის გამოდგმას, უშვერ ჭორიკნობას და ერთმანეთის გაუტანლობაში გაიმართოს ჯიბრი, თუ პირველი ჯილდო ახალციხელებს არ ერგოთ.

**გ.ახალციხელი**

***გაზეთი „ივერია“, №185, 1899 წ.***

***

ს.უდე (ახალციხის მაზრა). ამ თვის პირველს რიცხვებში გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული ქალი მარიამ გრიგოლის ასული გზირიშვილისა, წლოვანებით 107 წლისა. ეს ქალი მით უფრო შესანიშნავი იყო, რომ უკანასკნელ დღემდე შეეძლო მუშაობა ისე, როგორც ახალგაზრდას, თვალთ კარგად უჭრიდა და წიგნს კარგად კითხულობდა, მხოლოდ ცოტა ყურს აკლდა. ამისი ქმარი იაკობ გზირიშვილი ჯერ ისევ ყმაწვილი კაცი ყოფილა, როცა ასპინძის ომში ჯაშუშობა გაუწევია, ერეკლე მეფისათვის და უცნობებია ოსმალთა ამბავი. ი. გზირიშვილი იმ დროს ფაშის საიაც (შიკრიკი) ყოფილა. ათის საათის განმავლობაში ახალციხიდან ქუთაისში ჩასულა, სადაც დავით ბატონიშვილის წერილი წაუღია. ფაშას სამოცი ყურუში უჩუქებია ამ სამსახურისათვის. ი. გზირიშვილი გარდაიცვალა 124 წლისა 1885 წელს. ამ ღრმად მოხუცებულებისაგან ბევრი შესანიშნავი და ისტორიული მასალები დარჩა ზეპირგადმოცემებით. ყველაფერი შეკრებილი აქვს ბ-ნ პ.მერაბიშვილს და კარგი იქნება, რომ გამოქვეყნდეს.

***გაზეთი „ივერია“, №210, 1899 წელი***

# ნიკო კეცხოველი და მესხეთი

**რობერტ ბერიძე**

ცნობილი ქართველი ბოტანიკოსი, პუბლიცისტი, მწერალი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი ჭეშმარიტი პატრიოტი, მესხეთზე უსაზღვროდ და ფანატიკურად შეყვარებული პიროვნება გახლდათ. მას, ფაქტიურად, ფეხით ჰქონდა შემოვლილი სამცხე-ჯავახეთი, ზედმიწევნით კარგად იცნობდა მის ბუნებას, ხალხს, არჩევდა ნიჭიერ ახალგაზრდობას და ეხმარებოდა უმაღლესი განათლების მიღებაში.

1945-1952 წლებში ნიკო კეცხოველი გახლდათ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. მისი რექტორობის პერიოდში, მისივე ძალისხმევით, მესხეთში ადგილობრივი ინტელიგენცია ჩამოყალიბდა. უფრო მეტიც, მის მიერ დაკვალიანებული ბევრი მესხი ახალგაზრდა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწეც გახდა. მათ შორის იყო ასპინძის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი და ისტორიის მასწავლებელი, აწ განსვენებული ნიკოლოზ დიასამიძე.

ერთხელ, პირადად ჩემთან საუბარში, ბატონმა ნიკოლოზმა მეტად საინტერესო ამბავი მიამბო:

„დიდი სამამულო ომიდან მე და მამაჩემი ახლადდაბრუნებულები ვიყავით. უჭირდა ქვეყანას, უჭირდა ხალხს, მითუმეტეს, ჩვენს სოფელს (დადეშს). ძალიან მინდოდა რომ სწავლა გამეგრძელებინა უმაღლეს სასწავლებელში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მივაშურე. ჩემდა სამწუხაროდ, დამაგვიანდა. მისაღები გამოცდები უკვე დამთავრებული იყო.

რა მექნა, არ ვიცოდი. უკან დაბრუნებაც არ მინდოდა.

გადავწყვიტე ბატონი ნიკო კეცხოველი მენახა.

მოწიწებით შევაღე მისი კაბინეტის კარი და თავი წარვუდგინე. მამაშვილურად მიმიღო, დამამშვიდა. მერე მდივან-ქალს უხმო, – ყველა ფაკულტეტის დეკანი მომიყვანეთო! – უბრძანა.

ცოტა ხანში მის კაბინეტში ყველა ფაკულტეტის დეკანი გამოცხადდა.

მისი პირველი კითხვა მხოლოდ ეს იყო:

– თავისუფალი ადგილი ხომ არავის დაგრჩათ?

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანმა მორიდებით განუცხადა: მხოლოდ ერთი ადგილი მაქვს თავისუფალიო.

– უგამოცდოდ ჩარიცხეთ ეს ახალგაზრდა. მესხი დიასამიძეა. ჩვენს იმედს უსათუოდ გაამართლებს!

სიხარულისაგან არ ვიცოდი, რა მექნა.

სამადლობელი სიტყვები ძლივს ამოვღერღე და ის იყო რექტორის კაბინეტიდან გამოსვლა დავაპირე, რომ შემაჩერა:

– მოიცადე, ახალგაზრდავ, ერთი წუთით, საქმე არ დამიმთავრებია!

უყოყმანოდ შევჩერდი.

– ნათესავი თუ გყავს, ვინმე, თბილისში? – მკითხა.

უარის ნიშნად თავი გავიქნიე.

– გასაგებია! – ჩაილაპარაკა. მდივან-ქალს ისევ უხმო და რაღაც გადაულაპარაკა.

– წამომყევით, – ხელით მანიშნა ბატონმა ნიკომ...

მორჩილად გავყევი.

სტუდქალაქში გამყვა და დამაბინავა.

გამომშვიდობებისას ჯიბიდან ფული ამოიღო და გამომიწოდა.



სირცხვილისა და მორიდებისაგან ჭირის ოფლმა დამასხა.

– აიღე, ახალგაზრდავ, მე სესხად გაძლევ, ვიცი ნაომარ ჯარისკაცს ფული არ გექნება. როცა საშუალება მოგეცემა, მერე დამიბრუნე, უფრო სწორედ, შენი კარგი სწავლით გამისტუმრებ ვალს! – დამამშვიდა დიდმა ნიკომ“.

## მადლობა ბატონ ავთანდილ ბერიძეს!

ახლახან გამომცემლობა „საარმა“ დასტამბა ლიტერატორისა და ჟურნალისტის, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორის, ავთანდილ ბერიძის „მესხური ფოლკლორის“ სქელტანიანი კაპიტალური ნაშრომის პირველი ნაწილი.

წიგნი საშუალებას გვაძლევს უფრო ახლოს გაეცნო მესხეთის, შოთა რუსთაველის მრავალტანჯული მხარის ტრაგიკულ ხვედრს, აქ მცხოვრები ქართველების გმირული სულის ამსახველი მესხური ფოლკლორის უნიკალურ ნიმუშებს.

ბატონი ავთანდილ ბერიძე, წლებია სამცხე-ჯავახეთში ქართული კულტურის აღორძინების მძიმე ჭაპანს ეწევა, მისი რედაქტორობით სტაბილურად, ყოველთვიურად გამოდის მრავალგვრედიანი ქართული ეროვნული გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, სადაც მკითხველი დახვეწილი ქართულით ეცნობა მხარის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, პირველ რიგში, ლიტერატურულ ცხოვრებას, კულტურას, განათლებას, მესხური ფოლკლორის მარგალიტებს და ა.შ.

მაგრამ შეეჭიდო ისეთი მონუმენტური ნაშრომის წიგნად ქცევას, თავი მოუყარო რეგიონის ქალაქებსა და დაბა-სოფლებში გაბნეულ მესხური ფოლკლორის მრავალფეროვან ინდივიდუალობას, ეცადო, ქართულ სააზროვნო სივრცეს ძალადობრივად მოწყვეტილ მესხურ ფოლკლორს გზა გაუკვალო თანამედროვე ქართველი მკითხველისაკენ, არა მარტო დიდ გამბედაობას და ვაჟკაცობას მოითხოვს, არამედ, დაუღალავი მოღვაწეობითაც უნდა შესძლო დიდ ეროვნულ საქმეს დაადგა თავი და ქართულ ზეპირსიტყვიერებას უაღრესად საყურადღებო მასალა შემატო.

ყოველივე აღნიშნული კი გმირობის ტოლფასია, რამეთუ, მსგავსი მოღვაწეები ქართულ სინამდვილეში არც თუ ბევრი გვყავს.

მაოცებს პროექტის ავტორის, ფოლკლორული მასალის შემგროვებლისა და გამომცემელ-რედაქტორის ბატონ ავთანდილ ბერიძის თავმდაბლობა და საოცარი მადლიერების გრძნობა იმ ადამიანების, იმ სასიქადულო მამულიშვილების მიმართ, რომელთაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული დღემდე, ხელს უწყობენ ათას ჭირ-ვარამ გამოვლილ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების, მესხური ფოლკლორის შეგროვებისა და გადარჩენის ეროვნული საქმის ღირსეულად წარმართვის ღონისძიებებს.

ამასთან, ავტორ-შემგროვებელი, გამომცემელ-რედაქტორი ბატონი ავთანდილ ბერიძე წინასიტყვაობაში დანანებით წერს, რომ კრებული კიდევ უფრო სრულყოფილი იქნებოდა, მასზე მუშაობა სულ ცოტა ათი-თხუთმეტი წლის წინ რომ დაწყებულიყო, რადგან მესხური ფოლკლორის მცოდნე ასაკოვანი ადამიანები დღეს უკვე ცოცხლები აღარ არიან, მათ კი დიდი დახმარების გაწევა შეეძლოთ.

და, ბოლოს. ავტორი გამოხატავს რა ერთგული მკითხველისადმი ღრმა პატივისცემას, ჩვეული თავმდაბლობით აღნიშნავს, რომ სიამოვნებით მიიღებს მათგან ობიექტურ შენიშვნებს და წინადადებებს.

ასევე აანონსებს, რომ ზემოთ აღნიშნულ ნაშრომს გაგრძელება ექნება მეორე ნაწილის სახით, სადაც შევა ლეგენდები, თქმულებები, ზღაპრები, წეს-ჩვეულებები, ანდაზები, გამონათქვამები, გამოცანები, მესხური თამაშები, ლექსები და ა.შ.

მე, როგორც ერთი რიგითი მკითხველი, უფლებას ვიტოვებ, გამოვხატო ჩემი უაღრესად დადებითი შეფასება ამ მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომის და რედაქტორ-გამომცემლის საქმიანობისადმი და ხმამაღლა განვაცხადო:

– დიდი მადლობა ბატონო ავთანდილ, ღმერთმა უმრავლოს თქვენისთანა მამულიშვილები ჩვენს სამშობლოს. თქვენი ენერგია, ნიჭიერება და დიდი ორგანიზატორული უნარი კვლავაც გაბრწყინებულიყოს ქართული მწერლობის და ზეპირსიტყვიერების აღორძინების უაღრესად საჭირო საქმეში.

## ღია წერილი გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის” რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს

ბატონო ავთანდილ,

არ გაგიკვირდეთ ჩემი წერილი, რადგან მას მხოლოდ კეთილი ზრახვების გამო ვწერ. თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში ბეჭდვურ პრესას, მითუმეტეს, მცირეტირაჟიან გაზეთებს, მით უფრო, ლიტერატურულს, ფინანსურად ძალზე უჭირთ. ამ დროს, თუ კი ვინმე გამოჩნდება და მამულიშვილურ საქმეს გააკეთებს, და, თანაც, ერთი ნომრის დაფინანსებას მაინც შეძლებს, მწყურვალისათვის წვეთი წყლის მიწოდებას მაინც ნიშნავს.

ყოველივე აღნიშნულზე იმიტომაც ვამახვილებ ყურადღებას, რომ თქვენდამი რწმუნებულ გაზეთს, რომელსაც არასოდეს არ ულხინდა, წლების წინ, შემთხვევიდან შემთხვევამდე, იშვიათად გამოუჩნდებოდა ნომრის დამფინანსებელი (ნაწილობრივ) და ასე, დიდი შრომისა და წვალების ფონზე გამოდიოდა ყოველი მორიგი ნომერი, თქვენ მაინც, წლების განმავლობაში, უანგაროდ და უხელფასოდ ემსახურებოდით ამ მეტად მნიშვნელოვან მამულიშვილურ საქმეს.

და აი, რამდენიმე წელია გაზეთის ბოლო გვერდზე გამოჩნდა ლაკონური ინფორმაცია – „გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი“.

მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით დიდი მადლობა მინდა მოვუხადო ქალბატონ ლიანას უხმაურო ქველმოქმედებისათვის. უფრო სწორად, როგორც ეს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია განმარტებული – (მეოხ-ი. შემწე, მფარველი) გაზეთის შემწეობისათვის, მფარველობისათვის!

მე, როგორც ერთი რიგითი მკითხველი და ჟურნალისტი, აღფრთოვანებული ვარ მისი ასეთი პატრიოტული, მამულიშვილური გადაწყვეტილებით. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქალბატონი ლიანა დიდ ბიზნესში არ არის დაკავებული, მაგრამ მაინც, მიუხედავად ამისა, იგი უანგაროდ ეწევა ქველმოქმედებას.

ბარაქალა თქვენს ქართველ ქალობას, ქალბატონო ლიანა. ღმერთი იყოს თქვენი შემწე ყველა კეთილშობილურ საქმეში.

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი,
ქ.ბორჯომი

ფოლკლორი

# დღესასწაულები და დღესასწაულებთან დაკავშირებული წესები

*(გაგრძელება. დასაწყ. იხ. №1,2,12 – 2015, 1-3 2016)*

## წითელი პარასკევი

დიდ ხუთშაბათის მეორე დღე – წითელი პარასკევი, კვდრების დღედ ითვლებოდა. ამ დღეს ქალები ღვიარ პურს, უხას (თხელ ლავაშს) გადააკრავდნენ საჯზე, ბურღულს – პურს მოხარშავდნენ, ზედ შაქარს მოაყრიდნენ, სანთლებს აიღებდნენ, კვერცხებს შეღებავდნენ. ასე სუფრას გააწყობდნენ, სანთლებს აიღებდნენ და წავიდოდნენ სასაფლაოზე. ყველა თავის მკვდრის საფლავთან ჩამოჯდებოდა, იტირებდა, საფლავზე კვერცხებს დაფლავდა, სანთლებს აუნთობდა. ტირილით გულს რომ მოიოხებდა, შემდეგ შეიკრიბებოდნენ და ერთად მკვდრების სულის მოსახსენებლად ქეიფს გამართავდნენ. ბოლოს დამთვრალნი იალებით, ბარბაცით წამოვიდოდნენ სახლებში.

*

ჭონას დავალ გალობითა, ღმერთი თქვენი წყალობითა,
ლოცვას ღამიანათ მოისმენთ, ქრისტე ღმერთის ბრძანებითა.
ლიტანიას შემოუვლით, სანთელ კელაპტარებითა,
გარდმოხსნასა დასქერიხართ, თქვენი კეთილი თვალებითა.
ადე. ქალო, კვერცხი ჩადე, შენი ლამაზ ხელებითა,
ადგა ქალი, დაძრა ტანი, ქვეშ გობია, ზედ საცერი,
ალვა ცრა და მუშკი ზილა, აცხო იმის ქადა-პური,
ერთი უთხარ, ორი მამცა, ცხონდა იმის მამის სული.“.

**მთქმელი ლექსო ზედგინიძე, 82 წლის, ს.ბალანთა, ჩაწერილია 1948 წელს).**

*

„იავ, მთაზედა, თოვლიანზედა,
ია დავთესე, ვარდი მოსულა,
ირმისა ჯოგი შიგ შემოსულა,
ნეტამც არ გაექელათ, სულ გეეძოვათ,
სიძე-სიმამრი მთას ნადირობდნენ.
სიმამრმა სტყორცნა, მოკლა სასიძო,
„შვილო, დარეჯან, ქმარი მოგიკალ„!
„შენ, მამაჩემო, დარბაისელო,
როცა მოკვდები, არ მოისვენო.

(ამასთან ერთად მღეროდნენ სხვა სახალხო სიმღერა-ლექსებსაც, როგორც, მაგალითად ანდუყაფარის სიმღერას („ორმოში ფეტვი ჩავყარე„) და სხვა.

(მთქმელი **სიმონ მელიქიძე**, 65 წლის, ს.ბარალეთი. ჩაწერილია 1948 წელს).

## აღდგომა

შაბათს პურიცხობას დაიწყებდნენ. გამოაცხობდნენ: ქადას, ნაზუქს, პასკალს, ყათმარს და სხვა. დილით ადრე ეკელესიაში მიდიოდნენ ლიტანიის შესასრულებლად. ლიტანიიდან რომ დაბრუნდებოდნენ, ჯერ სახლში, ყველა თავის ოჯახში, წაიქეიფებდა, შემდეგ კი ყველიერებივით გამართავდნენ ქეიფს, ზოგს მოპატიჟეები ეყოლებოდა, ზოგს რა და ზოგს რა. იყო სოფელში გაბმული ქეიფი. გაზაფხულის მჩქეფარე სისხლი ქეიფსა და მხიარულებაში ლაღობდა. ამ ხანებში მთა-ჯავახეთის ყოველთვის რაღაც სიცოცხლითა და სიამოვნებით ივსებოდა. სოფლის მძინარებას, ზამთრის თოვლით მინამქრულ სოფელში, სადაც ამდენ ხანს მხოლოდ მიწაყრილ, თოვლით შემძიმებულ და უზარმაზარ ძელებით მაღლა შეყენებულ ჭერის ქვეშ ისმოდა მოქეიფეთა კიჟინა, ან ადამიანთა ნაოცნებარი, სიკეთესა და ბოროტებაზე, მოყვრობასა და მტრობაზე, მეგობრობაზე და გამტანიანობაზე, წარსული დროების ათას მწუხარებაზე, აოხრებაზე, მტერთაგან წვალებაზე და ტანჯვაზე, ვაჟკაცებზე, რომლებიც არ ანებებდნენ მტერს თავეთ მიწა-წყალს, დარნებიდან უცბად ესხმოდნენ მტერს, არ ეპუებოდნენ ბრძოლაში და იმარჯვებდნენ და სხვა ასეთების თხრობა ისმოდა დახელოვნებულ მთხრობელისა და მთქმელისაგან. ყველა ეს იცვლებოდა: გარეთ გამოდიოდა ყველა და ცის თაღის ქვეშ გაისმოდა საზეიმო ხმა. პარაკლისი კუმურდოსა და ვარძიის თაღებ ქვეშ.

თუმცა ამაზე ადრეც ყველიერებშიც გამოეფინებოდნენ საქეიფოდ გარეთ – ერდობანზე, მაგრამ მაშინ მხოლოდ ერდო-ბანებზე. ახლა კი მთელი სოფლის ველ-მინდვრებიც იღვიძებდნენ. ზეიმობდა არა მარტო ჭერი და ბანი, ზეიმობდა თვით ველ-მინდვრებიც,

როდესაც აზარტში შესული მოქეიფენი სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ამბობდნენ და ჭიქას-ჭიქაზე ცლიდნენ, ამ დროს მოზარდები, არა ნაკლებად აზარტში შესულნი, კვერცხებს აჭიდავებდნენ, კბილზე იკრავდნენ, სინჯავდნენ წითელი კვერცხების სიმაგრეს:

– აპა, დაჯექი და დავარტყაო. – ამბობდა ერთი.

– არა, შენ დაჯექიოო, ან არა და შევცვალოთო.

ხშირად კვერცხობინას ხნოვანნიც თამაშობდნენ. კვერცხებით ძირითადი თამაში კვერცხების დაკვრა იყო: ერთი იჭერდა კვერცხს მუჭში ისე, რომ თავი ქონებოდა მაღლა, მეორე წვერით დაუკრავდა, თან ერთი ამბობდა: ქრისტე აღდგა„! – „ჭეშმარიტად„-ო! უპასუხებდა ხოლმე მეორე. მერე წვეროთი დაუკრავდა, ან არა და, კვერცხის ბოლოებს დაჰკრავდნენ. იცოდნენ აგრეთვე კვერცხის დაგორებაც. ერთი ხელის გულზე დაიდებდა კვერცხს, ცერა თითით დაიჭერდა, დახრილად გააჩერებდა მიწაზე ხელს და გაუშვებდა ცერა თითს. კვერცხი გაგორდებოდა, იმავე ადგილიდან მეორე და მესამეს დააგორებდნენ ასევე. დაგორებული კვერცხი თუ მოხვდებოდა მეორეს, მაშინ დამგორებელი (რომელსაც კვერცხი მოხვდებოდა) აიღებდა მოხვედრილ კვერცხს. მისი პატრონი კი ახალ კვერცხს დააგორებდა. იცოდნენ სროლაც: ორ კვერცხს დასვამდნენ ისე, რომ ერთმანეთს შორის კვერცხი სიგანეზე ჩატეულიყო. გადაზომავდნენ მანძილს და იქიდან ესროდნენ. ვინც მოარტყამდა ორივე კვერცხს, აიღებდა ორივეს, თუ ვერ მოარტყამდა, დატოვებდა ნასროლ კვერცხს დასმული კვერცხების პატრონის სასარგებლოდ. იცოდნენ ცალ კვერცხისთვის სროლაც.

## სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული თურქულენოვანი ანდაზები

(გაგრძელება. დასაწყ. წინა ნომერში)

### გ

გამგები ერთი სიმის ჩამოკვრითაც გაიგებსო.

გამგებს ერთიც ეყოფა, გაუგებრისთვის კი ათასიც ცოტააო.

გახვრეტილი ქოთანი წყალს არ დაიჭერსო.

გათლილი ქვა კედლიდან არ ჩამოვარდება და თუ ჩამოვარდა, ძირს არ დარჩებაო.

გაგებულისათვის ქინქლის ხმაც კმარა, გაუგებრისათვის კი – ზურნაც ცოტააო.

გამწევ ხარს დაჰკრავენო.

გაფრინდა ბულბული, წავიდა ვარდი, – გინდ იცინე, გინდ იტირეო.

გამოსაშვები (გამოსასვლელი) სისხლი ძარღვში არ დარჩებაო.

გაუგებრისთვის ერთიც ერთია და ათასიცო.

გატეხილი გული არ გამთელდებაო.

გაუგებელს წენგოიანი კაკალი ლიმონი ეგონაო.

გატეხილი ქოთანი ადგილს ვერ დაიმკვიდრებსო.

გარეთ ამინდი ნისლიანი და შინ ცოლი ულამაზოო.

გაქცეული თევზი დიდიაო.

გაქცევაც გმირობააო.

გაუხარელი თავი ვერ გაიხარებსო.

გიჟისთვის სწორი პასუხიო.

გიაურის წითელი კვერცხის ნაჭუჭი სანამ მიწაზე არ დავარდება, გაზაფხული არ მოვაო.

გიაურს რომ მოშივდება, ხორცხელი გაახსენდებაო.

გიჟი აკეთებს და დამთხვეული ანგრევსო.

გინდ ასი იცოცხლო, გინდა ათასი, ბოლო მაინც სიკვდილიაო.

გიჟისთვის ყოველი დღე ბაირამობააო.

გიჟმა თუ გიჟი ნახა, სამალავი ხვრელს მონახავსო.

გიჟმა თუ გიჟი ნახა, ჯოხს შეინახავსო.

გიჟის დავთარი არ წაიკითხებაო

გიჟი აყალ-მაყალს არ მოერიდებაო.

გველს სიკვდილი რომ მოუწევს, შუა გზაზე გამოვაო.

გზა ერთი და გასაკეთებელი ორიო.

გმირის თავი ნისლიანი უნდა იყოსო (ე.ი. ფიქრიანი).

გმირს ცალი მხარი ნაჭრილობევი უნდა ჰქონდესო.

გმირის სიტყვა-პასუხი საზრიანი თქმულაო.

გულს არც ყავა უნდა, არც ყავახანა, გულს შვება უნდა, ყავა მაჰანაო (მიზეზიაო).

გულში არის, მაგრამ ხელში არაო.

**ჩაიწერა არსენ კარაპეტიანმა 1967 წელს, მოგვაწოდა ნარცის კარაპეტიანმა 2016 წელს**

**გაგრძელება იქნება**




## „კარგი მფრინავი მოძებნეთ“!

გარდასულ დღეთა მოგონებებს ყოველთვის ახლავს ბევრი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენების ხიბლი და არის რაღაც ისეთი ცხოვრებისეული მომენტები, რომლებიც ღრმად აღიბეჭდება ხოლმე ჩვენს მეხსიერებაში. მათი დავიწყება, უბრალოდ, შეუძლებელია.

ჩემი თაობის ადამიანებს კარგად გვახსოვს გასული საუკუნის 60-იან წლებში, ზევიდან წამოსული ერთი ასეთი დირექტივა: გეგმა კანონია, ის უნდა შესრულდეს!

დღეს ასეთი მოვლენების გახსენება, ალბათ, ღიმილის მომგვრელია. მაშინ კი, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან სულ რაღაც 15-ოდე წელი იყო გასული და, გაპარტახებულ ქვეყანას აღდგენა სჭირდებოდა. პატარა რაიონში, სადაც არც ფაბრიკა ყოფილა და არც ქარხანა, აბა, რა გეგმებზე უნდა ყოფილიყო საუბარი. სამაგიეროდ, ყველა სოფელში შექმნილი იყო კოლმეურნეობები და, შესაბამისად, თავთავიანთი გაზრდილი გეგმებიც ჰქონდათ. გეგმების შესრულება კი მკაცრ კონტროლზე იყო აყვანილი როგორც სოფლის მეურნეობის სამმართველოს, ასევე პარტიის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომისა თუ სხვა მაკონტროლებელი ორგანიზაციების მიერ.

სახელმწიფო გეგმების შესრულების თაობაზე პარტიის ასპინძის რაიკომში ბიუროს საგანგებო სხდომა მიმდინარეობს. პირველი მდივნის, – ვასილ კავაძის კაბინეტის მისაღებში კოლმეურნეობების გამგეობების თავმჯდომრებისა და უწყებათა ხელმძღვანელების აბსოლუტური უმრავლესობაა შეკრებილი. ვისაც გეგმის შესრულებაში კარგად აქვს საქმე, საუკეთესო გუნება-განწყობაზეა, ისეთებიც არიან, რომლებიც მკაცრი განაჩენის, – სასტიკი საყვედურის მოლოდინში არიან.

ბიუროს სხდომიდან უკმაყოფილო სახით გამოდის ორგორის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ლადო ზაქაიძე და ცხვირსახოცით ოფლს იწმენდს. კარებთან მდგომ მეზობელი სოფლის – ძველის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს, მამია ზედგინიძეს ცნობისმოყვარეობამ სძლია და გამომწვევად შეკითხა: უხასიათოდ მეჩვენები, რაშია საქმე, ლადო?

– საქმე იმაშია, ჩემო მამია, რომ, როგორც მაღალმთიან რაიონზე, გამოყოფილია ერთი ვერტმფრენი. ბიუროს გადაწყვეტილებით, გინდა თუ არა, ორგორის კოლმეურნეობას უნდა გადავცეთო, – დაჟინებით ითხოვს რაიკომის მდივანი. სად აქვს ჩვენს კოლმეურნეობას ვერტმფრენის შენახვისა და მოვლის საშუალება? უარი რომ ვუთხარი, რაიკომის მდივანმა, ლამის ტყავი გამაძრო და სასტიკი საყვედურიც ავიკიდე.

იქვე ახლოს მდგომებმა იცოდნენ ლადოს ამბავი, მაგრამ გულუბრყვილო მამიამ ეს სერიოზულად მიიღო და ნათქვამმა ჩააფიქრა... ბიუროს დამთავრებისთანავე, დრო იხელთა და მდივნის კაბინეტი გაგულისებულმა შეაღო:

– რაშია საქმე, მამია? – გაკვირვებით გადახედა რაიკომის მდივანმა მამიას.

– ვასილ ვარდენოვიჩ, რაშია საქმე და, ძალიან გთხოვ, მთელი სოფლის სახელით, ის ვერტმფრენი, რაზეც ლადო ზაქაიძემ უარი თქვა, იქნებ, ჩვენს კოლმეურნეობაზე გამოყოფილი „გაზიკის“ სანაცვლოდ, მოგვცეთო.

მდივანი მაშინვე მიხვდა რაშიც იყო საქმე, სიცილ-კისკისით მხარზე ხელი დაადო და...

– რა გაეწყობა, მამია, თანახმა ვარ, ოღონდ, ერთი პირობით, – კარგი მფრინავი მოძებნეთ!

**გიორგი ბერიძე**

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scribd.com; facebook: ლიტერატურული მესხეთი

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit_meskheti@yahoo.com